

რუსეთ-გერმანიის მორიგი დიდი კონსულტაციები A3



მართლმსაჯულების პრობლემები A4



საქართველოს დროშა უჭიმნოდ A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 28 აპრილი, 2006 წელი. №91 (1243) | ფასი 50 თეთრი

## ამბები

### თბილისი აჭარის "ნაცმოძრაობას" აღარ ენდობა

"ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელობა პარტიის აჭარის რეგიონულ ორგანიზაციას, დაბალი რეიტინგის გამო, აღარ ენდობა და არჩევნებზე ასლან აბაშიძესთან ბრძოლაში გამოწრთობილი, სახალხო მოძრაობა "ჩვენი აჭარას" სახელით გამოსვლას გეგმავს.

A2

## სამართალი

### დამოუკიდებელი ორგანო ობიექტურობის გარანტი

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების მეხუთე საპყრობილეში მომხდარი ინციდენტიდან ერთი თვის თავზე "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

A4

## რევიუ

### ტაბუირებული ამბები და ფობიები

ამბობდნენ, რომ კრიტიკული წერილების, ანუ შეფასებითი მსჯელობის გამოქვეყნების სურვილი და ხანაც შესაძლებლობა გაზეთებსა და ჟურნალებს არა აქვთ და ამიტომ რჩებოდათ პროფესიონალებს სათქმელი უთქმელი.

A6

### „ბრიტანეთის ავიახაზების„ და „24 საათის„ ერთობლივი ვიქტორინა

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 28/04 | 29/04 |
|---|---|---|
| თბილისი | 15 | 16 |
| ტყიბული | 7 | 17 |
| სოხუმი | 11 | 17 |
| გორი | 9 | 15 |
| ონი | -1 | 7 |
| ზუგდიდი | 12 | 22 |
| ახმეტა | 15 | 15 |
| გაგრა | 13 | 16 |
| სამტრედია | 10 | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8158 |
| ევრო | 2.2585 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2416 |
| რუბლი | 0.0664 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რეკლამა | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სპორტი | A 8 |


# სამშობლო მაინც სამშობლოა...

### მაჰმადიან მესხთა რეპატრიაცია - ვალდებულება უნდა შესრულდეს

დიმიტრი ავალიანი

*საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებულ მესხთა შთამომავლები საქართველოს წინადადებებს მათი რეპატრიაციის თაობაზე გუშინ თბილისში ისმენდნენ. აზრთა სხვადასხვაობა საქართველოს ხელისუფლებისა და მაჰმადიან მესხთა წარმომადგენლებს შორის არსებობს, თუმცა არა მთავარ საკითხეზე - რეპატრიაცია უნდა დაიწყოს.*

საერთაშორისო კონფერენციაში - "სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობა - რეპატრიაციის დასაწყისი" - მონაწილეობა მიიღეს დეპორტირებული მესხების წარმომადგენლებმა

გაგრძელება A3 გვერდზე



ინტერპრესნიუსი

თბილისში რეპატრიაციის საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობს.

# სოჭის გირჩას საქართველოდან ლეგალურად გაიტანენ

### ყოჩივარდა და თეთრწვერა უცხოეთში 3 ევროდ იყიდება

B

თინა შავაძე

*უნიკალური მცენარეების, მათ შორის - თეთრწვერას ბოლქვის, ყოჩივარდების გორგლის, სოჭის გირჩის ბიზნესი მალე ლეგალური გახდება. პარლამენტი განიხილავს ცვლილებებს კანონში "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ", რომელიც ითვალისწინებს გადაშენების გზაზე მყოფი ფლორისა და ფაუნის რამდენიმე სახეობებზე ნებართვის გაცემის წესის განსაზღვრას.*




## სიახლე "24 საათში"

© გაზეთი 24 საათი

# Weekend

### ყოველ შაბათს, შაბათ-კვირის საკითხავი

- შაბათის სტუმარი
- დათო მაღრაძის "დედაქალაქი"
- ქეთევან იგნატოვას "გულახდილად"
- დიზაინი, მოდა, სტილი
- ელიტარული ქრონიკა
- ნოდარ ლადარიას "დროთა კავშირი"
- თავშესაქცევი ამბები
- ფოტონარკვევი
- პორტრეტი
- მეცნიერება და ტექნიკა
- ავტომობილი
- ბესტსელერი
- დეტექტივი, ფანტასტიკა
- კროსვორდები, თავსატეხები, კომიქსები

## კიდევ ერთი სიახლე "24 საათში"

24 საათი

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

1 მაისიდან ყოველდღიური სპორტული ბლოკი


# "სიმართლის ძალა და ძალის სიმართლე"

### დუმას ახალ კავკასიურ პოლიტიკაზე ლაპარაკის მოსმენა არ სურს

*რუს პარლამენტარებს ქართული ღვინო არ სჭირდებათ. გუშინ მათ ფეხზლებმაც მშვენივრად მოილხინეს: მაგიდაზე ხელები, იატაკზე ფეხები აბრახუნეს და თან უსტვენდნენ. ასე აღინიშნა გუშინ რუსული პარლამენტარიზმის ასი წლის იუბილე სანკტ-პეტერბურგში. თუმცა, რუსეთის პარლამენტს ეს სოლიდური ასაკი ქცევაზე არ ეტყობა...*

სოფო ბუკია

რუსი დეპუტატების უკმაყოფილება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლას მოჰყვა. აი, რა განაცხადა ნინო ბურჯანაძემ სანკტ-პეტერბურგში რუსეთის სათათბიროს 100 წლის საიუბილეო სხდომაზე:

**"ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეკონომიკური ურთიერთობები ორივე სახელმწიფოს საკეთილდღეოდ განვითარდება. სასურველი იქნებოდა, რომ დღევანდელ ზეიმზე თქვენთვის მოგვერთმია ნამდვილი ქართული ღვინო. თუმცა, ეს დღეს არ გამოვიდა იმიტომ, რომ ამას შეფერილობა აქვს, სამწუხაროდ, პოლიტიკური. მე დარწმუნებული ვარ, რომ დადგება დღე, ჩვენ აღვნიშნავთ ერთიან დღესასწაულებს დაფუძნებულს ერთიან დემოკრატიულ ფასეულობებზე. და შეიქმნება ვითარება, როცა იზეიმებს სიმართლის ძალა და არა ძალის სიმართლე. მე ამას გულითადად გისურვებთ,"** - ამის თქმა მოასწრო ბურჯანაძემ. ღვინის ხსენებაზე რუსი დეპუტატები თითქოს მომენტალურად შეზარხოშდნენ: მაგიდებს ხელები ურტყეს, იატაკზე ფეხები აბრახუნეს, თან უსტვენდნენ და ყვიროდნენ, არ გვჭირდება ქართული ღვინოო.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის საწინააღმდეგოდ იმუშავა იმანაც, რომ მან თავის გამოსვლაში რუსეთთან ურთიერთობებზე, მათ შორის რუსული პოლიტიკის ორმაგ სტანდარტებზე ისაუბრა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ნატო-ს გაფართოება რუსეთს აზარალებს

ნატო-ს გაფართოება და ალიანსში უკრაინისა და საქართველოს გაწევრიანება მოსკოვისაგან სამხედრო პოტენციალების ორიენტაციის შეცვლისთვის მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს. ამის შესახებ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიხაილ კამინინმა განაცხადა.

**"ჩვენს ურთიერთობებზე აისახა ნატო-ს შემდგომი "გაფართოებითი" დღის წესრიგიც. ჩვენთვის ეს უაღრესად მგრძნობიარე საკითხია, განსაკუთრებით უკრაინასთან და საქართველოსთან მიმართებაში,"** - თქვა კამინინმა. **"დე-ფაქტო საუბარია სერიოზულ სამხედრო-პოლიტიკურ ძვრაზე, რომელიც რუსეთის ინტერესებს ეხება და სამხედრო პოტენციალების ორიენტაციის შეცვლისა და სამხედრო-სამრეწველო კავშირების სისტემების რეორგანიზაციისთვის მნიშვნელოვან სახსრებს მოითხოვს,"** - განაცხადა რუსმა დიპლომატმა და აღნიშნა, რომ ნატო-ში უკრაინის და საქართველოს შესვლა, შესაძლოა შეიარაღების კონტროლის სფეროში შეთანხმებებს შეეხოს.

მისი თქმით, ამჟამად არსებობს ნატო-სთან ურთიერთქმედებების ისეთი სქემები, რომლებიც სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, ითანამშრომლონ უსაფრთხოების საკითხების ყველაზე ფართო სპექტრში ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში ფორმალური გაწევრიანების გარეშე.

კამინინმა აღნიშნა, რომ მოსკოვი ნატო-სთან ურთიერთობებში ნდობის განმტკიცების მომხრეა. **"ჩვენ ევროპაში ახალი გამყოფი ხაზების შექმნის წინააღმდეგ გამოვდივართ და დარწმუნებული ვართ, რომ ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილურობის განმტკიცებისკენ მიმავალი გზა სხვა სქემების რეალიზაციაზე გადის,"** - ამბობს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი.

კამინინის თქმით, მოსკოვს რჩება შეკითხვები ნატო-სთან ალიანსის ახალი წევრების ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების,

გაგრძელება A3 გვერდზე

# საზღვრის დაცვის დეპარტამენტი - შსს-ს დაქვემდებარებაში

*სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი სასაზღვრო პოლიციად გადაკეთდება და მთლიანად შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარება. სასაზღვრო პოლიციის შესახებ კანონპროექტი გუშინ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა განიხილა. თავდაცვის კანონში შესაბამისი ცვლილებებიდან გამომდინარე, ცვლილებათა პაკეტს გუშინ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში მხარი დაუჭირეს.*

კანონპროექტის მიხედვით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი გამოდის თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორმაგი დაქვემდებარებიდან და სასაზღვრო პოლიციად ყალიბდება - ეს სტრუქტურა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარება.

სასაზღვრო უწყების ტრანსფორმაციის თაობაზე დეტალური ინფორმაცია კომიტეტის სხდომაზე თავად დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბადრი ბიწაძემ წარადგინა.

ბადრი ბიწაძის განმარტებით: **" ქვეყანაში სამხედრო წესებით საზღვრის დაცვა დღეისთვის აუცილებლობას აღარ წარმოადგენს. დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციად გარდაქმნა ევროკავშირის მოთხოვნაა და სასაზღვრო პოლიციის სამართალდამცველ სტრუქტურად ჩამოყალიბება ამ სტრუქტურას უფრო ეფექტურს გახდის. უწყებაში რეფორმირების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს და ის, საბოლოოდ, ამ უწყების სასაზღვრო პოლიციად გარდაქმნით დასრულდება. სასაზღვრო პოლიციისთვის სპეციალური წოდებები დაწესდება, შემცირდება დეპარტამენტის ჩინოვნიკური აპარატი, თუმცა გაიზრდება საზღვარზე მყოფი ჯარისკაცების რაოდენობა".**

გაგრძელება A4 გვერდზე

## სუამ-ის ეროვნულ კოორდინატორთა კომიტეტის მორიგი სხდომა

25-26 აპრილს კიევში ჩატარდა გაერთიანება სუამ-ის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) ეროვნულ კოორდინატორთა კომიტეტის მორიგი სხდომა.

საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა სუამ-ის ეროვნული კოორდინატორი საქართველოს მხრიდან, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი.

ეროვნულ კოორდინატორთა კომიტეტმა მოისმინა უკრაინის მხარის ინფორმაცია 2006 წლის 23 მაისისათვის კიევში დაგეგმილი სუამ-ის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების შეხვედრისათვის მზადების შესახებ. მხარეებმა გამოთქვეს მოსაზრებები მომავალი სამიტის ფორმატსა და შინაარსთან დაკავშირებით. შეხვედრაზე განიხილეს და შეათანხმეს კიევის დეკლარაციის პროექტი - "საერთაშორისო დემოკრატიისა და განვითარებისათვის - სუამ-ის შექმნის შესახებ".

ეროვნულ კოორდინატორთა კომიტეტმა აგრეთვე, განიხილა და შეაჯერა გაერთიანება სუამ-ის სრულყოფილ საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნისათვის აუცილებელი ფუძემდებლური დოკუმენტების პროექტები, მათ შორის, ორგანიზაციის წესდება და დებულება სამდივნოს შესახებ. მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, 10-11 მაისს კიევში ეკონომიკის, ენერგეტიკის, საბაჟოსა და ტრანსპორტის დარგობრივი სამუშაო ჯგუფების ერთობლივი სხდომების ჩატარების შესახებ.

სუამ-ის ეროვნულ კოორდინატორთა კომიტეტის მორიგი სხდომა 2006 წლის 20 მაისს კიევში გაიმართება.

*მედიანიუსი*

## საქართველოს პრეზიდენტი ბრიუსელში მიემგზავრება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბრიუსელში დაესწრება ფორუმს - "ტრანსატლანტიკური გამოწვევები გლობალურ ეპოქაში".

მიხეილ სააკაშვილი ბრიუსელში დღეს დილით გაემგზავრება. პრეზიდენტი დღესვე შეხვდება ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტს უილფრიდ მარტენს და პარტიის თავმჯდომარეს ჰანს-გერტ პოტერინგს. მოგვიანებით, სააკაშვილი შეხვედრას ბელგიის სამეფოს პრემიერ-მინისტრს გი ვერჰოფსტადთან გამართავს.

დღის ბოლოს, საქართველოს პრეზიდენტი ბრიუსელის ფორუმის გახსნას დაესწრება, ფორუმი 2-დღიანია. ხვალ, პირველი სესია "გლობალური დღის წესრიგი აშშ-სა და ევროპისათვის - ამერიკული ხედვა" ჩატარდება. 29 აპრილს, საქართველოს პრეზიდენტი შეხვედრებს გამართავს ევროპის კომისიის პრეზიდენტთან ხოსე მანუელ ბაროზუსთან, ნატო-ში აშშ-ს მუდმივ წარმომადგენელთან ვიქტორია ნულანდთან, ამერიკელ სენატორ ჯონ მაკკეინთან და ბელგიის სამეფო ოჯახთან.

დღის ბოლოს, საქართველოს პრეზიდენტი ბრიუსელის ფორუმის სესია "დემოკრატიის მშენებლობა გაფართოებულ ევროპაში" მონაწილეობას მიიღებს და სიტყვით გამოვა.

ვიზიტის მესამე დღეს, მიხეილ სააკაშვილი ევროპული რეფორმების ცენტრის დირექტორს მარკ ლეონარდს შეხვდება. მიხეილ სააკაშვილი საქართველოში 1 მაისს დაბრუნდება.

*ინტერპრესნიუსი*

## მიმართვა
### საქართველოს საზოგადოებრიობისა და ქართული დიასპორებისადმი

დიასპორების ხელშემწყობი ფონდი "კრედო" (პრეზიდენტი ბესარიონ ხვინთელიანი) და ასოციაცია "ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ" (პრეზიდენტი გიული ალასანია) თბილისში 2006 წლის 25-27 მაისს ატარებს საერთაშორისო კონფერენციას თემაზე "ქართული დიასპორა - ხიდი მსოფლიოსთან", რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული დიასპორების წარმომადგენლები დაახლოებით 30 ქვეყნიდან. იდეას მხარი დაუჭირა საქართველოს ხელმძღვანელობამ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და ფიზიკურმა პირებმა. მუშაობაში აქტიურად ჩაებნენ საქართველოს საგარეო საქმეთა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროები.

მოსამზადებელი სამუშაოები ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში დაიწყო. მუშაობა მიმდინარეობს დასახული გეგმით, თანამიმდევრულად. იმედი გვაქვს, რომ კონფერენცია ჩატარდება მაღალ დონეზე. რაც მთავარია, იგი იქნება შედეგებზე ორიენტირებული, შედეგები კი იმ მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზეა დამოკიდებული, რომლებიც კონფერენციის ფორმატითაა გათვალისწინებული.

უაღრესად ნიშანდობლივია, რომ უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წლევანდელ სააღდგომო ეპისტოლეში მოიხსენია ქართული დიასპორები და მოუწოდა მათ სამშობლოს საკეთილდღეოდ მეტი ძალისხმევის გამოჩენისაკენ. მან აღნიშნა, რომ საჭიროა, "...ქართულმა დიასპორებმა ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ მსოფლიომ ობიექტური ინფორმაცია მიიღოს ჩვენი ისტორიის, კულტურისა და დღეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ... ვფიქრობ კარგი იქნება, თუ ... გაიმართება შეხვედრები და კონფერენციები, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, რაშიც დიდი როლის შესრულება შეუძლიათ უცხოეთში ამჟამად მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს. მოხარულები ვიქნებით, თუ ისინი, ხელისუფლებასთან ერთად, ჩვენც დაგვიკავშირდებიან და ამ მიმართულებით კოორდინირებულად ვიმოქმედებთ".

ჩვენი ეკლესია ქართველი კაცის სულიერი დასაყრდენი იყო მარადჟამს. ამიტომაც საორგანიზაციო კომიტეტის იდეამ, მისი განხორციელების დროულობამ მტკიცე დასაყრდენი მიიღო ერის სულიერი მოძღვრის ეპისტოლეთი, ახალი ძალა შთაბერა ჩვენი და ჩვენი თანამზრახველების მოღვაწეობას.

დიასპორა მარტო ეთნოკულტურული ფენომენი არ არის, იგი უნდა იყოს საშინაო პოლიტიკის და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების აქტიური მონაწილე. აღნიშნული შესანიშნავად გაჟღერდა საქართველოს პრეზიდენტის - მიხეილ სააკაშვილის ცნობილ მიმართვაში საზღვარგარეთ მცხოვრებ და მოღვაწე თანამემამულეებისადმი: "მე, საქართველოს პრეზიდენტი, თავს ვალდებულად ვთვლი, მოგმართოთ თქვენ და შემოგთავაზოთ, ჩემი აზრით, უკეთილშობილესი მისია - მონაწილეობა მიიღოთ თქვენი მარადიული სამშობლოს, საქართველოს აღორძინებისა და ყოველთა ქართველთა გაერთიანების ისტორიული მნიშვნელობის საქმეში."

დღეს ქართველები ცხოვრობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მაგრამ გვწამს, რომ სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, მათ სამშობლოსათვის უძგერთ გული.

დღეს, ალბათ, უფრო მეტადაა გასაცნობიერებელი, რომ არც ერთი სახელმწიფო არ შედგება დიასპორის გარეშე და ვერც ერთი დიასპორა ვერ იარსებებს სამშობლოს გარეშე, რამეთუ ეს იწვევს ნაციონალური თვითშეგნების დაკარგვას, შემდეგ კი ... ასიმილაციას.

მოგიწოდებთ, მოგმართავთ ყველას, სამშობლოში და მის გარეთ მცხოვრებ საქართველოს შვილებს: გამოგვეხმაურეთ; მიიღეთ აქტიური მონაწილეობა კონფერენციის მომზადებასა და მის მუშაობაში.

*საორგანიზაციო კომიტეტი*

ცნობებისათვის:
0105, თბილისი, საქართველო, ანტონ კათალიკოსის ქ. №7
ტელ: (995 32) 98-59-76; (995 32) 39-32-60; (995 99) 38-65-67; (995 99) 18-36-72.
ფაქსი: (995 32) 98-48-64;(995 32) 98-59-76.
ელ.ფოსტა: diaspora@posta.ge; dialogi2006@yahoo.com; diaspora2006@rambler.ru

## "შრომის კოდექსის" პროექტის "გენერალური რეპეტიცია"

გიორგი ასანიშვილი

დღეს პარლამენტი პირველი მოსმენით იხილავს "საქართველოს შრომის კოდექსის" პროექტს. დოკუმენტმა "გენერალური რეპეტიცია" გუშინ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში გაიარა. კანონპროექტის ბოლო ვარიანტი იურიდიულ საკითხთა კომიტეტში, სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძის მონაწილეობით, შემუშავდა და მასში გარკვეული ცვლილებები შევიდა.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის გიგი წერეთლის განმარტებით, სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი 14-დან 16 წლამდე არის გაზრდილი. გარდა ამისა, ორსულობის, მშობიარობის და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების (477 კალენდარული დღე) ანაზღაურება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხდება. ამასთან, დაუშვებელია არასრულწლოვნის, ორსული, ახლადნამშობიარები ან მეძუძური ქალის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის დასაქმება ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე), ხოლო სამ წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელისა, - მისი თანხმობის გარეშე.

კანონპროექტში შეტანილმა ცვლილებებმა, გარკვეულწილად, გაანელა ის აჟიოტაჟი, რომელიც "შრომის კოდექსის" გარშემო ბოლო დროს წარმოიშვა საზოგადოებაში. ამიტომ, გუშინდელ საკომიტეტო მოსმენას დიდი ვნებათღელვა არ მოჰყოლია. თუმცა, განსხვავებული მოსაზრებები მაინც გამოითქვა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გუგული მაღრაძე მიიჩნევს, რომ შრომითი ხელშეკრულების ზეპირი ფორმით დადება მიუღებელია. **"ზეპირ ხელშეკრულებას მხოლოდ დროებითი ხასიათი შეიძლება ჰქონდეს და 7-15 დღის შემდეგ ის აუცილებლად უნდა გაფორმდეს წერილობით,"** - მოითხოვს მაღრაძე. მისივე თქმით, აუცილებელია, რომ კანონში გაიწეროს ზეგანაკვეთური სამუშაოების წესი, რათა მისი დადგენა დამქირავებლის მიერ ერთპიროვნულად არ მოხდეს.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე შიშობს, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის უფლება დამქირავებელმა შეიძლება ბოროტად გამოიყენოს და ამიტომ, მისი უფრო მკაფიოდ ფორმულირებაა საჭირო. გუგული მაღრაძის მსგავსად, ელენე თევდორაძეც მიიჩნევს, რომ ზეპირ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მუხლები დახვეწას მოითხოვს.

გიგი წერეთელი აღნიშნავს, რომ საკომიტეტო მოსმენის დროს გამოთქმული შენიშვნები მეორე მოსმენის საგანს წარმოადგენს და მათი განხილვა კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღების შემდეგ უნდა მოხდეს. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით, "საქართველოს შრომის კოდექსის" პროექტზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნა ჯერ არ არსებობს, თუმცა, წერეთელი იმედოვნებს, რომ მეორე მოსმენისთვის პარლამენტარებს ეს დოკუმენტიც ექნებათ.

თუ გუშინდელი "გენერალური რეპეტიციის" მიხედვით ვიმსჯელებთ, პარლამენტის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე "შრომის კოდექსის" კანონპროექტის განხილვა ზედმეტი ხმაურის გარეშე ჩაივლის.

## დევნილთა მოთხოვნა ხელისუფლებას

თამარ დვალი

*"შეწყდეს დევნილთა დისკრიმინაცია" - ამ მოთხოვნით გუშინ დაბა წყნეთში მცხოვრებმა 500-მდე აფხაზეთიდან დევნილმა საპროტესტო აქცია გამართა. ისინი ხელისუფლებისგან დევნილთა დისკრიმინაციის შეწყვეტასა და აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე მათი თავშესაფრის ხელყოფის აკრძალვას მოითხოვენ.*


ინტერპრესნიუსი

*გუშინ დაბა წყნეთში მცხოვრებმა 500-მდე აფხაზეთიდან დევნილმა საპროტესტო აქცია გამართა.*

დაბა წყნეთში გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე სამთავრობო კოტეჯები ადრე ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო. 1995 წელს ერთ-ერთი კორპუსის პრივატიზებაც სწორედ ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელმა მზია ბერუაშვილმა მოახდინა. დღეს აღნიშნულ მისამართზე აფხაზეთიდან დევნილი ჯანჯღავებისა და რეხვიაშვილების ოჯახები ცხოვრობენ. სასამართლო დავის შედეგად, სასამართლომ დევნილების გამოსახლების გადაწყვეტილება მიიღო.

მას შემდეგ, რაც ჯანჯღავებისა და რეხვიაშვილების ოჯახს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღმსრულებლო ბიუროსგან N2 ბ 66604 შეტყობინება მიუვიდა, (რაც მათ მიერ დაკავებული ფართის სასწრაფო წესით დაცლას გულისხმობდა), დევნილებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი საქართველოს დევნილთა და განსახლების სამინისტროს უყურადღებობაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ სამინისტრომ ჯანჯღავებისა და რეხვიშვილების ოჯახების ბინით დაკმაყოფილებაზე, ან მათთვის კომპენსაციების გაცემაზე არ იზრუნა.

როგორც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში განაცხადეს, მინისტრი გია ხევიაშვილი თავად მოელაპარაკა იუსტიციის მინისტრს გია ქავთარაძეს შეჩერდეს დევნილთა გამოსახლების პროცესი, ვიდრე მათთვის ალტერნატიული ფართი არ გამოიძებნება.

**"ჩვენ ჯანჯღავებისა და რეხვიაშვილების ოჯახს შევთავაზეთ საკუთარი სახლი წალკაში და ბინა ხონში, თუმცა მათ სასტიკი უარი განაცხადეს. ისინი თბილისში ან წყნეთში ითხოვენ ბინებით დაკმაყოფილებას. ამ დროისთვის არც წყნეთში და არც თბილისში ცარიელი ფართი სამინისტროს არ გააჩნია. საქმეს ართულებს ისიც, რომ დევნილებს იურიდიული საბუთი იმისა, რომ ამ მისამართზე ისინი მის პრივატიზებამდე ცხოვრობდნენ, არ გააჩნიათ. კანონით, დევნილის გამოსახლების უფლება არავის აქვს, თუკი არ დააკმაყოფილებენ შესაბამისი ფართით. თუმცა, ამ შემთხვევაში არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება და მას წინ ვერავინ აღუდგება",** - განაცხადეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში.

აქციის მონაწილეებმა ხელისუფლების მიმართ მოთხოვნები შეიმუშავეს. დევნილები ხელისუფლებისგან დევნილთა მიმართ დისკრიმინაციის შეწყვეტას, აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა თავშესაფრის ხელყოფის აკრძალვას, დევნილთა განსახლების ადგილების პირდაპირი პრივატიზაციის პროცესში დევნილთა მონაწილეობას მოითხოვენ.

## მუშტი-კრივი ლაგოდეხის საბაჟოზე

*საბაჟო გამშვებ პუნქტ "ლაგოდეხზე" ინციდენტი გუშინწინ საღამოს მოხდა. 10 კილოგრამი განუბაჟებელი კიტრის გამო, მოქალაქეებსა და საბაჟოს თანამშრომლებს შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა.*

ზვიად რუაძე

დაპირისპირება იმით დაიწყო, რომ სოფელ მაწიმში მცხოვრებ ალიკა აბულაშვილს მეზობელი რესპუბლიკიდან ათი კილოგრამი კიტრის შემოტანის უფლება არ მისცეს. საბაჟოს თანამშრომლების მოთხოვნას და ცინიკურ დამოკიდებულებას ალიკა აბულაშვილმა ჩხუბით უპასუხა. მას მხარდაჭერა იმ მოქალაქეებმაც გამოუცხადეს, რომლებიც საბაჟო ლაგოდეხის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ.

ხელჩართული ჩხუბი დიდხანს გაგრძელდა. ვითარება საბოლოოდ სამართალდამცავი ორგანოების ჩარევის შემდეგ დარეგულირდა. მოსახლეობა ამბობს, რომ მანამდე, ვიდრე საქართველოში კანონი იკანონებს, ისინი საკუთარი უფლებებისა და სამართლიანობის დაცვას თავად შეეცდებიან, მომხდარზე პასუხისმგებლობას კი ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს აკისრებენ, რომლებიც მოხელეებს არ სჯიან კანონების უგულებელყოფისათვის.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ საბაჟო ლაგოდეხის თანამშრომლები, თუმცა რეაგირებას ისინი სამართალდამცავ ორგანოებს სთხოვენ, - შესაბამისი განცხადებით მათ შინაგან საქმეთა ლაგოდეხის რაიონულ განყოფილებას უკვე მიმართეს.

## თბილისი აჭარის "ნაცმოძრაობას" აღარ ენდობა

*ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოსაგებად სახელისუფლო პარტია აჭარაში ახალ ხერხს მიმართავს. "ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელობა პარტიის აჭარის რეგიონულ ორგანიზაციას, დაბალი რეიტინგის გამო, აღარ ენდობა და არჩევნებზე ასლან აბაშიძესთან ბრძოლაში გამოწრთობილი, სახალხო მოძრაობა "ჩვენი აჭარას" სახელით გამოსვლას გეგმავს. ამ მისიით მოძრაობის ლიდერი, პარლამენტარი თამაზ დიასამიძე ორგანიზაციის აღორძინებას ცდილობს. მისი განცხადებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უნდა დაკომპლექტდეს აჭარის ხელისუფლების მიერ გაურკვეველი მიზეზების გამო იგნორირებული რევოლუციონერებით.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

ასლან აბაშიძის წინააღმდეგ შექმნილი სახალხო მოძრაობა "ჩვენი აჭარა" რევოლუციის შემდეგ დაიშალა. რეგიონის მოსახლეობას, რომელმაც 2 წლის წინ პრეზიდენტთან ერთად მოძრაობას - "ჩვენი აჭარა" - ენდო, საარჩევნო სიით ნაცნობ რევოლუციონერ სახეებს წარუდგენენ.

**"მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ზღვისპირა ზოლი ერთადერთი დასასვენებელი ადგილია საქართველოს მოსახლეობისთვის, სოციალური მდგომარეობა მაინც მძიმეა. არჩევნები ახლოვდება - თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ბევრი ცვლილებაა მოსალოდნელი. ახლა მიმდინარეობს მუშაობა "ჩვენი აჭარას" სრულად აღსადგენად. მიმაჩნია, რომ ადგილობრივ ხელისუფლებაში ისეთი დამსახურებული ფენა უნდა მივიდეს, როგორებიც "ჩვენ აჭარაში" გვყავდა. "ჩვენი აჭარას" სახელით არჩევნებში გამარჯვების მეტი შანსი იქნება,"** - აცხადებს დიასამიძე. მისი თქმით, დღის წესრიგში "ნაციონალური მოძრაობის" გაძლიერების საკითხი დგას. თუკი ამ კუთხით რაიმე არ შეიცვალა, არჩევნების მოგება გაძნელდება: **"აქაური ორგანიზაციები მრავალრიცხოვნებითა და მაღალკვალიფიციური შემადგენლობით ვერ შეეფერებიან მმართველ პარტიას. აქ კი კონკურენცია ისედაც ძლიერია. გურიაში ან იმერეთში შეიძლება საშუალო ხარისხიც მისაღები იყოს, მაგრამ აჭარაში უფრო მომზადებული კადრებია საჭირო. აქ პოლიტიკური სიმწიფე მაღალია. ჩვენი მოძრაობის რესურსებით პარტიაში არსებული ხარვეზების შევსება შესაძლებელია. რატომ არ აღმოჩნდა ეს ხალხი მმართველ პარტიაში აქამდე? - ეს საკითხი ცალკე გასარკვევია. ყველაზე კარგი დასაყრდენი სწორედ ეს ხალხი იყო. აქამდეც შეიძლებოდა მათი დაწინაურება, მაგრამ, რატომღაც ასე არ მოხდა. აჭარაში ხალხს აბაშიძის კადრების დაწინაურება და პარტიულ სტრუქტურებში მათი შეძრომა არ მოსწონს. თბილისში ამ საკითხზე საუბრები მიმდინარეობს".**

წინასაარჩევნოდ მოძრაობა "ჩვენი აჭარას" ოფისები ბათუმსა და აჭარის რაიონებში ხელახლა გაიხსნა. დეპუტატები თამაზ დიასამიძე და ელგუჯა მაკარაძე, რომლებიც "ჩვენი აჭარას" ლიდერები იყვნენ, ორგანიზაციის ყოფილი წევრების მოსაზიდად მუშაობენ. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი პრეზიდენტთან შეთანხმებით მოქმედებენ. ამ ინფორმაციას დიასამიძე არც უარყოფს და არც ადასტურებს. **"ჩვენი ფორმულა ასეთია: დეპუტატობის კანდიდატი უნდა იყოს ისეთი პიროვნება, რომელსაც მოსახლეობაში მაღალი ნდობა ექნება და არჩევნების მოგებას შეძლებს. ასეთი კადრები სწორედ "ჩვენ აჭარაშია,"** - აცხადებს დიასამიძე.

### მოკლედ

#### უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას მხარის რწმუნებული იკისრებს

ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზიდან ტექნიკის უსაფრთხო გადაადგილებაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე პრეზიდენტის რწმუნებული სამცხე-ჯავახეთში გოგა ხაჩიძე იღებს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" გოგა ხაჩიძემ განუცხადა, იგი ბაზის ხელმძღვანელს, პოლკოვნიკ ლუჩნიკოვს დაუკავშირდა და დახმარება შესთავაზა. კერძოდ, თუ იგი რწმუნებულს წინასწარ აცნობებს ტექნიკის ამა თუ იმ სახეობის გაყვანის კონკრეტულ დროს, გოგა ხაჩიძე თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან შეთანხმებით, რეგიონში მათ უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს. პრეზიდენტის რწმუნებულის თქმით, ლუჩნიკოვმა მას თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა. "გუშინ და გუშინწინ დადგმული სპექტაკლები გამიზნული პროვოკაცია იყო, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი ორგანიზაციების "ვირქისა" და "ჯავახკის" წარმომადგენლები. ყოველთვის მოიძებნება 20-25 ფინია, რომელიც რუსეთს კუდს გაუქიცინებს", - აღნიშნა გუშინ ხაჩიძემ.

მისივე თქმით, რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა ეს გამოხტომა საქართველოს საწინააღმდეგოდ გამოიყენეს და ისე წარმოაჩინეს, თითქოს ქართულ მხარეს ტექნიკის გაყვანის უსაფრთხოება არ აინტერესებს. ახალქალაქში 25-26 აპრილს გამართული მცირერიცხოვანი აქციის მონაწილეებმა სამხედრო ბაზასთან ტექნიკას გზა გადაუკეტეს და გადაადგილების საშუალება არ მისცეს. ამ ფაქტს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მიხეილ კამინინის განცხადება მოჰყვა, რომელმაც საქართველოს ხელისუფლებას 2006 წლის 31 მარტის შეთანხმებით აღებული ვალდებულბების შესრულება და რუსული ბაზების ტექნიკის გაყვანის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოსთხოვა. **ინტერპრესნიუსი**

#### ბელარუსის ოპოზიციის ლიდერი კვლავ პატიმრობაშია

მინსკის პერვომაისკის რაიონის სასამართლომ ბელორუსიის ოპოზიციის ლიდერს ალექსანდრე მილინკევიჩს 15 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯა.

ამის შესახებ სააგენტო "როიტერს" მილინკევიჩის პრესმდივანმა პაველ მაჟეიკამ აცნობა. მისი თქმით, მილინკევიჩს გუშინდელ არასანქცირებულ მიტინგში "ჩერნობილის შლიახში" მონაწილეობა ედება ბრალად. ოპოზიციონერი, როგორც ჩანს, სპეციალურ მიმღებ-გამანაწილებელში მოიხდის სასჯელს.

მაჟეიკამ ასევე განაცხადა, რომ პერვომაისკის რაიონის სასამართლომ ანალოგიური განაჩენი გამოუტანა ბელორუსიის ელექტრონული მრეწველობის პროფკავშირის ხელმძღვანელს ალექსანდრე ბუხვოსტოვს და კომუნისტთა პარტიის ლიდერს სერგეი კალიაკინს. **ინტერპრესნიუსი**

#### კვლევისა და განათლების პირველი საუნივერსიტეტო ცენტრი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით უნივერსიტეტების ბაზაზე კვლევისა და განათლების ცენტრის შესაქმნელად კონკურსს აცხადებს. ცენტრის მიზანია, კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების ინტეგრაცია, სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების მოწინავე კვლევებში მონაწილეობის ხელშეწყობა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

პროექტის თანადამფინანსებელია ამერიკული ორგანიზაცია "სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი". გამარჯვებული პროექტით უნივერსიტეტში ჩამოყალიბდება კონკრეტული სამეცნიერო მიმართულების ცენტრი, რომელიც აღიჭურვება თანამედროვე კვლევითი მოწყობილობით. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ სსიპ -უნივერსიტეტებს. გამარჯვებული პროექტი დაფინანსდება 300,000 აშშ დოლარიანი გრანტით. ცენტრის შესაქმნელად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია 90 000 ლარი, ხოლო ამერიკული მხარის დაფინანსება შეადგენს 250 000 აშშ დოლარს. პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 15 ივნისი, კონკურსის შედეგი გამოქვეყნდება 2006 წლის 1 ოქტომბერს. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### "ჯანსაღი ცხოვრების მარშრუტები"

თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური პროგრამის "ჯანსაღი ცხოვრების მარშრუტები" განხორციელებას იწყებს.

პროგრამის მიზანია ფიზიკურად ძლიერი მოზარდი თაობის აღზრდა, მიუსაფარ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების სოციალური ინტეგრაცია. ცნობილი სპორტსმენის ჯუმბერ ლეჟავას ხელმძღვანელობით, თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების წრეებში გაერთიანებული თბილისის საჯარო სკოლის მოსწავლეები და მიუსაფარი ბავშვები მონაწილეობას მიიღებენ ერთდღიან შემეცნებით-გამაჯანსაღებელ ლაშქრობებში, რომლებიც გაიმართება 29, 30 აპრილს, 6, 7 და 9 მაისს.

ყველა ამ დღეს 30 მოზარდისგან შემდგარი ჯგუფი კუს ტბის ასასვლელთან (ბაგების ტერიტორიაზე) დილის 9 სთ-ზე შეიკრიბება. ყველა დღის მარშრუტი განსაზღვრულია (ბაგები - კუს ტბა - ვერის ხეობა - უძოს მთა). პროექტში მონაწილეობას მიიღებენ ჩუღურეთის, გლდანის, ნაძალადევისა და ისნის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრობის სახლის მოსწავლეები და ძმომავლის სახლის", ძსათნოების" და ძლამპიონის" მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# "სიმართლის ძალა და ძალის სიმართლე"

პირველი გვერდიდან

**"რუსეთში ყველამ უნდა გაიგოს, რომ ზოგადად რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში უსაფრთხოების ხელშეწყობის გარეშე შეუძლებელია. ჩვენ და თქვენ ახალი კავკასიური პოლიტიკა გვჭირდება, სეპარატიზმს - არა სიტყვით, არამედ საქმით უნდა ვებრძოლოთ. მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთი უარს იტყვის ორმაგ სტანდარტებზე, შეასრულებს თავის საშუამავლო ფუნქციას კონფლიქტებში, კავკასიური პოლიტიკა იქნება გასაგები და წარმატებული თავად რუსეთისთვის",** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ მოსკოვმა და თბილისმა ახალი კავკასიური პოლიტიკა ერთობლივად უნდა შეიმუშაონ.

**"საქართველოს და რუსეთს ნორმალური თანამშრომლობისთვის ობიექტური ინტერესები აქვთ - ბრძოლა ექსტრემიზმთან, სეპარატიზმთან და სტაბილურობა კავკასიაში",** - აღნიშნა მან.

ბურჯანაძემ ასევე დასძინა, რომ საქართველო რუსეთთან დიალოგისთვის მზად არის და მოწოდებულია ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით კეთილმეზობლური ურთიერთობები განავითაროს.

ბურჯანაძის გამოსვლისა და რუსი დეპუტატების "ცელქობის" შეფასებას გუშინ მოსკოვშიც და თბილისშიც ცდილობდნენ.

რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმერ ჟირინოვსკი დარწმუნებულია, რომ "საქართველოს არც სირცხვილის გრძნობა აქვს და არც სინდისი".

**"თქვენ (ქართველები) ბედავთ და უტიფრად აცხადებთ, რომ რუსეთს დამონებული ჰყავდით. რამდენიმე დღის წინ გაკეთებული განცხადებისთვის თქვენი მინისტრი ციხეში უნდა იჯდეს. რუსებს შეიძლება ფეკალური მასა მიჰყიდო, ისინი იმასაც შეჭამენო... ეს რუსეთის მიმართ რა დამოკიდებულებაა? ფეკალური მასა თავად ჭამეთ და სვით. ამ განცხადებით მთელი მსოფლიოს წინაშე აღიარეთ, რომ თქვენ ფალსიფიცირებული ღვინო გაქვთ. თქვენ აღიარეთ, და არა ჩვენ... თქვენ მინისტრს წამოცდა იმიტომ, რომ ის მთლად ნორმალური არ არის. თუ თქვენი ღვინო ფეკალური მასისგან მზადდება, მაშასადამე თქვენი ღვინო საწამლავია. ვინ არის დამნაშავე? თავად თქვენ",** - თქვა ჟირინოვსკიმ, რომელმაც ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გასულ კვირას გაკეთებული განცხადება იგულისხმა. ოქრუაშვილმა ტელეეთერში აღნიშნა, რომ ქართველ მეღვინეებს რუსეთის ბაზარზე ისეთი ღვინოები გაჰქონდათ, რომელიც ევროპაში არ საღდება, რადგან **"რუსეთში ფეკალური მასაც რომ გაიტანო, გაიყიდება"**.

ბურჯანაძის გამოსვლამ იმდენად აღაშფოთა რუსეთის სათათბიროს ვიცე-სპიკერი ლუბოვ სლისკა, რომ მან საკუთარ კოლეგებს მოუწოდა **"ბურჯანაძის რუსეთში ვიზიტები არასასურველად მიიჩნიონ". "ბურჯანაძემ ზეიმი ჩაშალა... მან ნატურალური თაფლით სავსე კასრში რამდენიმე ჭიქა უხარისხო ქართული ღვინო ჩაასხა,"** - აღნიშნავს სლისკა და მიიჩნევს, რომ რუსეთთან დაკავშირებით ბურჯანაძის მიერ გამოთქმული ბრალდებები "კურიოზია".



რუსეთის პარლამენტს სოლიდური ასაკი ქცევაზე არ ეტყობა.

ქართული ოპოზიცია აცხადებს, რომ ის, რაც ბურჯანაძეს რუსმა დეპუტატებმა მოუწყვეს, სავსებით ლოგიკური იყო. მათი თქმით, ბურჯანაძის რუსეთში ვიზიტის წარუმატებლობა, პირველ რიგში, საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებამ განაპირობა. **"როდესაც ქართველი მინისტრი რუსებს ფეკალურ მასებს უგზავნის დასალევად, ცხადია, ამაზე რეაქცია საკმაოდ მწვავე იქნებოდა,"** - აცხადებს "კონსერვატორი" ზვიად ძიძიგური.

**"ნინო ბურჯანაძე უხერხულ მდგომარეობაში სწორედ თავდაცვის მინისტრის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ ჩააგდო. ჩვენი მაღალჩინოსნები კარგად უნდა დაფიქრდნენ, როდესაც რაიმე განცხადებას აკეთებენ, რათა ეს მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც რუსეთის დუმაში მრავლად არიან, პროვოკაციებისთვის არ გამოიყენონ",** - განაცხადა "მემარჯვენე" დავით საგანელიძემ.

პარლამენტის ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის თქმით, მსგავსი სახის პროვოკაციებს ის ელოდა და ამიტომაც თავად ერთ-ერთი რუსი კოლეგის მიპატიჟება არ მიიღო და რუსეთის დუმის 100 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მონაწილეობაზე უარი თქვა.

**"პროვოკაცია მოსალოდნელი იყო, ბოლო პერიოდში რუსეთის დუმაში გაკეთებული განცხადებები ამის საფუძველს იძლეოდა. რუსეთმა ასეთი დემარშით კიდევ ერთხელ დაანახა მსოფლიოს საკუთარი აგრესიული სახე",** - ამბობს თევდორაძე.

ნინო ბურჯანაძის გამოსვლისას რუსი დეპუტატების დემარშს სახელმწიფო მინისტრი რეფორმების დარგში კახა ბენდუქიძე სამარცხვინოს უწოდებს.

**"მთელი რუსეთის სირცხვილია ის, რომ ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე პარლამენტის თავმჯდომარეს დეპუტატები მსგავსი ფორმით ხვდებიან",** - განაცხადა კახა ბენდუქიძემ.

თავად ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ რუსეთის სათათბიროს საიუბილეო სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას დიპლომატიური იყო. **"მესმის, რომ ჩემი ცალკეული მოსაზრებები რუსი კოლეგებისთვის სასიამოვნო მოსასმენი არ იყო, მით უმეტეს, ასეთ დღეს. ალბათ, დამეთანხმებით, ეს რომ საიუბილეო მიღება არ ყოფილიყო, ჩვენი ტერმინოლოგია უფრო მძაფრი იქნებოდა. ჩვენ ყველაფერი ვთქვით, რაც სათქმელი იყო, თუმცა, დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით ეს ძალიან დელიკატურად გავაკეთეთ. მიმაჩნია, რომ ჩვენი პრეტენზიები აბსოლუტურად ობიექტური იყო",** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე და არ უკვირს, რომ რუს დეპუტატებს მისი გამოსვლა არ მოეწონათ.

ბურჯანაძის განცხადებით, რუს დეპუტატებთან დიალოგი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაგრძელდეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. **"რაც შეიძლება, მეტმა ჩვენმა კოლეგამ უნდა გაიგოს ჩვენი რეალური პრეტენზიები. ვისაც ჩვენი გაგონება უნდა, ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ რუსეთის კრიტიკა ჩვენი თვითმიზანი არ არის. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ რეალობაზე, რაც, სამწუხაროდ, არსებობს",** - აღნიშნა ბურჯანაძემ.

# ნატო-ს გაფართოება რუსეთს აზარალებს

პირველი გვერდიდან

კერძოდ რუმინეთში და ბულგარეთში აშშ-ს მოწინავე ბაზებისა და ძალების განლაგებასთან დაკავშირებით. რუსეთი იმედოვნებს, რომ ამგვარი ობიექტების განლაგების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისას, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი შეასრულებს პოლიტიკურ და იურიდიულ ვალდებულებებს "სამხედრო თავშეკავებულობის" საკითხში, "მათ შორის, ახალი წევრი-ქვეყნების ტერიტორიაზე არსებითი საბრძოლო ძალების არგანლაგებასთან დაკავშირებით," - თქვა კამინინმა.

მან ასევე განაცხადა, რომ რუსეთის და ნატო-ს ურთიერთობაში პრობლემურ საკითხად რჩება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ადაპტირებული ხელშეკრულების რატიფიკაციის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია, რომელიც არ შეიძლება, რუსეთს ხელს აძლევდეს. კამინინის თქმით, ეს ხელშეკრულება "ევროპული უსაფრთხოების ქვაკუთხედი და რუსეთ-ნატოს ურთიერთობის მატერიალური საფუძველია და ამ თემაზე, მაისის ბოლოს ვენის კონფერენციაზე იქნება სერიოზული საუბარი".

როგორც რუსმა დიპლომატმა აღნიშნა, ხელშეკრულება მისი ახლანდელი სახით, ფორმალურად რჩება რა ძალაში, აღარ შეესაბამება ევროპის თანამედროვე რეალობებს. სახელშეკრულებო რეჟიმის გადარჩენა მხოლოდ აღნიშნული ხელშეკრულების ადაპტაციის შესახებ შეთანხმების უსწრაფეს რატიფიკაციას შეუძლია, თუმცა ნატო-ს წევრი ქვეყნები დღემდე არ შედგომიან. ამ პროცედურის დაწყებას ისინი "რუსეთის მიერ ე.წ. სტამბულის ყველა ვალდებულების შესრულებას უკავშირებენ, რაც მოსკოვში "არამართლზომიერად და კონტრპროდუქტიულად მიაჩნიათ," - თქვა კამინინმა.

რუსეთი თვლის, რომ ნატო-მ 1999 წელს, სტამბოლში აღებული ვალდებულებები უნდა შეასრულოს და ხელი შეუწყოს რატიფიკაციის ეროვნული პროცედურების დასრულებას, რათა ადაპტაციის შესახებ შეთანხმება რაც შეიძლება სწრაფად შევიდეს ძალაში. როგორც კამინინმა აღნიშნა, თავის მხრივ, რუსეთი "ფლანგურ დონეებში" ჩაეწერა, მასთან დაკავშირებული სტამბოლის შეთანხმების ყველა ელემენტი შეასრულა და ადაპტაციის შესახებ შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა.

**"მეტიც, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ძალების ხელშეკრულების კონტექსტის გარეთ მიღწეულია და უკვე სრულდება რუსეთ-საქართველოს შეთანხმება - 2008 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის დასრულების შესახებ,"** - შენიშნა რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

*რია ნოვოსტი*

# რუსეთ-გერმანიის მორიგი დიდი კონსულტაციები

## ანგელა მერკელის ვიზიტი ტომსკში

ხათუნა გაბიევი

გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის ვიზიტი რუსეთში, რომელიც ძირითადად ეკონომიკურ საკითხებს ეძღვნებოდა, გუშინ დასრულდა. დიდ რუსულ-გერმანულ კონსულტაციებში სახელმწიფო ლიდერების გარდა, მინისტრებიც მონაწილეობდნენ. თუმცა, პუტინსა და მერკელს პირისპირ საუბრის საშუალება დაახლოებით ნახევარი საათის მანძილზე მაინც ჰქონდათ, სადაც უმთავრესი თემა ენერგეტიკის სფეროში ურთიერთთანამშრომლობა იყო. პუტინის თანაშემწის სერგეი პრიხოდკოს თქმით, რუსეთის პრეზიდენტმა და გერმანიის კანცლერმა "გაზპრომ"-ის გეგმებზე ისაუბრეს, კერძოდ კი, კომპანიის ვალდებულებების უპირობო შესრულებაზე გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნების მიმართ. ვლადიმირ პუტინმა ანგელა მერკელს უფრო დაწვრილებით გააცნო პრინციპული მიდგომები, რასაც რუსეთის ეკონომიკური სუბიექტების ევროკავშირის წევრ-ქვეყნებთან საინვესტიციო თანამშრომლობა გულისხმობს.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, იგი ეცდება რუსეთის ხელისუფლებამ სრულმასშტაბიანი მხარდაჭერა აღმოუჩინოს ამ პროექტებს, თავის მხრივ, ანგელა მერკელმა აღნიშნა, რომ გერმანული მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, საავიაციო მრეწველობისა და სხვა სფეროებში რუსეთთან თანამშრომლობას.

რაც შეეხება უფრო ფართომასშტაბიან მოლაპარაკებებს, ეკონომიკური საკითხების გარდა, რუსმა და გერმანელმა კოლეგებმა კულტურის სფეროში ურთიერთთანამშრომლობისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების პროექტებიც განიხილეს.

რუსეთ-გერმანიის სახელმწიფოთაშორისი კონსულტაციები, რომელიც დასავლეთ ციმბირის ქალაქ ტომსკში გაიმართა, ფაქტობრივად, ხელისუფლების გასვლითი სხდომა იყო. მასში მონაწილეობდა რუსეთის ფედერაციის 13 მინისტრი და გერმანიის ახალი მთავრობის 10 წევრი. კონსულტაციების დასასრულს მხარეებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დოკუმენტებს, რომლებიც მსხვილ საინვესტიციო პროექტებს შეეხება ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, საბანკო, ტრანსპორტის, ავიაციისა და კოსმოსურ სივრცეებში.



გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის ვიზიტი რუსეთში, ძირითადად, ეკონომიკურ საკითხებს ეძღვნებოდა.

კომპანია "გაზპრომ"-ის ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა და კომპანია "BASF"-ის წარმომადგენელმა იურგენ ჰამბერტმა ხელი მოაწერეს ჩარჩო-ხელშეკრულებას, რომელიც აქტივების გაცვლას შეეხება სამხრეთ რუსეთში გაზისა და ნავთობსაბადოს ათვისების პროექტის ფარგლებში. ამ პროექტში გერმანული მხარე 35 პროცენტს მინუს ერთი აქციის მფლობელი იქნება. სწორედ, ეს საბადო, რომელიც ტიუმენის რეგიონში იამალ-ნენეცკის ავტონომიური ოლქის კრასნოსელკუპსკის რაიონში მდებარეობს, წარმოადგენს ჩრდილოევროპული გაზსადენისთვის გაზის მიწოდებისას ძირითად ნედლეულის ბაზას. ბუნებრივი გაზის რესურსები ამ საბადოში დაახლოებით ტრილიონი კუბური მეტრია.

გარდა ამისა, მხარეებმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება ორმხრივი ლოგისტიკური კომპანიის შექმნის შესახებ ციმბირის მაგისტრალის სატრანზიტო ტვირთით დატვირთვის თაობაზე, რომელიც აზიურ ქვეყნებს გერმანიასა და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებთან აკავშირებს.

"გაზპრომ"-ი და "BASF"-ი პარიტეტულ საწყისებზე ერთობლივ საწარმოს "ვინგაზ-ევროპა"-ს შექმნიან, რომელიც ევროპულ ქვეყნებში ბუნებრივი გაზით ვაჭრობას ითვალისწინებს. დოკუმენტის თანახმად, ყოველწლიურად დაახლოებით 25 მილიარდი ბუნებრივი გაზის მოპოვება მოხდება 30 წლის განმავლობაში.

შეთანხმება გაფორმდა გერმანულ და რუსულ ბანკებს შორის სახელმწიფო და კერძო სექტორში ურთიერთთანამშრომლობის განვითარების შესახებ.

გარდა ზემოჩამოთვლილი სექტორებისა, მნიშვნელოვანი იყო მოლაპარაკებები სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობის შესახებ, კერძოდ, ტვირთის ტრანზიტით გადაზიდვის დაჩქარების თაობაზე ევროპიდან აზიაში, ასევე საუბარი შეეხო რუსეთში ჩქაროსნული მატარებლების მშენებლობის განვითარებასაც.

რუსეთი და გერმანია ასევე შეთანხმდნენ ორი ქვეყნის ძალოვან უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ, რომელიც ევროპასა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში საგანგებო მდგომარეობათა ლიკვიდაციას ითვალისწინებს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ასევე შეეხნენ მხარეები, ირანის ბირთვული პრობლემის დიპლომატიური გზით გადაჭრის პერსპექტივა იყო.

**"ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, საერთაშორისო საზოგადოებამ იმუშაოს შეთანხმებულად, რათა ვაჩვენოთ ირანს, რომ ჩვენ ვემხრობით პრობლემის გადაჭრის მხოლოდ დიპლომატიურ მეთოდებს, რაც თავის მხრივ, ირანს აიძულებს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. მოვალეობისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობაზე, ალბათ, ნათლად იქნება მითითებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ მიღებულ ანგარიშში. ანგარიში უნდა აჩვენებდეს, რომ მსოფლიო საზოგადოება კოორდინირებული ნაბიჯებით ცდილობს პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრას,"** - განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა.

როგორც ჩანს, საკონსულტაციო შეხვედრა ტომსკში ორივე მხარისთვის ნაყოფიერი აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, გერმანიამ და რუსეთმა მზადყოფნა გამოთქვეს, გააღრმაონ სტრატეგიული თანამშრომლობა და მაქსიმალური შედეგის მისაღწევად გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება.

ტომსკის აეროპორტამდე ანგელა მერკელი და ვლადიმირ პუტინი ერთი მანქანით მივიდნენ. პირველად ასაფრენი ბილიკი გერმანიის კანცლერის თვითმფრინავმა დატოვა, შინისაკენ გეზი კი შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმაც აიღო.

# სამშობლო მაინც სამშობლოა...

პირველი გვერდიდან

რუსეთიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან, ყირგიზეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან.

საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების თანახმად, მესხების სრული რეპატრიაცია ქვეყანაში 2011 წლამდე უნდა დასრულდეს. ხელისუფლებაში ამ ვადას არარეალურად მიიჩნევენ, თუმცა თავად რეპატრიაციის პროცესის დაწყებას უახლოეს მომავალში ვარაუდობენ.

ამას საფუძველი რეპატრიაციის შესახებ კანონმა უნდა ჩაუყაროს, რომლის განხილვაშიც თავად მაჰმადიანი მესხების წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. საქართველო თავის მომავალ მოქალაქეებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განსახლებას სთავაზობს, ოღონდ არა კომპაქტური დასახლების წესით და არა მესხეთში, საიდანაც ისინი თავის დროზე გაასახლეს.

**"რეპატრიაციის პროცესი საწყის ეტაპზე იმყოფება. დღეს უდიდესი მნიშვნელობა საინფორმაციო უზრუნველყოფას ენიჭება,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ. მისი თქმით, თანხები რეპატრიაციის პროცესის დაწყებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე მომავალი წლიდან ჩაიდება.

დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო კომისიის წევრებმა, გიორგი ხაინდრავას მეთაურობით, თითქმის ყველა ქვეყანა მოიარეს, სადაც დეპორტირებულთა შთამომავლები ცხოვრობენ.

როგორც "24 საათს" კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მრჩეველმა თემურ ლომსაძემ განუცხადა, **"დეპორტირებული მესხების წარმომადგენლები მიესალმებიან ჩვენს ინიციატივებს რეპატრიაციასთან დაკავშირებით. უმთავრესი მათთვის სამშობლოში დაბრუნებაა. ეს დღეისათვის ერთადერთი დიასპორაა მსოფლიოში, რომელსაც სამშობლო არ გააჩნია".**

მისი თქმით, კანონპროექტის მიხედვით, შესაბამის ქვეყნებში უნდა შეიქმნას სპეციალური დაწესებულებები, ებრაული "სოჰნუთის" ტიპის, რომლებიც რეპატრიაციის საკითხებზე იმუშავებენ. იქ მიიღებენ რეპატრიაციის მსურველთა განცხადებებს. რეპატრიანტის სტატუსის მიღების შემდეგ, დაახლოებით ერთ წელიწადში, პიროვნებას საქართველოს მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობა ექნება.

**"მათ ჩამოსვლა მაშინვე შეეძლებათ. თუმცა, გათვალისწინებული იქნება რეპატრიაციის ფონდის შესაძლებლობები. უნდა დადგინდეს კვოტები, რომელთა ფარგლებშიც რეპატრიაცია მოხდება",** - განმარტავს თემურ ლომსაძე.

მისი თქმით, მესხებს ყველაზე მეტად ის აწუხებთ, რომ მათი დაბრუნება დაგეგმილია არა მესხეთში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებში. თუმცა, თემურ ლომსაძე აღნიშნავს, რომ მესხების ორგანიზაციები საქართველოსთან კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის არიან განწყობილი. **"ბოლო პერიოდში შეიცვალა დამოკიდებულება საზოგადოება "ვათანის" მხრიდან, რომელსაც სულეიმან ბარბაქაძე ხელმძღვანელობს. მათ საქართველოში უნდათ დაბრუნება და ესმით, რომ საქართველოსთან უნდა ითანამშრომლონ",** - აცხადებს ლომსაძე.

კონფერენციაზე ყველაზე კატეგორიული ტონით თურქეთში მცხოვრები მესხების დელეგაცია გამოირჩეოდა. **"ჩვენ ახალციხიდან გაგვასახლეს და იქ უნდა დავბრუნდეთ. უამრავი ადამიანი მზადაა, დღესვე დაბრუნდეს იმ სოფლებში, რომლებიც დღემდე ცარიელია. არც ერთ რეგიონში, მესხეთის გარდა, არ დავბრუნდებით,"** - აცხადებს ჟურნალისტებთან საუბრისას თურქეთის "ახალციხელ თურქთა" საზოგადოების ლიდერი მავლუდ იეშრეფი.

ამგვარ კატეგორიულ განცხადებებს ოპონირებას გიორგი ხაინდრავა უწევდა, რომელიც ცდილობდა აეხსნა, რომ "ცარიელი სოფლებისგან" აღარაფერია დარჩენილი და ტრიალ მინდორში სახელმწიფო ვერავის დააბრუნებს. **"ჩვენ არ ვყოფთ ჩვენს სამშობლოს რეგიონების მიხედვით. ყველა ამ ადამიანს სამშობლოში დავაბრუნებთ,"** - განაცხადა ხაინდრავამ.

**"თურქეთში დღეისათვის 35 ათასამდე დეპორტირებული მესხი ცხოვრობს. მათგან ძალიან მცირე ნაწილი თუ დაბრუნდება,"** - აცხადებს თემურ ლომსაძე. მისი თქმით, საქართველოს დელეგაციის ბოლო ვიზიტის დროს თურქეთში გამართული მოლაპარაკებები დეპორტირებულ მესხთა რეპატრიაციის თაობაზე წარმატებული გამოდგა: **"იყო მაღალი დონის შეხვედრები, თურქეთის ხელისუფლებამ მზადყოფნა გამოთქვა, დახმარება გაგვიწიოს".**

რუსეთში მცხოვრები მესხების წარმომადგენლები ნაკლები კატეგორიულობით გამოირჩევიან. კომპაქტურად მესხები კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეებში, ყაბარდო-ბალყარეთსა და როსტოვის ოლქში ცხოვრობენ.

**"ყაბარდო-ბალყარეთში 14 ათასი მესხი ცხოვრობს, ძირითადად სოფლებში. ისინი სოფლის მეურნეობაში საქმიანობენ და საკმაოდ კარგი შემოსავალიც აქვთ. ადგილობრივი ხელისუფლება ჩვენს მიმართ კარგად არის განწყობილი და პრობლემებს არ გვიქმნის. განსხვავებით კრასნოდარის მხარისაგან, სადაც მესხებს ავიწროვებენ. მათ გამოსავალი აშშ-ში ემიგრაციაში იპოვეს",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ყაბარდო-ბალყარეთის საზოგადოება "ვათანის" თავმჯდომარემ იაშარ მუსაევმა.

**"მიუხედავად იმისა, როგორ გრძნობენ თავს რუსეთში ჩვენი თანამემამულეები, სამშობლო მაინც სამშობლოა. ადამიანებს უნდა გავუხსნათ გზა დასაბრუნებლად, მივცეთ ამის უფლება. კანონის მიღება აუცილებელია. ადამიანი თავად გადაწყვეტს, ისარგებლოს მინიჭებული უფლებით თუ არა. არ არის აუცილებელი ჩვენი კომპაქტურად განსახლება. მთავარი სამშობლოში დაბრუნებაა,"** - ამბობს მუსაევი.

სხვადასხვა ქვეყნებში გაბნეული მესხების რაოდენობა, არსებული მონაცემებით, 430 ათასამდე ადამიანს შეადგენს, თუმცა, თემურ ლომსაძის შეფასებით, მათგან საქართველოში 15-20 პროცენტი თუ დაბრუნდება.

**"ვინ ვართ ჩვენ?"** - ერთ-ერთმა მესხმა დელეგატმა ასეთი კითხვაც დასვა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მისამართით. იგი დეპორტირებულ მესხთა ეთნიკურ კუთვნილებას და ამ საკითხისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებას გულისხმობდა. გიორგი ხაინდრავამ მას განუმარტა, რომ მესხებს მიაწოდებენ ყველა საჭირო ინფორმაციას ამა თუ იმ გვარის წარმოშობისა და ფესვების შესახებ, თუმცა ეთნიკური კუთვნილება თავად ცალკეული პიროვნებების გადასაწყვეტია. სახელმწიფოს წინაშე კი ისინი ერთი - საქართველოს მოქალაქის სტატუსით ისარგებლებენ.

# ირანი არ აპირებს ნავთობის ექსპორტის შეწყვეტას

ირანის ნავთობის მინისტრის კაზემ ვაზირი-ჰამანეს განცხადებით, ირანი დასავლეთთან ურთიერთობაში ნავთობის პოლიტიკური მიზნებით გამოყენებას არ აპირებს.

ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობის მიუხედავად, ირანს ბოლო 20 წლის განმავლობაში ნავთობის ექსპორტი არ შეუწყვეტია და არც ამჟამად აპირებს ამის გაკეთებას. იმ ფონზე, როცა მსოფლიოში ნავთობზე მოთხოვნილება სულ უფრო იზრდება, ირანის მიერ ნავთობის ექსპორტის შეწყვეტა ნავთობზე ფასების მკვეთრ ზრდას გამოიწვევს, რასაც მსოფლიო სანავთობო ბაზარზე კრიზისი მოჰყვება.

მინისტრის აზრით, ირანის პოზიცია ნავთობის ექსპორტის გაგრძელების თაობაზე დადებითად აისახება გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებზე, რომლებიც პარასკევს ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ საკითხს განიხილავენ.

*ინტერპრესნიუსი*

# საზღვრის დაცვის დეპარტამენტი - შსს-ს დაქვემდებარებაში

პირველი გვერდიდან

ბადრი ბიწაძის თქმით, სასაზღვრო პოლიციას დაევალება ნარკოტიკების და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო საზღვარზე.

კომიტეტის სხდომაზე კანონპროექტის განხილვისას გაირკვა, რომ დასავლეთის ქვეყნებში საზღვრის დაცვა პოლიციური წესით ხდება და საქართველოც არ უნდა იყოს გამონაკლისი. თუმცა სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელი და დეპუტატები შეთანხმდნენ, რომ იქნება გამონაკლისი. კერძოდ, ვიდრე დაღესტანისა და ჩეჩნეთის საზღვრის მონაკვეთთან სიტუაცია სტაბილური არ გახდება, ამ ტერიტორიის დაცვა სამხედრო რაზმებით მოხდება.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კოტე გაბაშვილის განმარტებითაც, საზღვრის დაცვას ევროპულ ქვეყნებში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სწორედ პოლიციური სტრუქტურები ახორციელებენ და არა სამხედრო ქვედანაყოფები.

**"სამხედრო წესით საზღვრის დაცვა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დროს ხდებოდა, რკინის ფარდის არსებობის პირობებში. დღეისათვის კი მივიჩნევთ, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციად ჩამოყალიბება სტრუქტურის მართვის ეფექტიანობას გაზრდის და ხელს შეუწყობს მასზე დაკისრებული მოვალეობის უფრო წარმატებულად განხორციელებას",** - ასეთი შეფასება მისცა კომიტეტის თავმჯდომარემ საზღვრის დაცვის უწყების სასაზღვრო პოლიციად გადაკეთების კანონპროექტს.

*24 საათი*


# საქართველოს პრეზიდენტის ახალი ინვესტიცია

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების

ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა ეკონომისტებს (MBA), სახელმწიფო მართვის სპეციალისტებს და ჟურნალისტებს (მედია მენეჯმენტი), რომლებიც 2006-2007 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროპის ან ამერიკის შეერთებულ შტატების უნივერსიტეტებში.

სამაგისტრო პროგრამების დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს). შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

**ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!**

სამაგისტრო პროგრამის გრანტი გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, ვინც წარმოადგენს ოფიციალური მოწვევის წერილს ევროპის ან აშშ-ის რომელიმე უნივერსიტეტიდან, რაც ადასტურებს, რომ კანდიდატს გავლილი აქვს უნივერსიტეტში სწავლის ან სამეცნიერო მუშაობის დასაწყებად აუცილებელი ყველა წინასწარი გასაუბრება, კონკურსი, გამოცდა და ა.შ.

დეტალური ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე:
www.drf.org.ge
www.jobs.ge

შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:

**განვითარებისა და რეფორმების ფონდი**
**ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო**
**ტელ.: 996723**



გაცნობებთ, რომ

"აგრიტექნიქს ჯგუფმა" განაახლა "სადიას" პროდუქციისა და ბანანის დისტრიბუცია - გაყიდვა საქართველოს ტერიტორიაზე.

საქონლის შეძენის პირობებსა და ადგილმდებარეობაზე ინფორმაციისათვის, გთხოვთ მოგვმართოთ ცხელი ხაზის შემდეგ ნომერზე: 8 77 99 11 09

აგრიტექნიქს ჯგუფი
agritechnics group


# მართლმსაჯულების პრობლემები

*სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" მოსამართლეთა კონფერენცია გაიხსნა. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება მეოთხე საერთაშორისო კონფერენციას მართავს, რომელიც დღეს დასრულდება. კონფერენციაში "ცვლილებები იუსტიციის სფეროში - ახალი მიდგომები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მართლმსაჯულების მოდერნიზაციისას" მონაწილეობს საქართველოს, გერმანიის, სომხეთის და აზერბაიჯანის 120 მოსამართლე.*



ინტერპრესნიუსი

*მოსამართლეთა მეოთხე კონფერენცია თბილისში.*

**"იუსტიციის სფერო, განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, მუდმივ ცვლილებებს განიცდის. ამ პროცესში მოსამართლეები განუწყვეტლივ ახალი გამოწვევების წინაშე დგანან. კონფერენციაზე მოსამართლეები ორი დღის განმავლობაში გაცვლიან საკუთარ გამოცდილებას იუსტიციის სფეროს მოდერნიზაციასთან დაკავშირებით",** - აცხადებენ მოსამართლეთა მეოთხე საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორები.

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დავალებით, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება უკვე მეოთხედ მართავს მოსამართლეთა საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საქმიანი და კონსტრუქციული დიალოგის გაგრძელებაა. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და გერმანიის სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეები, სახელმწიფო მოხელეები, ასევე, იურისტები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი, სომხეთის საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე ჰოვანეს მანუკიანი, აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი რაფაელ გვალაძე, ბერლინის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტი მონიკა ნოერე და სხვა მოსამართლეები.

გასული წლის კონფერენციაზე შემუშავდა და გამოიცა ერთობლივი რეკომენდაციები და მოსაზრებები, განსაკუთრებით რესურსების ოპტიმალურ მოხმარებასთან, მოსამართლის დამოუკიდებლობის გამყარებასა და მაღალკვალიფიციურ სამოსამართლეო განათლებასთან დაკავშირებით. მიმდინარე წლის კონფერენციის თემა კი იქნება ცვლილებები მოსამართლის ფუნქციებში. განიხილება ცვლილებები აქტიური მოსამართლის ინსტიტუტის, ანუ მოსამართლის, როგორც მომსახურების გამწევის მიმართულებით. ამასთან, განიხილება ის სირთულეები, რომელიც დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის.

**"ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია თემატიკის თვალსაზრისითაც. ოთხი ქვეყნის მოსამართლეები თავიანთ გამოცდილებას და მოსაზრებას გაუზიარებენ ერთმანეთს. კონფერენციაზე წარმოდგენილი თემატიკიდან გამოვყოფდი მოსამართლეთა აქტიურობის საკითხს. მოსამართლეები უნდა გახდნენ უფრო აქტიურები. საქართველოში დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, მოსამართლე მის მიერ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით თუკი რაიმეს იტყოდა, ფასდებოდა როგორც მოსამართლის მიერ აზრის წინასწარი გამოთქმა. არადა, გერმანიაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მოსამართლის მიერ აზრის გამოთქმა შეზღუდული არ არის და არ აღიქმება, როგორც მოსამართლის მიერ წინასწარ გამოტანილი გადაწყვეტილება. გერმანაიში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თვითონ მოსამართლე ეუბნება მხარეებს კონკრეტულ საქმეში რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეთ, ამის შემდეგ მხარეს შეუძლია უკან წაიღოს სარჩელი, უარი თქვას მასზე. ეს კი ხელს უწყობს სწრაფი მართლმსაჯულების ჩამოყალიბებას. მხარემ უკვე იცის მისი საქმის შესაძლო პერსპექტივა. მოსახლეობას აქვს ერთი მიზანი - სწრაფად და სამართლიანად განხორციელდეს მართლმსაჯულება. როცა საქმის განხილვა ჭიანურდება, ხშირად სამართლიან გადაწვეტილებასაც უკვე აზრი ეკარგება. ვფიქრობ, გერმანიის პრაქტიკის გაზიარება ჩვენს სასამართლოს გამოადგება",** - განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა.

როგორც კონფერენციაზე გაირკვა, სომხეთის სასამართლო სისტემის პრობლემა დაბალი ანაზღაურებაა.

**"სომხეთში მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრობლემა ქვეყნის კონსტიტუციაში 2005 წელს შეტანილმა ცვლილებამ მოაგვარა. საკანონმდებლო დონეზე ეს საკითხი აბსოლუტურად მოწესრიგებულია. რა თქმა უნდა, სხვა საკითხია, თუ როგორ ხორციელდება იგი სინამდვილეში. მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენი მთავარი პრობლემა დაბალი ანაზღაურებაა, რომლის გამოც, საუკეთესო კადრები სახელმწიფო სამსახურიდან კერძო სექტორში, მაგალითად, კომერციულ ორგანიზაციებსა და ადვოკატურაში გადადიან",** - განაცხადა სომხეთის საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო და ეკონომიკურ საქმეთა პალატის თავმჯდომარემ არმან მკრტუმიანმა. მისი თქმით, ყველაზე მინიმალური ხელფასი სომხეთის სასამართლო სისტემაში 600 აშშ დოლარის ეკვივალენტია.

აზერბაიჯანში კი კვალიფიკაციური იურისტების ნაკლებობას უჩივიან.

როგორც აზერბაიჯანის უზენაესი სასამართლოს ეკონომიკური დავების კოლეგიის თავმჯდომარემ ჰიქმათ მირზოევმა განაცხადა, აზერბაიჯანის სასამართლოს სისტემის მთავარი პრობლემა პროფესიონალი იურისტების სიმცირეა.

**"სამწუხაროდ, ახალი თაობა ნაკლებად კვალიფიციურია. ვფიქრობ, ამ მიმართულებით, გარკვეული ღონისძიებები აუცილებლად უნდა გატარდეს",** - აღნიშნა მირზოევმა.

**"ჩვენ ვფლობთ ინფორმაციას იმ პრეტენზიის შესახებ, რომლებსაც საქართველოში მოსამართლეებს დამოუკიდებლობის თაობაზე უყენებენ, ვხვდებით სამივე ინსტანციის მოსამართლეებს და აღნიშნულ საკითხებსაც განვიხილავთ. თუმცა, გარწმუნებთ, რომ ეს თემა დახურული არ იქნება და პრობლემის გადასაჭრელად ღონისძიებები აუცილებლად გატარდება",** - აღნიშნა ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას "გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება "GTZ" სამხრეთ კავკასიაში სამართლებრივი და იურიდიული რეფორმების პროექტის წარმომადგენელმა ცენო რაიხენბეხერმა და დასძინა: **"პრობლემები ყველა ქვეყნის სასამართლო სისტემაში, მათ შორის, გერმანიაშიც არსებობს, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეები აუცილებლად დამოუკიდებლები უნდა იყვნენ".**

რაიხენბეხერმა თავი შეიკავა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სასამართლო სისტემების ღირსება-ნაკლოვანებათა შედარებისგან.

**"როგორც საქართველოს, ასევე, აზერბაიჯანსა და სომხეთს ამ სფეროში თავისი პრობლემები გააჩნია, ჩემი პრეროგატივა არ არის მათი შეფასება",** - განაცხადა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

მისი თქმით, მოსამართლეთა მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ამჟამად თბილისში მიმდინარეობს, ამიერკავკასიის ქვყნების სასამართლო სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე ინფორმაციას მოისმენენ და შესაბამის რეკომენდაციებსაც შემდეგ შეიმუშავებენ.

**"რეკომენდაციები, სავარაუდოდ, ორი ძირითადი მიმართულებით ჩამოყალიბდება და ის დისციპლინური სამართალდარღვევებისა და იუსტიციის საბჭოს მასმედიასთან ურთიერთობების საკითხებს მოიცავს ",** - აღნიშნა რაიხენბეხერმა.

*24 საათი*

# დამოუკიდებელი ორგანო ობიექტურობის გარანტი

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების მეხუთე საპყრობილეში მომხდარი ინციდენტიდან ერთი თვის თავზე "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

ასოციაციის წევრები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ საპყრობილეში მომხდარი ბუნტის ობიექტური გამოძიება დღემდე არ ხდება. მათი განცხადებით, მომხდარის გამო, იუსტიციის სამინისტროს მაღალჩინოსანთაგან არავინ დასჯილა და არ დამდგარა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი, იმ დროს, როცა ბუნტთან დაკავშირებით პასუხისგებაში მხოლოდ პატიმრები მიეცნენ.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამოც, რომ თანამდებობა არ დაუტოვებია იმ საპყრობილის უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, სადაც პატიმრებს ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდათ შენახული.

ერთი თვის წინ, ციხეში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა ეუთო-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ დე გუხტმა, რომელმაც მიზანშეწონილად მიიჩნია ინციდენტის დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი საგამოძიებო ჯგუფის მიერ გამოძიება.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ეთანხმება ეუთო-ს თავმჯდომარის, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის კარელ დე გუხტის განცხადებას და მიიჩნევს, რომ გამოძიების შედეგები ობიექტური მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ მას საზოგადოებრივი მონაწილეობით შექმნილი დამოუკიდებელი ორგანო აწარმოებს.

*24 საათი*





Getz

ქალაქური რომანი

როდესაც გიყვარს, გგონია, რომ მას იცნობდი ყოველთვის. იმიტომ, რომ ისიც ანიჭებს უპირატესობას ნათელ ფერებს და სალონის მრავალფეროვან გაფორმებას. იმიტომ, რომ მასთან ერთად მარტივია და იმიტომ, რომ მასაც უყვარს თქვენი ახალი Getz და თქვენი ძველი და ულამაზესი ქალაქი მსოფლიოში

HYUNDAI Official Partner

სამოდელო რიგი: Getz $9.900-დან; Santa FE New $28.100-დან; Tucson $18.800-დან; Sonata $18.900-დან; Terracan $23.500-დან; H-1 $21.500-დან

www.hyundai.ge

HYUNDAI
Drive your way™
იარე შენი გზით

# "ყვავილების ქვეყანა" ვაკეში



მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ხელისუფლება თბილისის სხვადასხვა უბნებში ყოველ კვირას ხსნის სკვერებს, ქალაქში პარკების ნაკლებობა მაინც შეინიშნება. თბილისში მწვანე ტერიტორიების თანდათან შემცირების გამო, ქალაქის წინაშე ეკოლოგიური პრობლემაც დადგა. არსებობს საკრებულოს ორი დადგენილება, რომლის მიხედვითაც გამწვანებულ ზოლებში, ბაღებსა და სკვერებში მშენებლობა იკრძალება, თუმცა დადგენილება არ შესრულებულა.

საკრებულოს წევრისა და ფრაქცია "ნაციონალების" თავმჯდომარის ნანული ქაჩიბაიას თქმით, წლების განმავლობაში უკანონო მშენებლობების გამო, ქალაქში უამრავი პარკი გაიჩეხა.

**"დღეს ეკოლოგიური თვალსაზრისით უმძიმესი მდგომარეობაა ქალაქში. ხშირ შემთხვევაში ნარგავებს ვიღაც სპეციალურად წვავდა, ან ჩეხავდა. ასეთი არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა. ნელ-ნელა ქალაქმა დაკარგა მწვანე ზონები და პარკები. ვაკე-საბურთალოს გზაზე შუა ნაწილი მთლიანად გამწვანებული იყო, თუმცა მათ მაგივრად დღეს ბენზინგასამართი სადგურებია ჩამწკრივებული,"** - აღნიშნა ნანული ქაჩიბაიამ. მისივე თქმით, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში სკვერები და პარკები აღმოჩნდნენ.

იმისათვის, რომ ვაკის პარკი ოცდამეერთე საუკუნის შესაფერის პარკად მოეწყოს, საჭიროა ინვესტიციის ჩადება და გამოცდილი ადამიანების მუშაობა. ქალაქის გამწვანებისთვის თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს საკმაოდ დიდი თანხა აქვს ბიუჯეტში. ქაჩიბაიას აზრით, კარგი იქნება, თუკი რომელიმე ფირმა თანადაფინანსების პირობებში საკუთარ ინვესტიციასაც ჩადებს და ქალაქის გამწვანებაზე იზრუნებს.

**"ცოტა ხნის წინათ თბილისის მერთან ერთად საქველმოქმედო აქციაზე ვიყავით ვაკის პარკში. პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე არის ფირმა "გეო-გრინის" მიერ გალამაზებული ადგილი, რომელსაც "ყვავილების ქვეყანა" ჰქვია. მიხარია, რომ თბილისში გაჩნდა ერთი კუთხე, სადაც გამწვანებაზე ფიქრობენ და ზრუნავენ. გარდა ამისა, საქველმოქმედო აქციებსაც მართავენ. მე საუბარი მქონდა "გეო-გრინის" წარმომადგენლებთან და გაჩნდა იდეა, რომ თუკი ქალაქის ხელმძღვანელობა მოინდომებს დედაქალაქის გამწვანებას, მაშინ ეს ადამიანები მზად არიან ინვესტიციაც ჩადონ და თანადაფინანსების ხარჯზე მოაწყონ სკვერები და პარკები. შესაძლოა მათ ინგლისელი სპეციალისტებიც ჩამოიყვანონ, რათა იქაური სისტემით მოხდეს პარკების გაშენება. პირადად მე, როგორც საკრებულოს წევრი და ფრაქცია "ნეციონალების" თავმჯდომარე მივესალმები ასეთ ინიციატივებს,"** - განაცხადა ქაჩიბაიამ.

ფირმა "გეო-გრინი" 2003 წლიდან ფუნქციონირებს. მათ ვაკეში მართლაც ულამაზესი ბაღი "ყვავილების ქვეყანა" გააშენეს. აქ სხვადასხვა ქვეყნიდან საუკეთესო ეგზოტიკური მცენარეები და დეკორატიული ხეები ჩამოაქვთ. ნებისმიერ მსურველს შეუძლია მივიდეს, დაათვალიეროს და მისთვის სასურველი მცენარის ნერგი შეუკვეთოს. როგორც ამ ფირმის ხელმძღვანელმა მურმან თაბუკაშვილმა გვითხრა, ყველა ქვეყანაში სკვერების გამწვანებაზე სპეციალისტები ზრუნავენ. იმისთვის, რომ პარკი სრულყოფილად იქნას მოწყობილი, საჭიროა გამწვანებასთან ერთად დაიდგას საპარკო ქანდაკებებიც.

**"ჩვენ გვინდა სამხატვრო აკადემიაში სტუდენტებს მივცეთ შესაძლებლობა, რომ საპარკო ქანდაკებების ესკიზები შექმნან. სულ 12 გამარჯვებულს გამოვავლენთ. გარდა იმისა, რომ გამარჯვებულებს ფულად პრიზებს გადავცემთ, ასევე მივცემთ შესაძლებლობას ჩვენს ბაღში იმუშაონ და გააკეთონ საპარკო ქანდაკებები.**

**"ყვავილების ქვეყანაში" ძირითადი აქცენტი მცენარეების გამოყვანასა და გამწვანებაზე კეთდება. გარდა ამისა, ყველას შეუძლია მოვიდეს და დაისვენოს ლამაზ გარემოში. საზღვარგარეთ არსებობს ყვავილების ყოველწლიური დღესასწაული, სადაც საუკეთესო ყვავილების დეკორაციაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ჩვენ გვინდა საზღვარგარეთელი სპეციალისტები ჩამოვიყვანოთ და მსგავსი დღესასწაული აქაც მოვაწყოთ. გარდა ამისა გვინდა გამოვიდეთ ინიციატივით და ახალი მოძრაობა -"გადავარჩინოთ ვაკისპარკი" წამოვიწყოთ, რაც პარკის დასუფთავებას გულისხმობს,"** - განაცხადეს "გეო-გრინში".

"ყვავილების ქვეყანაში" 9 მაისისთვის სავარაუდოდ ინგისელ ვეტერანებსაც ელოდებიან. მანამდე ყვავილების სამყაროში საქართველოში აკრედიტირებული ელჩების შეხვედრა და ბუნებაში საჭადრაკო ტურნირის გამართვაც იგეგმება.

**"24 საათი"**




**ბანკი: საქართველოს ბანკი**

**თარიღი: 03/31/06**

RC — საბალანსო უწყისი — ლარებში

| N | აქტივები | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნაღდი ფული | 14,668,029 | 22,503,294 | 37,171,323 |
| 2 | ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 37,599,838 | 66,411 | 37,666,249 |
| 3 | ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 5,500,000 | 45,673,429 | 51,173,429 |
| 4 | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | 0 | 0 | 0 |
| 5 | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 5,038,755 | 0 | 5,038,755 |
| 6.1 | მთლიანი სესხები | 121,953,892 | 273,361,415 | 395,315,307 |
| 6.2 | მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | (7,078,144) | (28,646,615) | (35,724,759) |
| 6 | წმინდა სესხები | 114,875,748 | 244,714,800 | 359,590,548 |
| 7 | დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 1,234,157 | 2,470,275 | 3,704,432 |
| 8 | დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება | 1,043,222 | X | 1,043,222 |
| 9 | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | 9,868,834 | 0 | 9,868,834 |
| 10 | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 38,112,033 | X | 38,112,033 |
| 11 | სხვა აქტივები | 26,890,460 | 35,757,129 | 62,647,589 |
| 12 | **მთლიანი აქტივები** | 254,831,076 | 351,185,338 | 606,016,414 |
| | **ვალდებულებები** | | | |
| 13 | ბანკების დეპოზიტები | 166,484 | 2,882,906 | 3,049,390 |
| 14 | მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) | 68,058,344 | 72,239,139 | 140,297,483 |
| 15 | მოთხოვნამდე დეპოზიტები | 13,543,020 | 28,739,493 | 42,282,513 |
| 16 | ვადიანი დეპოზიტები | 17,933,569 | 120,170,720 | 138,104,289 |
| 17 | საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები | 1,707,300 | | 1,707,300 |
| 18 | ნასესხები სახსრები | 20,000,000 | 109,153,357 | 129,153,357 |
| 19 | დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 569,964 | 4,301,148 | 4,871,112 |
| 20 | სხვა ვალდებულებები | 13,209,908 | 34,162,338 | 47,372,246 |
| 21 | სუბორდინირებული ვალდებულებები | 0 | 0 | 0 |
| 22 | **მთლიანი ვალდებულებები** | 135,188,589 | 371,649,101 | 506,837,690 |
| | **სააქციო კაპიტალი** | | | |
| 23 | ჩვეულებრივი აქციები | 15,464,558 | X | 15,464,558 |
| 24 | პრივილეგირებული აქციები | 0 | X | 0 |
| 25 | მინუს: გამოსყიდული აქციები | 0 | X | 0 |
| 26 | საემისიო კაპიტალი | 37,934,392 | X | 37,934,392 |
| 27 | საერთო რეზერვები | 0 | X | 0 |
| 28 | გაუნაწილებელი მოგება | 40,200,241 | X | 40,200,241 |
| 29 | აქტივების გადაფასების რეზერვები | 5,579,533 | X | 5,579,533 |
| 30 | **სულ სააქციო კაპიტალი** | 99,178,724 | X | 99,178,724 |
| 31 | **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | 234,367,313 | 371,649,101 | 606,016,414 |

**ბანკი: საქართველოს ბანკი**

**თარიღი: 3/31/06**

RI — მოგება - ზარალის უწყისი — ლარებში

| N | | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|
| | **საპროცენტო შემოსავლები** | | | |
| 1 | საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით | 184,128 | 150,558 | 334,686 |
| 2 | საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან | 5,300,921 | 9,322,846 | 14,623,767 |
| 2.1 | ბანკთაშორისი სესხებიდან | 59,863 | 7,733 | 67,596 |
| 2.2 | ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1,175,468 | 3,230,393 | 4,405,861 |
| 2.3 | ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 787 | 14,817 | 15,604 |
| 2.4 | სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 13,132 | 40,387 | 53,519 |
| 2.5 | მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 285,735 | 173,855 | 459,590 |
| 2.6 | სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 511,871 | 1,222,334 | 1,734,205 |
| 2.7 | ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 65,833 | 153,817 | 219,650 |
| 2.8 | ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან | 2,969,878 | 3,355,007 | 6,324,885 |
| 2.9 | დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 218,354 | 1,124,503 | 1,342,857 |
| 3 | საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან | 231,974 | 0 | 231,974 |
| 4 | სხვა საპროცენტო შემოსავლები | 0 | 0 | 0 |
| 5 | **მთლიანი საპროცენტო შემოსავალი** | 5,717,023 | 9,473,404 | 15,190,427 |
| | **საპროცენტო ხარჯები** | | | |
| 6 | მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 183,440 | 222,225 | 405,666 |
| 7 | ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 477,994 | 2,425,799 | 2,903,792 |
| 8 | ბანკების დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 13,704 | 253,116 | 266,820 |
| 9 | საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები | 40,973 | 0 | 40,973 |
| 10 | ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები | 167,109 | 1,182,738 | 1,349,847 |
| 11 | სხვა საპროცენტო ხარჯები | 0 | 0 | 0 |
| 12 | **მთლიანი საპროცენტო ხარჯები** | 883,220 | 4,083,878 | 4,967,098 |
| 13 | **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | 4,833,803 | 5,389,526 | 10,223,329 |
| | | | | |
| | **არასაპროცენტო შემოსავლები** | | | |
| 14 | წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით | 1,224,807 | 2,004,371 | 3,229,178 |
| | საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით | 1,316,496 | 2,332,486 | 3,648,982 |
| | საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით | 91,689 | 328,115 | 419,804 |
| 15 | მიღებული დივიდენდები | 0 | 0 | 0 |
| 16 | მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან | 2,825 | 0 | 2,825 |
| 17 | მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | 0 | 0 | 0 |
| 18 | მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან | 1,826,932 | 0 | 1,826,932 |
| 19 | მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | (16,047) | 0 | (16,047) |
| 20 | მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან | 67,649 | 0 | 67,649 |
| 21 | სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები | 136,288 | 491,033 | 627,321 |
| 22 | სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 349,956 | 3,580 | 353,536 |
| 23 | **მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები** | 3,592,410 | 2,498,984 | 6,091,394 |
| | **არასაპროცენტო ხარჯები** | | | |
| 24 | სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები | 126,180 | 261,926 | 388,106 |
| 25 | ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები | 742,217 | 514,860 | 1,257,077 |
| 26 | ბანკის პერსონალის ხარჯები | 5,393,645 | 0 | 5,393,645 |
| 27 | ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯები | 99,194 | 0 | 99,194 |
| 28 | ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 1,025,535 | 0 | 1,025,535 |
| 29 | სხვა არასაპროცენტო ხარჯები | 1,909,824 | 87,076 | 1,996,900 |
| 30 | **მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები** | 9,296,595 | 863,862 | 10,160,457 |
| 31 | **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | (5,704,186) | 1,635,122 | (4,069,063) |
| | | | | |
| 32 | **წმინდა მოგება დარეზერვებამდე** | (870,382) | 7,024,648 | 6,154,266 |
| | | | | |
| 33 | ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 1,417,868 | X | 1,417,868 |
| 34 | ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 0 | X | 0 |
| 35 | ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 51,547 | X | 51,547 |
| 36 | **მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით** | 1,469,415 | 0 | 1,469,415 |
| | | | | |
| 37 | **მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე** | (2,339,797) | 7,024,648 | 4,684,851 |
| 38 | მოგების გადასახადი | 631,410 | | 631,410 |
| 39 | **მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ** | (2,971,207) | 7,024,648 | 4,053,441 |
| 40 | გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები) | | | 0 |
| 41 | **წმინდა მოგება** | (2,971,207) | 7,024,648 | 4,053,441 |

გენერალური დირექტორი
მთავარი ბუღალტერი



## აფიშა

### 28 აპრილი

თეატრი

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი**
პრემიერა
ოთარ თაქთაქიშვილი. "მინდია"
დამდგმელი რეჟისორი გეორგ რუტენინგი
დამდგემელი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი
დასაწყისი: 19.00

**რუსთაველის თეატრი**
ილია ჭავჭავაძე. "კაცია-ადამიანი?!"
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

**თბილისის მუსიკისა და დრამის თეატრი**
"მაკულატურა, დღეს ორშაბათია"
რეჟისორი დავით დოიაშვილი და გურანდა იაშვილი
დასაწყისი: 19.00

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
"ჩვენი პატარა ქალაქი". რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი**
"მეტამორფოზა". რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი (ვაკეში)**
პრემიერა. "დარისპანის გასაჭირი"
რეჟისორი გოჩა კაპანაძე
დასაწყისი: 18.00

**თავისუფალი თეატრი**
"აჩრდილები". დასაწყისი: 19.00

მუსიკა

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი. ნინა ქავთარაძე (დანია)
შოპენის, შუბარტისა და ლისტის ნაწარმოებები
დასაწყისი: 19.00

გალერეა

**ქარვასლა**
გიორგი ხოსიტაშვილის ფოტოგამოფენა

## მხატვრები მიუნხენიდან

მიუნხენის სამხატვრო აკადემიის 17-მა სტუდენტმა და პროფესორმა მათიას ვერნერმა, რომლებმაც ერთი კვირა გაატარეს თბილისში და თბილისის სამხატვრო აკადემიის მასპინძლობა გამოსცადეს, გუშინ აკადემიის შენობაშივე შეხვედრა-პრეზენტაცია მოაწყვეს.

ერთი კვირის განმავლობაში მათ საქართველოს არაერთი მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი ადგილი იხილეს და შთაბეჭდილებები მომავალი ფოტოექსპოზიციის ვიდეოს კადრებში მოაქციეს.

მიუნხენის აკადემიის სტუდენტებმა საქართველოში ჩამოსვლა Daad-ის პროგრამის დაფინანსებით მოახერხეს. რაც შეეხება მათ პროფესორს, ბატონი მათიას ვერნერი საქართველოში ოთხი წლის წინაც იმყოფებოდა. მან თბილისს საკუთარი ფოტონიმუშები გააცნო და სათანადოდ, საინტერესო მოგონებებიც დაიტოვა.

გუშინ ორი აკადემიის წარმომადგენლებმა მრავალი გეგმა დაისახეს. პირველი და ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მიუნხენი თბილისის სამხატვრო აკადემიას საპასუხო მასპინძლობას სთავაზობს, ქართველი ახალგაზრდა მხატვრები კი იგივე Daad-ის პროგრამით მიუნხენში გამგზავრებას აპირებენ.

## ლენონის რვეული 227 ათასად

ჯონ ლენონის საშინაო დავალების რვეული ბრიტანულ სააუქციონო სახლ "კუპერ ოუენში" 126 ათას ევროდ (227 ათას დოლარად) გაიყიდა.

წითელყდიანი რვეული, რომელსაც 12 წლის ჯონის ხელით აწერია "ჩემი ანთოლოგია", შეიძინა ბრიტანელმა მელომანმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა. აუქციონის მეორე დიდი ლოტი გახდა ჯონ ლენონის ჟურნალი, რომელსაც მუსიკოსი 1980 წელს იახტა "მეგან ჯაითზე" რვადღიანი მოგზაურობისას აწარმოებდა. იგი თითქმის 12 ათას დოლარად გაიყიდა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ჩემი მეგობარი ჰიტლერი

სამეფო უბნის თეატრში რეჟისორ დავით მღებრიშვილის სპექტაკლის "ჩემი მეგობარი ჰიტლერის" პრემიერა 2 მაისს გაიმართება. პიესის ავტორია იაპონელი დრამატურგი იუკიო მისიმა, რომელიც თავის ნაწარმოებში მეორე მსოფლიო ომამდელ იაპონიაში ოთხი მეგობრის ცხოვრებას აღწერს.

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ნატო მურვანიძე, ნიკა თავაძე, რეზო თავართქილაძე და ლევან ყოჩიაშვილი. დადგმის მხატვარია ანა ნინუა. სპექტაკლის საპრემიერო ჩვენება 2, 3, 4, 5, 6 და 7 მაისს გაიმართება.

*ინტერპრესნიუსი*

## განათლების კატალოგების საერთაშორისო გამოფენა

თბილისი განათლების კატალოგების საერთაშორისო გამოფენას უმასპინძლებს. განათლების ცენტრების კატალოგების საერთაშორისო გამოფენა, რომელსაც საკრედიტო კავშირის წევრები გაუწევენ ორგანიზებას, მიმდინარე წლის შემოდგომაზე გაიმართება. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს ევროპისა და მსოფლიოს 700-მდე უნივერსიტეტი, კოლეჯი, ენის შემსწავლელი და სხვა საგანმანათლებლო ცენტრი. უცხო ქვეყანათა საელჩოების განათლებისა და კულტურის სექტორები იზრუნებენ სრულად წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების ძირითადი საგანმანათლებლო ცენტრები.

გამოფენას პარტნიორობას უწევს ბოლონიის პროცესში გაერთიანებულ ქვეყანათა საერთაშორისო ასოციაციები, საგანმანათლებლო და კულტურული წარმომადგენლობითი მისიები, საელჩოები.

აქცენტი

# ტაბუირებული ამბები და ფობიები

### სახელოვნებო კრიტიკას ფორმატი არ გააჩნია

სოფო კილასონია

მეგონა, რომ ერთი წლის წინ საუბარი თუ მსჯელობა სახელოვნებო კრიტიკის არსებობა-არარსებობის გარშემო ამოვწურე და ზოგადი მსჯელობებით მოვახერხებდი ამ საჩოთირო თემისგან თავის დაღწევას, მაგრამ შევცდი. ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ იმაზე მეტი აღმოვაჩინე, ვიდრე ამას მაშინ წარმოვიდგენდი. თავისუფალი, უფრო სწორად, განსხვავებული აზრის გამოთქმა იმაზე მეტად მიუღებელი გამოდგა, ვიდრე მეგონა. თანაც, ამ თვალსაზრისით საქმე ყველაზე რთულადაა არა პოლიტიკაში, არამედ კულტურისა და საზოგადოების სფეროებში. აღმოჩნდა, რომ ისტორია მხოლოდ შელამაზებული მოგვწონს, თავკომბალა ხელოვნების პრინციპსა და კერპებს ჰყავთ არა უბრალოდ თაყვანისმცემლები, არამედ ხმალამოღებული "პირდაღებულნი". სამწუხაროდ, ისიც აღმოვაჩინე, რომ პრობლემები სახელოვნებო მედიაში მოდის არა მხოლოდ მმართველთა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ინიციატივა-ინტერესებიდან, არამედ თავად არტისტული წრეებიდან, რომელთა წარმომადგენლების უმრავლესობას კრიტიკის (ზოგადად თუ კონკრეტულად) არ სჯერათ და მისდამი აგრესიას არ მალავენ არც კერძო შეხვედრებში და კულუარებში, არც პრესკონფერენციებზე ჟურნალისტებთან საუბრისას. პრობლემები, როგორც ჩანს, გვაქვს საზოგადოებაშიც. აქ ყველაზე მტკივნეული მაინც კულტურის საკითხებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა და ნებისმიერი ოდნავ ღია საუბარი ისე გამოიყურება, როგორც ეპატაჟი კონკრეტული ადამიანის, ანდა, უარესი, რომელიმე თაობის მიმართ. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება სრული საზოგადოება, არც მხოლოდ მცირე ნაწილი, მაგრამ რაკი იმ მცირესაც გვაქვს ასეთი ფობიები, საკითხი სასაუბროდ ნამდვილად ღირს. რაც შეეხება ეპატაჟს, სულ ტყუილად გვგონია, რომ ამა თუ იმ სტატიის ავტორს ეკრძალება ამ ხერხთან სიახლოვე. მეტიც: ეპატაჟი გარკვეული დოზით კრიტიკის ნაწილია, თუმცა, თუ რომელიმე დაბნეულ მკითხველს ჰგონია, რომ ამ ხერხის მიღმა შეურაცხმყოფელი ფრაზები და შიშველი ირონია იმალება, ძალიან ცდება...

კრიტიკაზე ვწერდით და მთავარ აქცენტს მაინც სახელოვნებო კრიტიკაზე გავაკეთებთ. სიტყვა "კრიტიკა", რომელიც ჩვენთვის აშკარად რადიკალურად ჟღერს, უნდა გავამარტივოთ და უბრალოდ იმას გადავხედოთ, თუ როგორ განიხილავს პრესა და ტელევიზია სახელოვნებო სფეროს, მის ამა თუ იმ მოვლენას. აქ ძალზე მარტივია პასუხი. თუ ამჟამინდელ მედია-ორგანიზმებს გადავხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა განხილვა აქ სრულიად უადგილოა. თუ დაკვირვებიხართ, რა სევდის მომგვრელია ყოველი სიუჟეტი კულტურაზე "კურიერის" ბოლოს, დაახლოებით ერთ წუთს რომ გრძელდება. ისიც მხოლოდ დაბნეული ჟურნალისტების მცდელობაა, "მოკლე სიტყვით" თქვან ის ყველაფერი, რაც სათქმელია, ანდა რისი გაგებაც მოასწრეს. ან თუ დაკვირვებიხართ, როგორ ლამაზად და გამართულად კითხულობენ "არტ-ბულვარში" ამა თუ იმ გაზეთის სტატიებს, თუ დაგითვლიათ, რამდენი ანალიტიკური სიუჟეტი მიუძღვნა "დროებამ" სახელოვნებო სფეროს. მსუბუქად რომ ვთქვა, მე ბევრს ვერ ვიხსენებ, თუ, რა თქმა უნდა, კულტურაში მხოლოდ ამა თუ იმ ძეგლის ისტორიასა და მასთან დაკავშირებულ სასწაულებს არ მოვიაზრებთ. ისე კი, კულტურაში იმაზე მეტის მოაზრება შეიძლება, ვიდრე ამას ჩვენი მედია-წარმომადგენლები შეძლებენ. სულაც არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარი საკითხებით გაჯერებული პროგრამები ინტერესმოკლებული იქნება. თუმცა, თუ პროგრამებს შევეხებით, აქ მთავარია ვინ აკეთებს და ესმის თუ არა ის, რასაც აკეთებს. მაგალითად, საზოგადოებრივი ტელევიზიის ახალი პროექტებიდან (თუმცა ჯერ არ ვიცი, ისინი სად არის, მაგრამ აშკარად არის ახალი დოკუმენტური ფილმები), რომელთა მიზანი თუ შინაარსი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ორი ცნება სულაც ერთია) ერთი კონკრეტული პიროვნების, გამოჩენილი ქართველის პორტრეტის შექმნაა. გმირებს ძირითადად სახელოვნებო სფეროდან ირჩევენ და ეს ფილმები, ასე თუ ისე, საყურებლად ვარგისია, მაგრამ ესეც იმიტომ, რომ ეს ადამიანები გვაინტერესებს. რაც შეეხება პროექტის ფორმასა და შესრულებას, აქ საინტერესო დეტალებთან ერთად ღიმილის მომგვრელი ფაქტები და ასპექტები გვხვდება. ბრტყელი ფრაზები, ინფორმაცია, რომელიც ნებისმიერმა იცის და გაუგია, ვითომ იუმორში გადატანილი რეპლიკები და ბოლომდე ჩამოუყალიბებული სცენარები. აი ის, რაც შეიძლება დარჩეს გონებაში ამ ფილმების თუ სხვა ნებისმიერი არტ-სიუჟეტის ხილვისას. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ჰგონიათ, სახელოვნებო სფერო მხოლოდ გასართობი სფეროა, იმიტომ რომ ფიქრობენ, "Art-News"-ით ამოიწურება ყველაფერი, რაც მასში არის საინტერესო. ჩვენთან ხელოვნებაზე არავინ მსჯელობს, ზოგადად კულტურასა და მის მრავალსახეობაზე კი - საერთოდ არავინ...

რაც შეეხება ბეჭდვით მედიას, აქ გვერდი "კულტურა" ხშირად გვხვდება, თუმცა ანალიტიკა, მსჯელობა, კამათი და თუნდაც მარტივი ესეისტიკა არ გვქავს. აქ ისევ ის სიბრტყეებია, რაც უკვე ვახსენეთ. იმ გაზეთებისთვის, რომლებიც პოლიტიკურ დებატებსა და ჭორაობაში ერთმანეთს ეჯიბრებიან, თამამი აზრი სახელოვნებო სფეროსთან და ამა თუ იმ კონკრეტული მოვლენის თაობაზე მათ მიერვეა ტაბუირებული. დამოკიდებულებებზე, შთაბეჭდილებებზე, მაგალითებზე, შედარებებზე, საზოგადოებრივ აზრზე საუბარის ნაცვლად ისევ და ისევ სადა, პირფერული, ხანაც პოზიციას მოკლებული ინტერვიუები გვხვდება და მორჩა, სხვა არაფერი.

თუმცა მე ის ტენდენცია დამავიწყდა, რაც ამ ბოლო დროს განსაკუთრებით მძაფრად დავინახე. რიგი ორგანიზაციები და პირები, თეატრების პრესსამსახურები და პიარები, საკუთარ ფუნქციას იმაში ხედავენ, რომ მეგობარ "კრიტიკოსთა" ნაღვაწით სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები ააჭრელონ. ამით წარმატებით სრულდება ახალი წარმოდგენის გარკვეული აქტი, რომელსაც, იციან, რომ რეცენზია, თანაც აღფრთოვანებული, ძალიან სჭირდება. ყველაზე ჩამოუყალიბებელი სპექტაკლიც კი შეიძლება რთული და მოკვდავთათვის გაუგებარი აღმოჩნდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი რაღაც უცნაურად და სხვანაირად კარგადაა.

ამბობდნენ, რომ კრიტიკული წერილების, ანუ შეფასებითი მსჯელობის გამოქვეყნების სურვილი და ხანაც შესაძლებლობა გაზეთებსა და ჟურნალებს არა აქვთ და ამიტომ რჩებოდათ პროფესიონალებს სათქმელი უთქმელი. შესაძლოა, ასეც იყოს. დღესაც მეუბნებიან, რომ კრიტიკა - ეს ის მეცნიერებაა, რომელსაც ხშირად დიდი ფორმატი და სპეციალური გამოცემები სჭირდება. შესაძლოა, ასეც იყოს. ალბათ ისიც სიმართლეა, რომ ეს მეცნიერებაა, მაგრამ როცა უკვე არსებულ ბეჭდვით მედიაში ხელოვნების აქტუალიზაციის ტენდენციაც კი არ ჩანს, რითი გახდება საინტერესო სხვა, სადაც სქელტანიანი მოხსენებები დაიწერება, ისეთი, რომელიც არც ერთ მხარეს აწყენინებს და მეორე მხარესაც მოეფერება? მიუხედავად იმისა, რომ მთავარი პრობლემა მაინც ახლანდელ სახელოვნებო საზოგადოებაშია, რომელსაც ტუსოვკებზე სიარული და მათი საჯარო განხილვა უფრო მოსწონს, ვიდრე იმაზე მსჯელობა, რასაც თვითონაც კი მაღალ ხელოვნებას უწოდებს და თუნდაც ოდნავი ინტრიგით დასმულ კითხვას სიბრაზით პასუხობს, მედია-საზოგადოებასაც პოლიტიკური მითქმა-მოთქმა უფრო ხიბლავს და ესმის, ვიდრე ხელოვნების რომელიმე მიმართულება. შესაბამისად, არც მკითხველი და არც მაყურებელი არ არის შეჩვეული ისეთ მოვლენებს, როგორიცაა თუნდაც TV5-ის რომელიმე საათნახევრიანი გადაცემა ფრანგულ შოკოლადზე, ანდა ერთი ნახატის ისტორიაზე. აღარაფერს ვამბობთ მთელ რიგ დოკუმენტურ ფილმებსა და გადაცემებზე სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენს ჟურნალისტებს ლიტერატურაც მაშინ აინტერესებთ, როცა მწერალთა კავშირის მორიგი გმირული თავგადასავალი იწყება და თეატრიც მაშინ, როცა რეჟისორები მთავრობას უჯავრდებიან.

რაც შეეხება პროფესიულ კრიტიკას, ის საერთოდ სადღაც მიილია. უცნაურია, მაგრამ ასეთ გარემოსთან შეგუება ხელოვანთ დიდად არ აზარალებს. იმათ წინააღმდეგ კი, ვინც "საბჭოთა ხელოვნების" მსგავს გამოცემებს არ ელიან და არსებულ სივრცეში მაქსიმალურად თამამად და საკუთარი სურვილის მიხედვით ამბობენ სათქმელს, ბრძოლა საინტერესოდ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. იმდენად საინტერესოდ, რომ მეტის წერის სურვილი ჩნდება. იმიტომ არა, რომ ოდესმე არტისტები დააფასებენ. მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი საქმის ხიბლი კიდევ ერთხელ შეიგრძნონ. დღეს დიდ საბჭოებზე აღარ განიხილავენ ამა თუ იმ სპექტაკლსა და გამოფენაზე დაწერილ რეცენზიებს. ვშიშობ, რომ ვერ მოვახერხებთ ახალგაზრდა თაობის აღზრდას მოწოდებითა და მორალისტური, დემაგოგიური გამოსვლებით. სახელოვნებო კრიტიკა "ჩემი", ანუ სუბიექტური აზრია, რომელიც, ბუნებრივია, იმას უნდა ამბობდეს, რასაც დანარჩენი საზოგადოება ვერ ხედავს ან არ ამბობს, რომელიც, თავისთავად ცხადია, ცოდნასა და ინტელექტზე დაყრდნობით მოდის, მაგრამ ესეც თავისებური შემოქმედებაა, სადაც ვარიაციები, იმპროვიზაციები და მიმართებები ისეთივე ცვალებადი და სუბიექტურია, როგორც ის, რასაც აკრიტიკებენ. აქ არც ეპატაჟია გამორიცხული და არც თავბრუდამხვევი და "გაფრენილი" მონოლოგები. თანამედროვე არტ-კრიტიკას წესები და ფორმატი არა აქვს. აქ პოზიციისთვის ვერავინ ვერავის ვერ განსჯის. ეს არ არის მოწოდება. ეს იმ ფაქტების შედეგია, რომელსაც დასავლური, ამ სფეროში განვითარებული კულტურა გვაძლევს. იმას, რომ ეს სფერო ხელოვნების სხვა მედიებთან ერთად უნდა განვითარდეს ან ხელახლა დაიწყოს, მსჯელობა არ სჭირდება. სრულიად რიგით ადამიანსაც კი ღვაწლმოსილთა აჩრდილი აზრის გამოთქმას ვერ აუკრძალავს. ეს ნაცნობ-მეგობრული მიწერ-მოწერა რომ არტისტული გემოვნების კომპასად დიდხანს ვერ გამოდგება, არც ეს უნდა იყოს საეჭვო.



# "კულტურტივები" ვირტუალურ კულტურულ რეგიონში

### დათო მაღრაძის "სალვე"

*გერმანულ საიტზე "ს. ვ. პ. ვირტუალური კულტურული რეგიონი" ცნობილი გერმანელი მწერალი, ლიტერატორი, კალვის ხელოვნების უნივერსიტეტის პოეტიკის და კულტურის ესთეტიკის პროფესორი ული როტფუსი უძღვება რუბრიკას, სადაც როგორც წესი, აქვეყნებს რეცენზიებს, იძლევა შეფასებებს და მკითხველს ურჩევს, კვირის განმავლობაში გამოცემული წიგნებიდან, რომელს მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება. 2006 წლის 14 აპრილს ამ საიტზე გამოქვეყნდა ული როტფუსის რეცენზია დათო მაღრაძის ბერლინში გამოცენულ, გერმანულ ენაზე თარგმნილ წიგნზე "სალვე".*




ული როტფუსი

ის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პოეტია, იყო პარლამენტის დეპუტატი და რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს კულტურის მინისტრი, არის საქართველოს ეროვნული ჰიმნის ავტორი, საქართველოს პენ-ცენტრის პრეზიდენტი. მაგრამ უწინარეს ყოვლისა დათო მაღრაძე პოეტია - პოეტი, რომელიც თავისი ლექსებით მთელ სამყაროს ქმნის, თავის მრავალრიცხოვან თემებზე საუბრისას არაფერს უთქმელს არ ტოვებს, თან ამ თემებს ისე კრავს ერთ მთლიანობად, რომ განსაკუთრებული ხასიათის პოეზიას ვიღებთ. მისთვის დამახასიათებელია - და ეს მის კავკასიურ წარმოშობასაც უკავშირდება - რეალურისა და მითოლოგიურის, კონკრეტული ცხოვრებისეული სამყაროსა და მითოსურიდან მომავალი მოტივების არაჩვეულებრივად მსუბუქი დაკავშირება.

გარდა ამისა, პოეტისთვის ცალკეა მნიშვნელოვანი თავისი საკუთარი წარმომავლობა: წარმომავლობა განათლებული, ლიტერატურული ტრადიციების მქონე ოჯახიდან. მაღრაძე ირჩევს ლიტერატურული წინასიტყვაობების მეთოდს, რითაც მას ოსტატურად შევყავართ საკუთარი წარმომავლობისა და მის ლირიკულ სამყაროში.

მისი ლექსები მისი ყოველდღიური ცხოვრების შედეგია, მაგრამ ლირიკული ოსტატობით ტრანსფორმირებული. ფრთხილად უვლის გარს ადამიანების საიდუმლოებებს. ცდილობს ადამიანის, კაცობრიობის ენერგიის ერთგვარ ატაცებას და მის თავის ლექსებში არეკვლას. ცდილობს თავის ლექსებში ადამიანის ყოფას, ზოგადად ადამიანს, მისცეს ღირსება, სადაც ეს ღირსება დაკარგვის საფრთხის წინაშეა. ამისთვის ის ირონიის საშუალებასაც ნამდვილად იყენებს, ლაკონიურ ელემენტებსაც ჩაურთავს ლექსებში, ზომიერ პათოსსაც, ისე რომ მისი პოეზია კავკასიური კულტურული წრის გარეთაც "გასაგები" რჩება.

ამ "გასაგებადობაში" წვლილი მიუძღვის პროფესორ მანანა პაიჭაძესაც, თბილისელ გერმანისტს და მთარგმნელს, რომელმაც მაღრაძის ლექსები გერმანულად თარგმნა, ისე რომ მას გერმანელი მკითხველი ამ ლექსების სამყაროში შეჰყავს და თან პოეტური ფორმაც არ იკარგება.

(გამომცემლობის ფრთხილი ლექტორატი ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, სასურველი იქნებოდა).

პატარა ტომი, რომლის წაკითხვა ღირს, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც კავკასიის სამყაროში გინდა გადაშვება. კიდევ ერთხელ მართლდება მოსაზრება: ლიტერატურიდან გაცილებით მეტს ვიგებთ ადამიანებსა და ქვეყანაზე, ვიდრე რომელიმე "რაიზეფიურერიდან" (ტურისტული საცნობარო წიგნები).

დათო მაღრაძე: სალვე, ლექსები, ბროშირებული, 62 გვერდი, გამომცემლობა ფრილინგი, ბერლინი 2006, 5 ევრო.

შეუკვეთეთ ამაზონ.დე-ზე.

## ცოლი ბახის ნაცვლად

ზოგიერთი ნაწარმოები ვიოლონჩელოსთვის, რომელსაც იოჰან სებასტიან ბახს მიაკუთვნებენ, სინამდვილეში მისი მეორე ცოლის ანა მაგდალენას შექმნილი უნდა იყოს. ასეთი სენსაციური განცხადება ავსტრალიელმა მუსიკისმცოდნემ, ავტორიტეტულმა სპეციალისტმა მარტინ ჯერვისმა გააკეთა. იგი ამტკიცებს, რომ ანა მაგდალენა დიდი კომპოზიტორის ცხოვრებაში 1713 წელს გამოჩნდა და არა 1720-1721 წლებში, როგორც აქამდე ვარაუდობდნენ. ჯერვისის მოსაზრებას ბევრი მეცნიერი ეწინააღმდეგება, მათ შორის, ლონდონის სამეფო უნივერსიტეტის პედაგოგი სტივენ როოუზი. მისი თქმით, ანა მაგდალენამ, შესაძლოა, ბევრ ნაწარმოებში შეიტანა შესწორება, გადააკეთა, მაგრამ სიუჟეტების ავტორად მაინც ბახი უნდა მივიჩნიოთ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ფრანგული შედევრები ტრეტიაკოვის გალერეაში

მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეა უმასპინძლებს ფრანგული ხელოვნების შედევრებს. პარიზის მუზეუმ ორსეს ექსპონატების გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მე-19 საუკუნის ბოლოსა მე-20 საუკუნის დასაწყისის ფრანგი მხატვრებისა და მოქანდაკეების ნამუშევრები. 55 ხელოვნების ნიმუშს შორის წარმოდგენილია კოროს, კურბეს, რენუარის, ვან გოგის ნახატები. დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ექნებათ ნახონ 17 სკულპტურული ნამუშევარი. მათ შორის დომიეს, როდენის, დეგას, მაიოლის ქმნილებები.

# ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა

ქუთაისის სიმბოლური გასაღების,
გერბისა და დროშის
**კ ო ნ კ უ რ ს ი**

ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა
აცხადებს კონკურსს ქუთაისის სიმბოლური გასაღების,
გერბისა და დროშის საუკეთესო ნამუშევრის გამოსავლენად

**1. კონკურსის მიზანი**

1.1. კონკურსის მიზანია ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის სიმბოლური გასაღების, გერბისა და დროშის საუკეთესო ნამუშევრის გამოვლენა.

1.2. ქუთაისის გერბი და დროშა ორიენტირებული უნდა იყოს ჰერალდიკის კანონებით გათვალისწინებულ ღირებულებებზე.

**2. ზოგადი კრიტერიუმები**

2.1. კონკურსის მომწყობია ქ.ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა.

2.2. კონკურსი ცხადდება ერთ ტურად. სამუშაო ენა ქართული.

2.3. კონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება არანაკლებ სამი ნამუშევრის წარდგენის შემთ-ხვევაში.

**3. კონკურსის პირობები**

3.1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს;

3.2 კონკურსანტს შეუძლია წარმოადგინოს რამდენიმე ნამუშევარი ცალ-ცალკე კონვერტით, როგორც დამოუკიდებელი ნაშრომი, რომელთაგან კონკურსში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი.

3.3 გერბი და დროშა უნდა იყოს მარტივი, მიმზიდველი, ადვილად აღქმადი, შესრუ-ლებული ჰერალდიკის კანონების დაცვით;

ა) სიმბოლური გასაღები, გერბი და დროშა შესაძლოა შესრულებული იყოს ნებისმიერი სახვითი საშუალებით (ფანქარი, გუაში, ტუში, აკვარელი, ტემპერა, აკრილი, შერეული ტექ-ნიკა და სხვა), აგრეთვე დასაშვებია კომპიუტერული დიზაინის გამოყენება - ამობეჭდილი ფერად და შავ-თეთრ პრინტერზე;

ბ) საკონკურსოდ წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ფერადი, ასევე შავ-თეთრი ორიგინალები, ამასთან ყოველ ეგზემპლარზე უნდა იყოს აღნიშნული ავტორის დევიზი;

3.4. კონკურსში მონაწილემ თავისი ნაშრომი, სიმბოლური გასაღები, გერბი და დროშა უნდა წარმოადგინოს A4 ზომის ფორმატზე ცალ-ცალკე. შესაძლებელია ერთ (A3) ფორმატზე როგორც ფერადი, ასევე შავ-თეთრი ნამუშევრის გამოსახვა ერთად ან თითოეულისა ცალ-ცალკე;

3.5. საკონკურსო მასალებს კონკურსანტი წარმოადგენს კონვერტით. კონვერტში უნდა მოთავსდეს ავტორის მიერ შესრულებული სიმბოლური გასაღების, გერბისა და დროშის ნიმუშები ერთად ან ცალ-ცალკე, სასურველია ავტორმა წარმოადგინოს ნამუშევრების მოკლე ახსნა-განმარტება;

3.6. კონვერტს უნდა ეწეროს: კომისიის მისამართი და დასახელება, აგრეთვე მონა-წილის დევიზი, ამავე კონვერტში უნდა იდოს მეორე დალუქული კონვერტი დევიზით, რომელშიც აღნიშნული იქნება ავტორის ვინაობა, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი;

3.7. კონკურსში გამარჯვებული გერბისა და დროშის ნიმუშები წარედგინება საქართ-ველოს პრეზიდენტთან არსებულ ჰერალდიკურ კომისიას შესაბამისი სტატუსის მისანიჭ-ებლად;

3.8. საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ჰერალდიკური კომისია იტოვებს უფლებას ავტორებთან შეთანხმებით შეასწოროს პრემირებული ნამუშევრები ჰერალდიკის კანონებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

3.9. კონკურსზე წარმოდგენილი მასალები შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკასთან (არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სახელმწიფო გერბსა და დროშას);

3.10. კომისიის წინაშე სიმბოლური გასაღების, გერბისა და დროშის დალუქული კონვერტის წარდგენა ნიშნავს კონკურსანტის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი პირობების მიღებას;

**4. საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტი**

4.1. კომისია თითოეული კონკურსანტის ნამუშევარს აფასებს სპეციალური ფორმის მეშვეობით, რომელსაც იგი პირველსავე სხდომაზე ამტკიცებს.

4.2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ფორმებში აღნიშნული ქულების კრებითი მაჩვენებლის მიხედვით.

4.3. კომისიის ყველა წევრი ვალდებულია სპეციალური ფორმა შეავსოს თითოეული კონ-კურსანტის ნამუშევარზე.

4.4. კომისია უფლებამოსილია იმ შემთხვევაში თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 2/3 მაინც.

**5. პრემიალური ფონდი**

I პრემია - 5000 ლარი;
II პრემია - 2000 ლარი
III პრემია - 1000 ლარი

**6. კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები**

6.1. ყველა პრემირებული ნამუშევარი გადადის კონკურსის ორგანიზატორების საკუთრებაში საავტორო უფლებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

6.2. არაპრემირებული ნამუშევრები მოთხოვნისთანავე უბრუნდებათ ავტორებს.

6.3. კონკურსანტი ვალდებულია თან იქონიოს საკონკურსო მასალების ასლი; დაკარგვისა და ან დაზიანების შემთხვევაში კონკურსანტი საკონკურსო ნამუშევარს წარმოადგენს ხელმეორედ.

მისამართი: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N 3, ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა; II სართული, ოთახი N 221, ტელ: (8231) 46743; III სართული, ოთახი N 317, ტელ: (8231) 43396.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 25 მაისი.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება პრესაში არაუგვიანეს 2006 წლის 31 მაისისა.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენი" (ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, **email: info@tbilmetro.com.ge**) აცხადებს ღია ტენდერს **სამეურნეო საქონლის სახელმწიფო შესყიდვაზე** და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტის ჩამონათვალი:

| N | შესყიდვის ობიექტის დასახელება | განზ | რაოდ |
|---|---|---|---|
| 1 | საპონი - სარეცხის 72% | კგ | 6031 |
| 2 | სარეცხი ფხვნილი | კგ | 10389 |
| 3 | ცოცხი | ც | 2664 |
| 4 | ჩვრები (ძენძი ბამბეულის) | კგ | 11944 |
| 5 | გასაწმენდი მასალა (ვეტოში ბამბეულის გოსტი - 46-44-75) | კგ | 1640 |
| 6 | ტექნიკური მაუდი | კგ | 12 |
| 7 | ბამბის თოკი ჰერმეტიზაციისათვის (7მმ) | კგ | 60 |
| 8 | ძაფი ("სუროვოი") | კგ | 54 |
| 9 | სამღებრო ფუნჯი (დ- 40 მმ) | ც | 136 |
| 10 | სამღებრო საგორავი (25 სმ) | ც | 40 |
| 11 | აპარატურის გასაწმენდი ფუნჯი (დ-20მმ) | ც | 168 |
| 12 | ტექნიკური ქეჩა (20 მმ გოსტ 6308-71) | კვ.მ | 235 |
| 13 | ბრეზენტი (გოსტ 15530-76) | კვ.მ | 60 |
| 14 | ტყავშემცვლელი (არტ 76014) | მ | 380 |
| 15 | ტექნიკური სახოცი (სტანდარტული) | შკ | 1800 |
| 16 | თოკი (დ-20მმ) | კგ | 40 |
| 17 | ტომარა (ჟეტონის) - 20X30მმ | ც | 200 |
| 18 | ტომარა (პოლი-პროპილენის) | ც | 50 |
| 19 | კარდონი 2მმ | ც | 100 |
| 20 | შუასადები ქაღალდი ?-1 მმ | ც | 120 |
| 21 | პარანიტი ფურცლოვანი (1მმ-5მმ) გოსტ. 48180 | კგ | 233 |
| 22 | მასტიკა - სტანდარტული | ქილა | 80 |
| 23 | პირსახოცი 30X50 სმ | ც | 100 |
| 24 | ბოქლომი - 60 მმ | ც | 405 |
| 25 | ჯვალოს ნაჭერი - გოსტი 19298 | კგ | 440 |
| 26 | საწმენდი ჯაგრისი ჯოხით 80 სმ | ც | 150 |
| 27 | მინის საწმენდი ხსნარი | ფლ | 200 |
| 28 | მინის საწმენდი ჯოხი რეზინით - 40 სმ | ც | 4 |
| 29 | საფხეკი იატაკის - 15 სმ | ც | 30 |
| 30 | ხის წებო | კგ | 10 |
| 31 | წებო პვა | კგ | 135 |
| 32 | წებო კმც | კგ | 15 |
| 33 | წებო ებოქსიდი | კგ | 122 |
| 34 | ებოქსიდის გამხსნელი | ლ | 10 |
| 35 | წებო 88-6 ტუ 381051001-87 | კგ | 74 |
| 36 | წებო მომენტი | ც | 6 |
| 37 | სურგუჩი | კგ | 12 |
| 38 | კანიფოლი (ფიჭვის) | კგ | 72 |
| 39 | ფარდები | მ | 100 |
| 40 | კიბე (მეტალის) | ც | 4 |
| 41 | კოვზი (ჩაისათვის) | ც | 15 |
| 42 | საშაქრე | ც | 4 |
| 43 | დანა (მაგიდის) | ც | 5 |
| 44 | სათლი (ნაგვის) | ც | 4 |
| 45 | სათლი(წყლისათვის) | ც | 9 |
| 46 | ჯაგრისი - 40 სმ | ც | 4 |
| 47 | შაკეტი (ურდული) | ც | 5 |
| 48 | საფითხნი ("შპატელი") | ც | 40 |
| 49 | მარმარილოს სარეცხი ჯაგრისი - 30 სმ | ც | 30 |
| 50 | წყლის გრაფინი და ჭიქები | ც | 30 |
| 51 | კარის და ფანჯრის სახელური | ც | 40 |
| 52 | კარის და ფანჯრის პეტლი | ც | 30 |
| 53 | კარის ჩამკეტი | ც | 30 |
| 54 | კარის ჩასადგმელი საკეტი | ც | 30 |
| 55 | კარის საქუსლე | ც | 30 |
| 56 | ფანჯრის კუთხოვანა | ც | 15 |
| 57 | ბოქლომი - 60 მმ | ც | 40 |
| 58 | სახეხი ზუმფარა N3. | გ.მ | 224 |
| 59 | შლანგი დ - 25 | მ | 200 |

3. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.

4. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად 2006 წლის 20 დეკემბრამდე შემსყიდველსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

5. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდენტ.კოდი: 202886788, დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 28 აპრილის 10:00 სთ-დან 2006 წლის 18 მაისის 16:00 სთ-მდე. შემდეგ მისამართზე: ვაგზლის მოედანი N2 შპს "თბილისის მეტროპოლიტენი".

6. სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილ სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**იურიდიული პირებისათვის**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები, ფაქსი).
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება.
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება.

8. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

9. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით, სატენდერო კომისიის აპარატში, ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 18 მაისის 16:00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, შპს "თბილისის მეტროპოლიტენი", სატენდერო კომისიის აპარატი.

10. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

11. პრეტენდეტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემო აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 18 მაისს 16:00 სთ -ზე.

12. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება დაგვიანებულ შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო აპარატში, საკონტაქტო პირი: ხათუნა აგულაშვილი, გიორგი ბულეიშვილი. ტელეფონი: 35-60-26, 94-33-15 შიდა ტელეფონი: 90-99, მისამართზე ვაგზლის მოედანი N2, II სართული, "თბილისის მეტროპოლიტენი".

**სატენდერო კომისია**
**28 აპრილი 2006 წ.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენი" (ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, **email: info@tbilmetro.com.ge**) აცხადებს ღია ტენდერს **ელექტრო ძრავების შეკეთების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე**. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
2. შესყიდვის ობიექტის ჩამონათვალი:
3.

| ლოტიN | N | შესყიდვის ობიექტის დასახელება | განზ | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | დკ-117 ტიპის ძრავის რემონტი | ც | 28 |
| | 2 | დკ -410 ტიპის კომპ. ძრ. რემონტი | ც | 10 |
| | 3 | მოტორ კომპ. ძრავის რემონტი | ც | 30 |
| | 4 | საშუალო სიმძლავრის ძრავის რემონტი | ც | 12 |
| 2 | 1 | ელ. ძრავების დანადგარების რემონტი | ც | 1 |
| | 2 | ასინქრ. ელ. ძრავების და დანადგარების რემონტი | ც | 1 |
| | 3 | N5-1 ობიექტის N41 დიზელგენერატორის რემონტი | ც | 1 |

4. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.

5. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად 2006 წლის 20 დეკემბრამდე შემსყიდველსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდენტ.კოდი: 202886788, დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 28 აპრილის 10:00 სთ-დან 2006 წლის 18 მაისის 16:00 სთ-მდე. შემდეგ მისამართზე: ვაგზლის მოედანი N2 შპს "თბილისის მეტროპოლიტენი".

7. სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილ სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

8. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**იურიდიული პირებისათვის**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები, ფაქსი).
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება.
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

9. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

10. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით, სატენდერო კომისიის აპარატში, ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 18 მაისის 16:00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, თბილისის მეტროპოლიტენი, სატენდერო კომისიის აპარატი.

11. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

12. პრეტენდეტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემო აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 18 მაისს 16:00 სთ -ზე.

13. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს სატენდერო წინადადება ერთ ან ორივე ლოტზე.

14. ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან ორი გამარჯვებული, ლოტების მიხედვით.

15. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. დაგვიანებულ შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო აპარატში, საკონტაქტო პირი: ხათუნა აგულაშვილი, გიორგი ბულეიშვილი. ტელეფონი: 35-60-26, 94-33-15 შიდა ტელეფონი: 90-99, მისამართზე ვაგზლის მოედანი N2, II სართული, თბილისის მეტროპოლიტენი.

**სატენდერო კომისია**
**28 აპრილი 2006 წ.**

### მოკლედ

## კანავარო "რეალში"?

ტურინის "იუვენტუსის" მცველი ფაბიო კანავარო ამ ზაფხულს შეიძლება მადრიდის "რეალში" გადავიდეს. ესპანური პრესის ცნობით, "რეალის" ხელმძღვანელობა მზად არის ფეხბურთელის სანაცვლოდ 4,8 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს. შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინათ კანავარო ტურინში მილანის "ინტერიდან" გადავიდა. მის ტურინულ მომავალს კლუბში ფაბიო კაპელოს დარჩენასთან ერთად განიხილავდნენ, რომელიც შეიძლება კანავაროს მსგავსად ზაფხულში "რეალში" გადავიდეს მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

## ადრიანო 6 მილიონს ითხოვს

ოთხშაბათს მადრიდის "რეალის" პრეზიდენტის პოსტის დატოვებამდე ფერნანდო მარტინი შეეცადა კონტრაქტი გაეფორმებინა "ინტერის" ბრაზილიელ ფორვარდ ადრიანოსთან. ადრიანო შეიძლებოდა ერთადერთი კოზირი ყოფილიყო ფერნანდო მარტინისთვის. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც მას მოლაპარაკება ჩაეშალა ლონდონის "არსენალის" ფრანგ ფორვარდ ტიერი ანრისთან. ფერნანდო მარტინთან დაახლოებული წყაროების ცნობით, ადრიანო ყაბულს არის გადავიდეს მადრიდის "რეალში" მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ხელფასის სახით წელიწადში 6 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაუხდიან.

## ზიდანი: "ბავშვთა ფეხბურთს მივხედავ"

ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ არ აპირებს საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ მადრიდის "რეალთან" საქმიანი კავშირები გაწყვიტოს. "დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ მსურს მადრიდის "რეალში" ვიმუშაო. მე ვესაუბრე ფლორენტინო პერესსა და ფერნანდო მარტინს რამდენიმე პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას შეეხებოდა. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ, სავარაუდოდ, მონაწილეობას მივიღებ ამ პროგრამების განხორციელებაში. ვერ გეტყვით, მადრიდში სამუდამოდ დავრჩები თუ არა, მაგრამ ზუსტად შემიძლია ვთქვა, რომ უახლოეს მომავალში აქ ვიცხოვრებ", - განაცხადა ზინედინ ზიდანმა.

## "ბოლტონს" მცველი სჭირდება

ინგლისური "ბოლტონის მთავარი მწვრთნელი სემ ელერდაისი ესპანეთში გაემგზავრა, რათა ბარსელონის "ესპანიოლთან" მოლაპარაკება აწარმოოს მცველის ალბერტ ლოპოს გადაბირების თაობაზე. ელერდაისი ამჟამად საკმაოდ აქტიურად ეძებს ახალგაზრდა ტალანტებს, რომლებმაც მომავალში შეიძლება მისი გუნდი გააძლიერონ. შეგახსენებთ, რომ "ბოლტონის" ხელმძღვანელობა აპირებს ამ ზაფხულს 6 ახალი ფეხბურთელი შეიძინოს. მათ შორის არის "ლივერპულის" ფორვარდი რობი ფაულერი, რომლის მიმართ ინტერესი "ბოლტონის" ხელმძღვანელობამ უკვე დაადასტურა.






### ჭიდაობა

# საქართველოს დროშა უჰიმნოდ

გიგა გურასაშვილი

*საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ მოსკოვში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ბოიკოტირებაზე იმ მოტივით განაცხადა უარი, რომ რუსეთის დედაქალაქში აჟღერებული საქართველოს ჰიმნი უფრო დიდ საქმეს გააკეთებდა. ასე რომ, ქვეყნის ინტერესების დაცვა მოჭიდავეთა მხრებს დააწვა. გუშინ პირველი გამოცდის ჩაბარებაც მოუხდათ - მებაირაღედ კი დავით ბედინაძე მოგვევლინა, რომელმაც 60 კილოგრამ წონაში ფინალამდე გაიკვალა გზა.*

კაფე "მსოფლიო სპორტში" ხალიჩა არ იყო გაშლილი, თორემ ვნებათაღელვა ისეთივე გახლდათ, როგორიც მოსკოვის სპორტკომპლექს "ოლიმპიისკში", რომელიც ევროპელ ბერძენ-რომაელებს მასპინძლობდა.

ჩემპიონატის მესამე დღე ბერძენ-რომაელთა სამ წონით კატეგორიას (60, 74, 96) დაეთმო. პირველი ორი დღე კი ქალი მოჭიდავეებისა იყო, რაც ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია.

პირველი შემთხვევაა, როდესაც ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ ქართველ მოჭიდავეთა გამოსვლის პირდაპირ ეთერში საცქერლად "მსოფლიო სპორტში" მიგვიწვია. იდეამ აშკარად გაამართლა. ბუნებრივია, აქვე იყო რუსეთის ფედერაციის მიერ "პერსონა ნონ გრატად" გამოცხადებული ქართველ მოჭიდავეთა ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძეც, რამდენიმე პარლამენტარი და, რა თქმა უნდა, ის მოჭიდავეები, რომლებიც საქართველოში დარჩნენ.

"დარწმუნებული ვარ, ევროპის ჩემპიონატი მსაჯობის მიმართ უკმაყოფილების საბაბს არ მოგვცემს და იქნება მაქსიმალური ობიექტურობა", - კონტინენტის პირველობამდე აცხადებდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ეგრეთ წოდებული "კომპეტენც ცენტრის" (ვიდეოკონტროლზე პასუხისმგებელი ცენტრის მაგვარი რამ.-რედ.) გერმანელი ხელმძღვანელი ჰაროლდ ტიენემანი.

საჭიდაო ხალიჩა რომ სუფთა არ არის ობიექტურობით, ყველამ კარგად იცის. ასე რომ, არავის გაჰკვირვებია მსოფლიოს ჩემპიონის მანუჩარ კვირკველიას (74კგ.) საწინააღმდეგო მსაჯობა.



კვირკველიას სამურგაშევთან ფეხი დაუდეს

შესაძლოა, მიკერძოებული მსაჯობა თვალშისაცემი არც ყოფილიყო, რომ არა ნახევარფინალში ქართველის მეტოქის ვარტერეს სამურგაშევის მასპინძლის სტატუსი. იმის თქმასაც არ ვაპირებთ, სამურგაშევი ხელწამოსაკრავი ვინმეაო - ბოლოს და ბოლოს, ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია (აღარაფერს ვამბობთ სხვა ჯილდოებზე), მაგრამ მაინც. ფინალში გასულმა ტიტულოვანმა რუსმა ბელორუსთან წააგო. კვირკველიამ კი რეპეშაჟში გააგრძელა ასპარეზობა და ცხადი იყო, ბრინჯაოს მედალს არავის დაუთმობდა. ასეც მოხდა. ქართველმა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში შვედეთის სახელით მოასპარეზე ირანელ მოჰამად რეზა ბაბულფატს ორივე პერიოდი დამაჯერებლად მოუგო.

კვირკველია ბერძენ-რომაელთა ნაკრებში ერთადერთი იქნებოდა, რომელსაც დიდებში სხვადასხვა რანგის ასპარეზობებზე ჭიდაობის გამოცდილება აქვს, რომ არა დავით ბედინაძე (60კგ.), რომელმაც შარშან ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაო დაისაკუთრა. ადრეც აღვნიშნეთ, საქართველოს ნაკრები მოსკოვში ახალგაზრდული შემადგენლობით გაემგზავრაო. ასე რომ, დიდი წარმატების იმედი არც უნდა გვქონოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ პირველ დღეს სამ წონით კატეგორიაში გათამაშებული მედლებიდან ორი საქართველოს ნაკრებს დარჩა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს გუნდს პირველი მედალი კვირკველიამ მოუტანა, კულმინაციის - 60 კგ წონითი კატეგორიის, ამასთან, კავკასიური ფინალის დროც დადგა. დავით ბედინაძეს მასზე რვა წლით უფროსთან, ევროპის ჩემპიონთან მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთან, სომეხ კარენ მნაცაკანიანთან მოუხდა დაჭიდება.

ორთაბრძოლა ორ პერიოდს გაგრძელდა. ორივე სომეხი მოჭიდავის გამარჯვებით დამთავრდა. ქართველს აშკარად არ ჰყოფნიდა გამოცდილება, რაც ორჯერ გამოუყენებელი ჩოქბჯენიდანაც კარგად ჩანდა. ბედინაძეს ჯერ პირველ პერიოდში დაუსხლტა მეტოქე, მერე - მეორეში.

ორი სიტყვით НТВ+Спорт-ის კომენტატორთა დიალოგის ფრაგმენტსაც შემოგთავაზებთ: ქართველებს მოჭიდავეთა ბრწყინვალე პლეადა ჰყავდათ, მაგრამ ახლა პოზიციები დათმესო. მეორემ კი უმალ შენიშნა, სამაგიეროდ გოგი კოღუაშვილს (მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი.-რედ.) რუსეთის ბერძენ-რომაელთა ნაკრების მწვრთნელობა ჩააბარესო.

ეს ისე, ყოველი შემთხვევისთვის.


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge








## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39



## შპს "საქაერონავიგაცია" აცხადებს კონკურსს

**ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. N8-ში მდებარე, შ.პ.ს. "საქაერონავიგაციის" საწესდებო კაპიტალში რიცხული შენობის - "სახლი, სანაპიროს ქ. N8" და მასზე არსებული წესით დამაგრებული წილობრივი მიწის ფართის (813 კვ.მ)**

**რეალიზების მიზნით**

კონკურსის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრე" 2006 წელი, 22 აპრილი, N16. (მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12, III სართული).

**შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია" ქ. თბილისი, აეროპორტი**

საკონტაქტო ტელეფონი: 27-42-83; 27-43-21; 877 74 01 31



## TV5MONDE

### 28 აპრილი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 16.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** უჩვეულო ამბის ქრონიკები. ტასმანიაში ვეფხვის გამოჩენა. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ეკატერინე. სერიალი. **11.35** გადაცემა: გურმანი. **12.15** დედამიწა და წმინდა ადგილი. დოკ. ფილმი. **14.05** TV5-ის სამყარო. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** სონატინა. მხ. ფილმი. რეჟისორი მიშლენ ლანკოტი. 1984. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** სასახლის ბალი. ტელესერიალი. **23.00** ახალი მეზობელი გოგო. მხ ფილმი. რეჟისორი დიდიე ბიველი 2004. **01.20** გადაცემა: თავად განსაჯეთ.



24 საათი
BRITISH AIRWAYS

## შეავსე "British Airways" - ის კითხვარი სწორად და მოიგე სასტუმრო შერატონ მეტეხის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტი

ვიქტორინისთვის საჭირო ინფორმაცია შეგიძლიათ მოძებნოთ British Airways -ის ვებ გვერდზე www.ba.com.

1. British Airways - ის მგზავრებს შეუძლიათ ელექტრონული ბილეთები ინტერნეტის საშუალებით დაჯავშნონ და შეიძინონ.

კი  არა

2. British Airways - ის საიტის www.ba.com -ის მომსახურების "Manage my Booking"- ის დახმარებით მგზავრებს ბორტზე სასურველი ადგილის დაჯავშნა შეუძლიათ.

კი  არა

3. თუ მგზავრმა ელექტრონული ბილეთი დაკარგა, მას შესაძლებლობა აქვს შევიდეს "British Airways"- ის ვებ გვერდზე და ნებისმიერ დროს ამობეჭდოს იგი.

კი  არა

4. British Airways - ის გრძელ მარშრუტებზე მიმავალ მგზავრებს, რომლებიც Executive Club"ის ოქროს ბარათის მფლობელები არიან, შეუძლიათ ჰითროუს აეროპორტში Molton Brown"ის სარელაქსაციო მომსახურებით ისარგებლონ.

კი  არა

სახელი:
გვარი:
E-mail:
ტელეფონი
მობილური

პასუხები გამოაგზავნეთ გაზეთ "24 საათი"-ის მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N51. ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: maia.chitaia@actionprgroup.com. პასუხების მიღების ბოლო ვადაა 28 აპრილი.

გამარჯვებული გამოცხადდება გაზეთ "24 საათი" - ის 2006 წლის 1 მაისის ნომერში.

გამარჯვებული დასაჩუქრდება სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტით.

British Airways - ისა და 24 საათის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ.



## ცენტრ პოინტ ჯგუფი

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.**

**სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.**

**განვადება უპროცენტოა.**

**მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## დონეცკმა ქართველ ბიზნესმენებს უმასპინძლა

## რუსეთში ქართული ინვესტიციის მოცულობა 1,3 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს

## კომერციულ ბანკებში წილების შეძენაზე დაწესებული შეზღუდვები მოიხსნება

B2

## ყველაზე კონკურენტუნარიანი ავტომობილი



## "Bank of America Corp.-მა ახალი საკრედიტო ბარათები გამოუშვა

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3528 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0087 |
| 1 არაბული დირხამი | AED | 0,4944 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,8159 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8449 |
| 1 ბულგარური ლეი | BGL | 1,1522 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,3020 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3168 |
| 1 ევრო | EUR | 2,2525 |
| 10 ესტონური კრონი | EEK | 1,4407 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3492 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,3695 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1577 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2385 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,1989 |
| 10 ისლანდიური კრონი | ISK | 0,2431 |
| 1 ისრაელის სექელი | ILS | 0,4006 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,6030 |
| 1 ლატვიური ლატი | LVL | 3,1970 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,5109 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,3979 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2876 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5803 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6101 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0663 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1421 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4059 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5651 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,4873 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,5951 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8503 |
| 1 კუვეითური დოლარი | KWD | 6,2186 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1465 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4438 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2416 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4289 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0793 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2265 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2342 |




## საქართველო "მცირე საშუალო შემოსავლების" ჯგუფში მოხვდა

მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, ბალტიის ქვეყნებს შორის, ყველაზე მაღალი "საშუალო" წლიური შემოსავლები (7080 აშშ დოლარი) ესტონეთის მკვიდრებს აქვთ, მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ლიტველები (5740 დოლარი) და ლატვიელები (5580 დოლარი).

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, შემოსავლების მოცულობის მიხედვით, ბალტიის რესპუბლიკების შემდეგ რუსეთი ლიდერობს. "ჩრდილოელი მეზობლების" საშუალო შემოსავალი წელიწადში 3400 დოლარია, შემდეგ ადგილებს 2250 დოლარით ყაზახეთი და 2140 დოლარით ბელარუსი იკავებენ.

"მცირე საშუალო შემოსავლების" ჯგუფში უკრაინა (1270 დოლარი), საქართველო და სომხეთი (1060 დოლარი) და აზერბაიჯანი (940 დოლარი) მოხვდნენ. რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნების, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, მოლდოვასა და უზბეკეთის მოსახლეობას, მათი წლიური შემოსავლები კატასტროფულად მცირეა და 720-280 დოლარის ფარგლებში მერყეობს.

შედარებისთვის: მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო შემოსავალი 6329 დოლარია. მსოფლიო ბანკის სტანდარტებით კი ღარიბად იწოდებიან ის ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებიც წელიწადში 825 დოლარზე ნაკლებს იღებენ. ის ქვეყნები კი, რომლებიც 3255 დოლარის ზღვარს აღწევენ, "საშუალო მცირე შემოსავლების" ჯგუფში ხვდებიან.




## სოჭის გირჩას საქართველოდან ლეგალურად გაიტანენ

### ყოჩივარდა და თეთრწვერა უცხოეთში 3 ევროდ იყიდება

თინა შავაძე

*უნიკალური მცენარეების, მათ შორის - თეთრწვერას ბოლქვის, ყოჩივარდების გორგლის, სოჭის გირჩის ბიზნესი მალე ლეგალური გახდება. პარლამენტი განიხილავს ცვლილებებს კანონში "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ", რომელიც ითვალისწინებს გადაშენების გზაზე მყოფი ფლორისა და ფაუნის რამდენიმე სახეობებზე ნებართვის გაცემის წესის განსაზღვრას. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტის საკომიტეტო მოსმენებზე უკვე განიხილეს და მასზე მსჯელობას დეპუტატები დღევანდელ სასესიო სხდომაზე გააგრძელებენ.*

B2





## "ვოლგის" ნაცვლად "სებრინგი" და "სტრატუსი"

მერაბ ლორთქიფანიძე

*გერმანულ-ამერიკულმა კორპორაცია "დაიმლერკრაისლერმა" და რუსულმა გორკის სახელობის საავტომობილო ქარხანამ გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, რუსული ავტომწარმოებელი შეიძენს შტატ მიჩიგანში მდებარე ქარხანა "სტერლინგ ჰეიტსის" მოწყობილობა-დანადგარებს, და ამერიკული კომპანია "კრაისლერისგან" ნაყიდი ლიცენზიით, ამ კომპანიის ორი მოძველებული მოდელის, "კრაისლერ სებრინგისა" და "დოჯ სტრატუსის" გამოშვებას დაიწყებს.*





B3

## დონეცკმა ქართველ ბიზნესმენებს უმასპინძლა

გუშინ დონეცკში საქართველო-უკრაინის საქმიანი საბჭოს და ქართულ-უკრაინული ბიზნესფორუმი გაიმართა. როგორც დონეცკის რეგიონის ადმინისტრაციაში განმარტავენ, ბიზნეს-ფორუმის მიზანი ორ ქვეყანას შორის ბიზნესის განვითარება და ქართულ-უკრაინული ექსპორტის აქტივიზაციაა. "ეს ფორუმი, უპირველეს ყოვლისა, დონეცკელი და ქართველი მეწარმეების რეგულარულ შეხვედრებს უწყობს ხელს. ვიმედოვნებთ, რომ ამგვარი შეხვედრების შედეგი საქართველოსა და დონეცკის ოლქს შორის რეგიონული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება იქნება. ეს კი, თავის მხრივ, ქართულ-უკრაინული ბიზნესის განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება," - განაცხადა შეხვედრაზე დონეცკის რეგიონული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გენადი გრიშინმა. თავის მხრივ, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცე-პრეზიდენტმა შოთა მაქაცარიამ აღნიშნა, რომ "საქართველო და უკრაინა სავაჭრო ბრუნვის ინტენსიური ზრდის გზას ადგანან". ბიზნეს-ფორუმის ჩარჩოებში 24 საუკეთესო ქართული კომპანიის პრეზენტაცია მოხდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კომერციულ ბანკებში წილების შეძენაზე დაწესებული შეზღუდვები მოიხსნება

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მომზადებული ცვლილებების პროექტს. ცვლილებების მიხედვით, კომერციულ ბანკებში წილების შეძენაზე დაწესებული შეზღუდვები მოიხსნება. გაუქმდება ის 25-პროცენტიანი შეზღუდვა, რომელიც დღემდე არსებობდა. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, კომერციულ ბანკში აქციების 25 პროცენტით ან მასზე მეტი ოდენობით აქციების შეძენა იკრძალებოდა. როგორც კომიტეტის სხდომაზე სახელმწიფო მინისტრმა ეკონომიკურ რეფორმებში კახა ბენდუქიძემ განაცხადა, პროცედურები, რომელიც ბანკებში წილების შესყიდვას ითვალისწინებდა, გართულებული იყო, რაც საქართველოს საფინანსო ბაზარზე უცხოური მაღალი რეიტინგის მქონე ბანკების შემოსვლას აძნელებს. "ჩვენ მიერ მომზადებული ცვლილებების პროექტი გზებს გაუხსნის საქართველოში ასეთი ბანკების შემოსვლას და იმედი გვაქვს, რომ წლის პირველ ნახევარში უკვე ამ კუთხით გარკვეული შედეგები გვექნება," - განაცხადა ბენდუქიძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებს კენჭს დღეს უყრიან

საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებს პარლამენტი მესამე მოსმენით კენჭს დღეს უყრის. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა გუშინ საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი განიხილა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლევან ბუცხრიკიძემ განაცხადა, კანონპროექტს გადამუშავებული და დაზუსტებული სახით პლენარული სხდომა დღეს უყრის კენჭს. "მანამდე ფინანსთა სამინისტრო პარლამენტში წარადგენს გაანგარიშებებს მანქანებისთვის გამოსაყენებელი ბუნებრივი აირის ტარიფთან დაკავშირებით, რათა დავრწმუნდეთ, რომ 150-ლარიანი აქციზის შემოღება მანქანებისათვის საჭირო ბუნებრივი აირის ტარიფს მნიშვნელოვნად არ გაზრდის," - განაცხადა ბუცხრიკიძემ. **ინტერპრესნიუსი**

## ტყემალაძე სემეკის თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს

საპარლამენტო ფრაქცია "მრეწველების" ლიდერი ზურაბ ტყემალაძე სემეკის თავმჯდომარის გია თავაძის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს. როგორც ტყემალაძემ გუშინ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, თუ მანქანებისათვის საჭირო ბუნებრივი აირის ტარიფში სემეკმა რეზერვი გამონახა, მაშინ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე გიორგი თავაძე დასაჭერია. "თავაძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს, თუ გაზის ტარიფში რეზერვი გამონახა. თუ ტარიფში რეზერვი არსებობდა, მის ამოქმედებაზე სემეკს აქამდე უნდა ეზრუნა," - განაცხადა ტყემალაძემ. მანქანებისთვის საჭირო ერთი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ფასი, სემეკის მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, 50 თეთრია. სემეკმა უნდა გააკეთოს გაანგარიშება 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირზე 150-ლარიანი აქციზის გადასახადის შემოღება გაზრდის თუ არა მანქანებისთვის საჭირო ბუნებრივი აირის საფასურს. **ინტერპრესნიუსი**

## რუსეთში ქართული ინვესტიციის მოცულობა 1,3 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურმა დსთ-ს ქვეყნების მიერ რუსეთის ეკონომიკაში ჩადებულ ინვესტიციათა ნუსხა გამოაქვეყნა. ფულად-საკრედიტო სახსრების რეგულირების, კომერციულ-შემნახველი ბანკებისა და სამანეთო ინვესტიციების (გადათვლილი აშშ დოლარებში) გათვალისწინების გარეშე, 2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დსთ-ს ქვეყნების რუსეთის ეკონომიკაში ჩადებულ ინვესტიციათა მასშტაბები ამგვარია: ყაზახეთი - 252,9 მლნ. აშშ დოლარი, უკრაინა - 64,7 მლნ. აშშ დოლარი, აზერბაიჯანი - 57,6 მლნ. აშშ დოლარი, ტაჯიკეთი - 16,4 მლნ. აშშ დოლარი, ბელორუსი - 14,1 მლნ. აშშ დოლარი, ყირგიზეთი - 7,8 მლნ. აშშ დოლარი, უზბეკეთი - 5,2 მლნ. აშშ დოლარი, სომხეთი - 3,5 მლნ. აშშ დოლარი, მოლდავეთი - 2,6 მლნ. აშშ დოლარი, საქართველო - 1,3 მლნ. აშშ დოლარი, თურქმენეთი - 24 ათასი აშშ დოლარი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საფონდო ბირჟაზე 151,152.45 ლარის ფასიანი ქაღალდი გაიყიდა

27 აპრილს, საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე წარმოდგენილი 9 კომპანიის აქციებიდან და 1 კომპანიის ობლიგაციებიდან სავაჭრო გარიგება დაიდო 4 კომპანიის — საქართველოს ბანკის, და საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის, რეა-ქართუსა და საქწყალპროექტის აქციებზე. ასევე გარიგება დაიდო საქართველოს ბანკის ობლიგაციებზე (#GEBON). საქართველოს ბანკის აქციებზე დადებულმა გარიგებების საერთო ღირებულებამ 110,034.76 ლარი შეადგინა, გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის გაყიდული აქციებისაზე - 24,012.00, რეა-ქართუსაზე - 1,947.40 ლარი, ხოლო საქწყალპროექტის აქციების საერთო ღირებულებამ 1,776.00 ლარი შეადგინა, რაც შეეხება საქართველოს ბანკის ობლიგაციებს, გაყიდული 132 ობლიგაციის ღირებულებამ 13,382.29 ლარი შეადგინა. გარიგებების საერთო რაოდენობა იყო 21, ჯამური მოცულობა — 78,536 ფასიანი ქაღალდი, ხოლო ჯამური ღირებულება — 151,152.45 ლარი. **ჯი-ეიჩ-ენი**

# სოჭის ბირჩას საქართველოდან ლეგალურად გაიტანენ

პირველი გვერდიდან

სოჭის გირჩა მხოლოდ რაჭაში მოიპოვება, თეთრყვავილას (გალანტუსი) ბოლქვები და ყოჩივარდას გორგლები კი აჭარასა და იმერეთში გვხვდება. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის ირაკლი ღვალაძის განმარტებით, საქართველოში ამ სახეობების მცენარეების საკმაოდ დიდი რაოდენობაა და კარგად ფასობს. ისინი დამუშავების შემდეგ ფარმაცევტულ წარმოებაში გამოიყენება. გადამუშავების შემდეგ, არამერქნული რესურსისგან (გირჩა) და მცენარეებისგან განსაკუთრებული ხარისხის ესენცია მზადდება და ზოგიერთი წამლის დასამზადებლად გამოიყენება.

თეთრწვერას ბოლქვი, ყოჩივარდების გორგლი და სოჭის გირჩა წლების განმავლობაში არალეგალურად გადიოდა უცხოეთის ქვეყნებში, მათ შორის, თურქეთსა და ნიდერლანდებში. მოხდა ისე, რომ სოჭის გირჩა გასულ წელს ნიდერლანდებში გაიტანეს, დათესეს და 2005 წლის დეკემბერში, გაზრდილი ნაძვის ხეები საახალწლოდ საქართველოში გაყიდეს.

მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, ამ უნიკალური მცენარეების ექსპორტიორები საქონლის გატანისთვის ნებართვას აიღებენ, რაშიც განსაზღვრულ მოსაკრებელს გადაიხდიან და, წელს პირველად, ამ ბიზნესიდან ბიუჯეტი თანხებს მიიღებს. ღვალაძის განმარტებით, მოსაკრებელის ოდენობა ჯერ არ არის განსაზღვრული და ის კვოტების დადგენის შემდეგ გახდება ცნობილი. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა ერთი წლის განმავლობაში თეთრწვერას ბოლქვის, ყოჩივარდების გორგლის და სოჭის გირჩის მხოლოდ განსაზღვრულ რაოდენობას მოაგროვებს, რათა ეს მცენარეები არ გადაშენდეს.

რაც მთავარია, უნიკალური მცენარეული რესურსის გადამუშავებისა და წამლის დამზადებაში მისი გამოყენების შესაძლებლობით ადგილობრივი მეწარმეები დღემდე არ დაინტერესებულან. ეს ნიშა ფარმაცევტულ ბაზარზე თავისუფალია. როგორც ირკვევა, თეთრწვერას ბოლქვისა და ყოჩივარდების გორგლის ერთი კილოგრამი უცხოეთში 3 ევრო ღირს, ხოლო სოჭის გირჩისა - სამი დოლარი.

# საფონდო ბირჟაზე "ელექტროკავშირის" აქციებით ვაჭრობა დაიწყო

### 160 ათასი აქცია უკვე გაყიდულია

ნინო ნარჩემაშვილი

*"საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ანუ იგივე "ელექტროკავშირის" შესყიდვის მსურველთა განაცხადების შეტანის ვადა 12 მაისს იწურება. სახელმწიფო ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სახელმწიფო საწარმოს კუთვნილ წილს - 90.65 პროცენტს ყიდის. 18 აპრილს კი "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციები დაშვებულ იქნა სავაჭროდ საქართველოს საფონდო ბირჟაზე, რამაც აქციების ყიდვისა და გაყიდვის პროცესი უფრო გამჭვირვალე და სამართლიანი გახადა.*

ასე რომ, "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" 8 400 თანამშრომელს, რომლებიც აქციათა 9.35 პროცენტს ფლობენ, შესაძლებლობა ეძლევა, საკუთარი აქციები არა კერძო გარიგებების მეშვეობით, არამედ ცივილური მეთოდით, საფონდო ბირჟის მეშვეობით მომგებიანად გაყიდონ.

აღსანიშნავია, რომ საბროკერო კომპანია "გალტ ენდ ტაგგარტ სიქურითის" ჯერჯერობით ერთადერთია, ვინც ბირჟაზე "ელექტროკავშირის" აქციებით უკვე ივაჭრა - იყიდა და გაყიდა კომპანიის 160 ათასი აქცია. გარდა ამისა, იგი საინფორმაციო ანალიზს აქვეყნებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ერთი აქციის საბაზრო ფასი 0.36 ლარით განისაზღვრება, რომელიც შესაძლებელია, უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში 0.41 ლარამდე გაიზარდოს. სხვა საბროკერო კომპანიებს ბირჟაზე "ელექტროკავშირის" აქციებით არ უვაჭრიათ, თუმცა "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფმა" გარესაბირჟო ვაჭრობაზე აღნიშნული აქციების გარკვეული რაოდენობით ივაჭრა. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ არ არის განსაზღვრული აქციის რეალური ფასი, ანუ შეუძლებელია გაიგო აქციის რეალური საბაზრო ღირებულება, მაშინ მისი გაყიდვა გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული (ელემენტარულად, შეიძლება წამგებიანი იყოს ფასის მხრივ). აქციის საბაზრო ფასი კი სწორედ ბირჟაზე ვაჭრობისას დგინდება, ვინაიდან ბირჟაზე ვაჭრობა ღია და გამჭვირვალეა, ვაჭრობის შესახებ ინფორმაცია კი - საჯარო. ამდენად, აქციების ყიდვა თუ გაყიდვა საბროკერო კომპანიების მეშვეობით უნდა განხორციელდეს. გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი კრძალავს ბირჟაზე უკვე დაშვებული აქციებით გარესაბირჟო ვაჭრობას, რადგან აქციების ბირჟაზე სავაჭროდ დაშვება თვითონ აქციონერების სურვილითა და ნებაყოფლობით ხდება.

რაც შეეხება "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციებს, ისინი კოლექტივს უსასყიდლოდ გადაეცა, უფრო ზუსტად კი, ამ აქციების გადაცემა ამჟამად მიმდინარეობს და მისი მექანიზმი ასეთია - თანამშრომლები მიდიან რეგისტრატორთან, კომპანია "ცენტრთან", იღებენ სერტიფიკატს, რომელიც მათ საკუთრებას ადასტურებს და რომელშიც აღნიშნულია, რომ კომპანიის ერთ თანამშრომელზე 1150 აქცია გაიცემა. ამის შემდეგ მათ შეუძლიათ აქციების გაყიდვა ბირჟაზე საბროკერო კომპანიის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ თავად რეგისტრატორს არ აქვს უფლება, დადოს გარიგება აქციის გაყიდვასთან დაკავშირებით, ურჩიოს ვინმეს აქციის გაყიდვა, ან ურჩიოს გასაყიდი ფასი ან საბროკერო კომპანია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია აქციების გაყიდვა, ვინაიდან ამგვარი ქმედება ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის და აქციონერთა უფლებების უხეში დარღვევა იქნებოდა.

დაბოლოს, საბროკერო კომპანიის მეშვეობით აქცია, სავარაუდოდ, უფრო მარტივად, მომგებიანად და ძვირად გაიყიდება, რადგან საბროკერო კომპანიას მნიშვნელოვანი საბრუნავი თანხები, ძლიერი რესურსები და მრავალრიცხოვანი როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი კლიენტურა გააჩნია.




## ბათუმში კაზინოს გახსნისთვის საჭირო სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობა შემცირდება

ბათუმში კაზინოს გახსნისთვის საჭირო სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობა შემცირდება. პარლამენტარ მიხეილ მაჭავარიანის ინიციატივით, მომზადდა ცვლილება სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ" კანონში, რომელიც ბათუმში, ქობულეთსა და ბორჯომში კაზინოების გახსნისთვის საჭირო სალიცენზიო მოსაკრებლის შემცირებას ითვალისწინებს.

ამჟამად ბათუმის ტერიტორიაზე არსებული აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების, კაზინოების მოსაკრებლის განაკვეთი 1 მილიონი ლარია, ხოლო ბორჯომსა და ქობულეთში - 5 მილიონი ლარი. აღნიშნული მოსაკრებელი სამივე ქალაქში 250 ათას ლარამდე შემცირდება.

"კანონპროექტი მიზნად ისახავს ტურიზმის განვითარებას და საკურორტო ზონებში ისეთი ბიზნესის წახალისებას, რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვას და ინვესტიციების დაბანდებას," - განაცხადეს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში.

ამჟამად ბათუმში, ბორჯომსა და ქობულეთში სათამაშო ბიზნესი არ ფუნქციონირებს, რაც გამოწვეულია სანებართვო მოსაკრებლის მაღალი განაკვეთის არსებობით. სალიცენზიო მოსაკრებელი ბათუმში მილიონ ლარამდე, ხოლო ბორჯომსა და ქობულეთში 5 მილიონ ლარამდე 2006 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა. 5 მილიონი ლარის ოდენობის მოსაკრებელი ამჟამად მოქმედებს თბილისში, რამაც დედაქალაქში კაზინოების დახურვა განაპირობა. **ინტერპრესნიუსი**

## ელექტროენერგიის ახალი ტარიფის სუბსიდირების გეგმა მომავალი კვირისთვის მზად იქნება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ლექსო ალექსიშვილის განცხადებით, ელექტროენერგიის ახალი ტარიფის სუბსიდირებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით 10-11 მილიონი ლარი გამოიყოფა და მთავრობა პარლამენტს სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის პროექტს წარუდგენს.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე კი ამბობს, რომ პროექტით უკვე გათვალისწინებულია 35 მილიონი ლარი, რომელიც ბუნებრივ აირზე გაზრდილი ფასის კომპენსაციის სახით, "თბილგაზის" სუბსიდირებას მოხმარდება.

მისივე თქმით, გაზის გაძვირების გამო, საფასური ელექტროენერგიაზეც გაიზრდება. ალექსიშვილის ინფორმაციით, უფრო კონკრეტული დათვლები და სუბსიდირების გეგმა მომდევნო კვირისთვის იქნება მზად. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სგსე აბონენტებთან ურთიერთობის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნავს

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის (სგსე) რეგიონულ მომსახურების ცენტრებში აბონენტებთან ურთიერთობების ხარისხის ასამაღლებლად სპეციალური ტრენინგები იწყება.

როგორც პრაიმ-ნიუსს ენერგოკომპანიიდან აცნობეს, ტრენინგების მიზანია ენერგოკომპანიის ფილიალების თანამშრომლებისათვის აბონენტებთან ურთიერთობების იმ სპეციფიკური უნარ-ჩვევების გაზიარება და შემდგომი დანერგვა, რომლითაც, თავის მხრივ, წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები სარგებლობენ.

ენერგოკომპანიის ინფორმაციით, აბონენტებთან ურთიერთობის ხარისხის გასაუმჯობესებლად სგსე-ს რეგიონულ ფილიალებში შეიქმნა აბონენტებთან ურთიერთობების სამსახურები, ამოქმედდა "ცხელი ხაზი", ინტენსიურად ტარდება შეხვედრები მოსახლეობასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან.

როგორც სგსე-ში აცხადებენ, ტრენინგები მაისში ჩატარდება და მათ ფილიალის საზოგადოებასთან და აბონენტებთან ურთიერთობების სამსახურების ხელმძღვანელები გაუძღვებიან. **პრაიმ-ნიუსი**

## Bank of America Corp.-მა ახალი საკრედიტო ბარათები გამოუშვა

კორპორაცია “Bank of America Corp.”-მა საკუთარი საკრედიტო ბარათების გამოშვების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. აღნიშნული კორპორაცია 1950 წლიდან Visa და MasterCard-ის საკრედიტო ბარათებს უშვებს. სულ მალე “Bank of Amarica” გადახდის ახალ სისტემაზე გადავა. “ეს იდეა ჩვენი საკრედიტო ბიზნესის გაფართოების თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.”- აცხადებს ამერიკული ბანკის “Charlotte”-ს წარმომადგენელი ტერი ფრანსისკო, რომელიც საკრედირო ბარათების გამოშვებას უზრუნველყოფს. “Bank of Amarica”-ს ამ ეტაპზე სხვა გეგმები არ აქვს.

## მინი - ოფისი და გასართობი ცენტრი ერთ ყუთში

“ჩვენ იმდენად დიდი ტექნოლოგიური პოტენციალი გვაქვს, რომ ქვეყნის იზოლაციის პირობებშიც კი შევძლებთ ეკონომიკის განვითარებას”- აცხადებენ ირანელები. კომპიუტერული მოდულირების თვალსაზრისით, ირანს მსოლიო მასშტაბით ბადალი არ ჰყავს. ფირმა “Digital Klon”-მა მრავალფუნქციური კომპიუტერი “klonayzer Alfa” გამოიგონა. “ეს არის მინი - ოფისი და გასართობი ცენტრი - ერთ ყუთში”- აცხადებენ ფირმის წარმომადგენლები. ახალი კომპიუტერული გამოგონების ავტორი ირანში მცხოვრები ესპანური წარმოშობის მეხდი კომონია.

მან პატარა ტელევიზორის ზომის ყუთში “ჩატენა” პენტიუმ 4-ის პროცესორი, სკანერი, პრინტერი, ტელეფონი, ვებ-კამერა, ცხრამეტ დიუმიანი მონიტორი და კლავიატურა მაუსთან ერთად. ასე, რომ ეს არის კომპიუტერი, ტელეფონი, ტელევიზორი, რადიო და ყველაფერი ის, რაც ადამიანს გართობასა და საქმიანობისთვის სჭირდება. მთელი ეს მოწყობილობა 12 კილოგრამს იწონის და მისი ფასი სავარაუდოდ 2500-3000 აშშ დოლარი იქნება. ახალი კომპიუტერის მთავარი უპირატესობა ინტერფეისშია, რომელიც ძალიან ჰგავს ოთახს და მომხმარებლებისთვის ადვილად გამოსაყენებელია. გამოგონების ავტორი, მეხდი კომონის თქმით, ახალ კომპიუტერს მომხმარებელი სულ რაღაც ორ-სამ საათში დაეუფლება. ყველაზე მთავარი, კი რაც ახალ “Klonayzer”-ს ახასიათებს, არის ის, რომ ეს კომპიუტერი მომხმარებელს ადვილად ეჩვევა. “ჩვენ გამოგონილ კომპიუტერში დამონტაჟებულია სპეციალური ციფრული დნკ, რომელიც მომხმარებლის მოქმედებებს იმახსოვრებს და შემდეგ მას ინტერფეისს გადსცემს. მაგალითად, ამოწმებს საფოსტო ყუთს ან პირდაპირ გადართავს ტელევიზორს მომხმარებლის საყვარელ ტელეარხზე.”- აცხადებს გამომგონებელი. ირანული კომპანია თვეში მხოლოდ 10 კომპიუტერს აწარმოებს. სულ მალე კომპიუტერის ინრეფეისები რუსულ და არაბულ ენებზეც გამოვა. დღეისათვის კომპანიამ უკვე 75 ასეთი მულტისისტემა გაყიდა.

## ყველაზე კონკურენტუნარიანი ავტომობილი

“MitsubiSi Outlander”-ის მეორე თაობის ავტომობილები, ბოლო ექვსი თვის შედეგებით, იაპონიაში ყველაზე კარგად გაყიდვად ავტომობილად დაასახელეს. ეს ავტომობილი 2005 წლის ოქტომბერში გამოვიდა და უკვე 19 ათასიანი ტირაჟით გაიყიდა. “Mitsubish Outlender”-მა ისეთი პოპულარული მოდელები ჩამოიტოვა, როგორიცაა Lexus RX300 და ახალი თაობის Toyota RAV4. ასე, რომ Outlender-ი ყველაზე კონკურენტუნარიან ავტომობილებს შორის პირველ ადგილზეა. უნდა აღინიშნოს, რომ Mitsubish Outlender-ის ახალი ავტომობილების ჩვენება ნიუიურკის ავტოსალონებში მიმდინარე წლის აპრილში შედგა. სულ მალე, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამლიტრიანი ძრავა V6-ით აღჭურვილი Outlender-ი გაიყიდება. Mitsubish Outlender”-ის ევროპული პრემიერა 2006 წლის ბოლოსთვის იგეგმება. როგორც ცნობილია, ევროპელები ახალ ავტომობილს პარიზის პრესტიჟულ ავტოსალონებში იხილავენ.



# “ვოლგის” ნაცვლად “სებრინგი” და “სტრატუსი”

პირველი გვერდიდან







ნიჟნი ნოვგოროდის განახლებული ქარხანა ფუნქციონირებას მერმის, წლის ბოლოს დაიწყებს. წინასწარი გეგმით, ქარხანა წლიურად 65 ათას ავტომობილს გამოუშვებს საკუთარი მარკით, მათი საბაზო ღირებულება კი 17 ათასი დოლარი იქნება.

“დაიმლერკრაისლერისთვის” ეს პირველი შემთხვევაა, როცა კომპანია მთელი საწარმოს მოწყობილობას ყიდის თავისი ლიცენზიით. უნდა ითქვას, რომ “სებრინგიც” და “სტრატუსიც” საკმაოდ მოძველებული მოდელებია (უფრო სწორად, ერთი მოდელია სხვადასხვა დიზაინით). თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუ რუსები წინასწარ განსაზღვრული ფასის შენარჩუნებას მოახერხებენ, მაშინ მათ ბაზარზე გარკვეული წარმატების იმედი შეიძლება ჰქონდეთ.

“სტერლინგ ჰეიტსის” საწარმოო სიმძლავრე წლიურად 265 ავტომობილს შეადგენს. “კრაისლერს” მისი მოდერნიზება აქვს განზრახული, რის შემდეგაც იქ განახლებულ მოდელებს გამოუშვებს. გორკის ავტოქარხნის ექსპერტთა შეფასებით, ქარხანას ამერიკული ხაზის და “კრაისლერის” ავტომობილების წარმოების ლიცენზიის შეძენა დაახლოებით 150 მილიონი დოლარი დაუჯდება.

ამ ფასში შედის გამოსყიდვის ღირებულება, ტრანსპორტირება, სამონტაჟო სამუშაოები, ლიცენზია და მოდელების უმნიშვნელო რესტაილინგი. აღნიშნულ გარიგებას ორი წლის განმავლობაში, საკუთარი სახსრებით დააფინანსებს “გაზ”-ი.

სპეციალისტების მოსაზრებით, “გაზ”-ისთვის “დაიმლერკრაისლერთან” აღნიშნული კონტრაქტის გაფორმება მსუბუქი ავტომობილების ბაზარზე დარჩენის ერთადერთი შანსია. მალე “გაზ”-ი წარმოებიდან მოხსნის თავის ერთადერთ მსუბუქ ავტომობილ “ვოლგას”. სწორედ მას შეცვლიან “სებრინგი” და “სტრატუსი”.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თავიდან ოლეგ დერიპასკა თავისი კომპანიის გადარჩენას “ფიატთან” საქმის დაჭერით ცდილობდა, ორი წლის წინ კი ის იაპონურ “ნისანს” დაუკავშირდა. მაგრამ მას არც ერთ მათგანთან საქმე არ გამოუვიდა, რაც ნაწილობრივ, ალბათ, იმის გამოც მოხდა, რომ იმ დროს ორივე კომპანია სერიოზულ ფინანსურ კრიზისს განიცდიდა.

არადა, პარალელურად, “ავტოვაზ”-მა საქმიანი ურთიერთობა გააბა “ჯენერალ მოტორსთან”, “სევერსტალ-ავტო” კი ლიცენზიით ერთბაშად გამოუშვებს სამი სხვადასხვა კომპანიის, კორეული “სსანგ იონგის”, “იტალიური “ფიატისა” და იაპონური “ისუძუს” მოდელებს.

ასე თუ ისე, “გაზ”-მა მაინც მოახერხა სასურველი კონტრაქტის გაფორმება. “სებრინგისა” და “სტრატუსის” ახლანდელი მოდელები უკვე მოძველებულია. “კრაისლერმა” ისინი ბაზარზე 2001 წელს გამოუშვა და ახლა მათ შეცვლას იწყებს. სწორედ ამიტომ ჰყიდის ქარხნის მოწყობილობას, რომელიც ახალი მოდელების წარმოების ასათვისებლად აღარ გამოადგება. რუსული კომპანიისთვის კი ეს თვისობრივად ახალი ეტაპის დაწყებას მოასწავებს.

“გაზ”-ი იმედოვნებს, რომ ამ ორი მოდელის პლატფორმაზე შექმნის რიგ ახალ მოდელებს, რომელთა გამოშვებასაც ეტაპობრივად შეუდგება. ამასთან, რუსები ირწმუნებიან, რომ მალე D-კლასის სეგმენტში ყველაზე იაფი და, შესაბამისად, კონკურენტუნარიანი ავტომობილების გამოშვებას დაიწყებენ, რაც მათი ფინანსური წარმატების გარანტია იქნება. სხვათა შორის, რუსები თავიდანვე დიდი ყურადღებით ეკიდებიან წარმოების ხარისხის ამაღლებას, რისთვისაც ისინი წარმოების პროცესისთვის ყურადღების მისაქცევად, ქარხანაში ამერიკელ სპეციალისტებს მიიწვევენ.

“გაზ”-ის ჯგუფის სტრატეგიული განვითარების განყოფილების გენერალური დირექტორი ერიკ ებერჰარდსონი აცხადებს, რომ რუსული წარმოების “სებრინგისა” და “სტრატუსის” მინიმალური ფასი 17 ათასი დოლარი იქნება.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ ეტაპზე “კრაისლერი” რუსეთში არ ჰყიდის “სტრატუსს”, რომლის საბაზო ღირებულება აშშ-ში 20 500 დოლარს შეადგენს. რაც შეეხება “სებრინგს”, შარშან “კრაისლერმა” ამ მოდელს მხოლოდ 78 მყიდველი მოუძებნა. მისი საბაზო ღირებულება მოსკოვში 23 900 დოლარია.

ახალი ავტომობილების წარმოებასთან დაკავშირებით, “გაზ”-ი ახალ სამარკო ნიშანს შექმნის. ახალი ავტომობილების გასაყიდად კი საკუთარ სადილერო ქსელს გამოიყენებს, რომელსაც საგრძნობლად გააფართოებს. თავიდან ქარხანა წლიურად 65 ათას ავტომობილს გამოუშვებს, დანარჩენი საწარმოო სიმძლავრე კი “გაზ”-ის ძირითადი წარმოების მოდერნიზაციისთვის იქნება გამოყენებული.

გარდა ამისა, “დაიმლერკრაისლერთანვე” გაფორმდება კიდევ ერთი კონტრაქტი, რომლითაც რუსული ქარხანა “სებრინგისა” და “სტრატუსისთვის” პარტნიორისგან მექსიკური ქალაქ სალტილას ქარხნის წარმოების ძრავებს და გადაცემათა კოლოფებს მიიღებს. სხვათა შორის, ცოტა მოგვიანებით, ნიჟნი ნოვგოროდის ქარხანაში გადმოინაცვლებს სალტილას ქარხნის შედარებით მოძველებული დანადგარებიც.

რუსი ექსპერტების მოსაზრებით, დერიპასკამ “გაზ”-ისთვის სწორი სტრატეგია აირჩია. რატომ? იმიტომ, რომ D-კლასის ავტომობილებს რუსეთში არავინ აწარმოებს. ჰოდა, “გაზ”-ის მიერ გამოშვებულ ავტომობილებს არ მოუწევთ “ტოიოტა ქამრისთან” კონკურენცია, რომლის გამოშვებასაც სანკტ-პეტერბურგის ქარხანა მალე შეუდგება.

იმავდროულად, შესაძლოა, პრობლემური გახდეს რუსეთის ბაზარზე ახალი რუსული ბრენდის დამკვიდრება. თანაც, ბევრი სპეციალისტი დარწმუნებულია, რომ “გაზ”-ი წინასწარ გამოცხადებული ფასის (17 ათასი დოლარი) შენარჩუნებას ვერაფრით მოახერხებს.

დაბოლოს, “გაზ”-მა შარშან სულ 55 055 ცალი მსუბუქი, 169 268 სატვირთო და მსუბუქი კომერციული ავტომობილი და 18 716 ავტობუსი გამოუშვა. წინასწარი მონაცემებით, კომპანიამ გაყიდვებიდან დაახლოებით 3 მილიარდი დოლარი მიიღო, მოგებამ კი (გადასახადების და პროცენტების გადახდამდე, ასევე ამორტიზაციის გაუთვალისწინებლად) 315 მილიონი დოლარი შეადგინა.

ცნობისათვის, “გაზ”-ის ავტოქარხანა ეკუთვნის კომპანია “რუსპრომავტოს”, რომლის ძირითადი აქციონერი დერიპასკას კუთვნილი კომპანია “რუსსკიე მაშინი”.

# “ეარბასი” A350-ის მოდიფიცირებაზე თანახმაა




ავიალაინერების მწარმოებელი ევროპული კომპანია “ეარბასი” აცხადებს, რომ მზადაა, მოდელ A350-ის მოდიფიცირების დაწყებისთვის საჭირო სამუშაოებს შეუდგეს. ტულუზაში ბაზირებული ავიაგიგანტი, უკვე დიდი ხანია, ღებულობს შენიშვნებს იმის თაობაზე, რომ მისი საშუალო სიგრძის, ფართოფუზელაჟიანი თვითმფრინავი რიგ მოდიფიკაციებს საჭიროებს, რათა შესაძლებელი გახდეს “ბოინგის” კონკურენცია სრულიად ახალ ლაინერებთან.

“მინდა განვაცხადო, რომ “ეარბასი” ყურადღებით ისმენს თავისი კლიენტების შენიშვნებს და მათი გათვალისწინებით მოქმედებს. ჩვენ მზად ვართ, ჩავატაროთ დამატებითი სამუშაოები იმისათვის, რომ კლიენტურა ყოველთვის კმაყოფილი გვყავდეს,” - განაცხადა ტულუზის ქარხნის ახალი კორპუსის გახსნასთან დაკავშირებულ ცერემონიაზე კომპანიის მთავარმა აღმასრულებელმა გუსტავ ჰუმბერტმა.

“ეარბასის” პროდუქციის რიგი მსხვილი მომხმარებლები, მათ შორის, “სინგაპურ ეარლაინზი” ევროპულ ავიაგიგანტს აკრიტიკებს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ბევრს არაფერს ცდილობს იმისათვის, რათა ღირსეული კონკურენცია გაუწიოს “ბოინგს”. ეს უკანასკნელი მალე ბაზარზე გამოუშვებს თავის ახალ შედევრს - ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით შექმნილ ლაინერ “787 დრიმლაინერს”, რომლის შეძენის სურვილი უკვე რამდენიმე დიდმა ავიაკომპანიამ გამოთქვა.

ამერიკული კომპანიისათვის საკადრისი კონკურენციის გასაწევად, “ეარბასმა” უკვე დაგეგმა A350-ის ფუზელაჟის გაფართოებისა და ფრთების ზომების გაზრდის გეგმა, რომლის მიხედვითაც მალე დასრულდება პროექტის შედგენა. თავიდან ჩაფიქრებული იყო, რომ გამოეყენებინათ მოდელ A330-ის ელემენტები, თუმცა მოგვიანებით, ამ ვარიანტზე თავი შეიკავეს.

სხვადასხვა მიზეზთა გამო, “ეარბასი” იძულებული გახდა, რამდენჯერმე გადაედო თავისი სუპერჯამბოს, A380-ის კლიენტებისთვის მიწოდების დაწყება. გარდა ამისა, პოპულარობას კარგავს მისი კიდევ ერთი მოდელი, ოთხძრავიანი A340. “ეარბასმა” საზოგადოებას A350 ორი წლის წინ წარუდგინა. მაშინ ევროპელები ვარაუდობდნენ, რომ ამ მოდელით სრულფასოვან კონკურენციას გაუწევდნენ “787 დრიმლაინერს”, მაგრამ ვარაუდი არ მართლდება. მათი ლაინერი კრიტიკის ქარცეცხლშია, როცა “დრიმლაინერის” გაყიდვების დაწყებამდე ორი წლით ადრე “ბოინგს” ამ თვითმფრინავზე იმდენი შეკვეთა აქვს მიღებული, რომ მათ შესრულებას სამი წელი მოუნდება.

იმ დროს, როცა “ეარბასი” მთელ თავის შესაძლებლობებს წარმოებისთვის A380-ის მომზადებას ანდომებდა, “ბოინგმა” სრულიად “უმტკივნეულოდ” შექმნა “787 დრიმლაინერი”. იმთავითვე აშკარა გახდა, რომ ამერიკული ლაინერი ბევრი პარამეტრით უკეთესია ევროპელ კონკურენტზე, თუმცა A350-ის სრულყოფისთვის “ეარბასს” კარგახანს არ ეცალა. და მაინც, ტულუზელები იხტიბარს არ იტეხენ. ჰუმბერტი ამბობს, რომ “ეარბასს” უკვე 182 წინასწარი შეკვეთა აქვს მიღებული A350-ის მიწოდებაზე. თანაც, “ბოინგის” უპირატესობას იმ გარემოებას მიაწერს, რომ ამერიკელებმა საზოგადოებას თავიანთი “საოცნებო ლაინერი” A350-ზე ორი წლით ადრე წარუდგინეს.

ჰუმბერტი ასევე გამოეხმაურა ბრიტანული “BAE სისტემზის” მიერ “ეარბასში” მისი წილის (20 პროცენტი) ევროპულ თავდაცვით კონგლომერატ EADS-სთვის მიყიდვის ფაქტს. ეს ორი კომპანია აქამდე “ეარბასის” აქციების ყველაზე მსხვილი მფლობელი იყო, მაგრამ ახლა ბრიტანელებმა ოკეანის გაღმა თავიანთი ყურადღება, ძირითადად, სამხედრო ტექნიკის ბიზნესისკენ მიმართეს. ჰუმბერტი ამბობს, რომ “BAE სისტემზის” მიერ აქციების გაყიდვა მოსალოდნელი იყო, თუმცა ცოტა მოგვიანებით. ასეა თუ ისე, “BAE სისტემზი” “ეარბასის” აქციებში 3.5 მილიარდ ევროს მიიღებს, რომლებსაც მთლიანად აშშ-ში დააბანდებს.

## აშშ-ს ბირჟაზე კვლავ კლებაა




გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე მაკროეკონომიკური სიახლეების მოლოდინში ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. მსხვილ კომპანიათა ანგარიშის გამოქვეყნების წინ ინვესტორთა განწყობაზე გავლენა მოახდინა ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი განაკვეთის 5 პროცენტამდე შესაძლო გაზრდის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ.

ნამდვილი სიურპრიზი აღმოჩნდა ჩინეთის ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილება, რომელმაც 2004 წლის ოქტომბრის შემდეგ პირველად საკრედიტო განაკვეთი 5,85 პროცენტამდე გაზარდა. ექსპერტთა აზრით, ამის მიზეზი უცხოური ინვესტიციების მოდინების ფონზე მსოფლიოს ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკის "გადაწვის" საფრთხის თავიდან აცილებაა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,67 პროცენტით, 11.278,45 პუნქტამდე დაეცა, 0,79 პროცენტით დაკლებულმა Nasdaq Index-მა 2.315,12 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,74 პროცენტით, 1.295,72 პუნქტამდე შემცირდა.

## ნავთობი ისევ გაიაფდა

უკანასკნელ დღეებში დაფიქსირებული ნავთობის ფასის კლების ტენდენცია გუშინაც გაგრძელდა. ამჯერად Brent-ის მარკის 1 ბარელი ნავთობი 71,24 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის 1 ბარელი ნავთობი კი 71,3 დოლარამდე გაიაფდა. ამის მიზეზი გახდა გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უახლოეს მომავალში, აშშ-ს ბენზინისა და ნედლი ნავთობის დეფიციტი არ ემუქრება.

თუმცა, უკვე 5 მაისიდან, შესაძლოა, ნავთობზე ფასების ზრდა განახლდეს. საქმე იმაშია, რომ სწორედ ამ რიცხვიდან შედის ძალაში აშშ-ში მეთილტრიბუთილის ეთერის ბენზინში გამოყენების აკრძალვა, რომელიც მთლიანად ეთანოლით უნდა შეიცვალოს. თუ ახალი ტიპის საავტომობილო საწვავზე გადასვლა აშშ-ში უმტკივნეულოდ არ მოხდება, ნავთობი კვლავ აუცილებლად გაძვირდება.

## ოქროსა და სავალუტო რეზერვით რუსეთი კორეას დაეწია

რუსეთის ბანკის ინფორმაციით, ქვეყნის ოქროსა და სავალუტო რეზევმა 217,1 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც ერთი კვირის წინანდელ მაჩვენებელთან შედარებით 5,1 მილიარდი დოლარით მეტია. ეს კი ნიშნავს, რომ რუსეთი უკვე თითქმის დაეწია სამხრეთ კორეას, რომლის ოქროს და სავალუტო რეზერვი 218 მილიარდამდეა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ოქროსა და სავალუტო რეზერვი 2005 წლის 18 ნოემბრის შემდეგ გამუდმებით მატულობს და იქედან მოყოლებული უკვე 33 პროცენტით, ანუ 54 მილიარდით გაიზარდა. ამის მიზეზი რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ ამერიკული დოლარის გამალებული შესყიდვა გახდა.

ასე რომ, ოქროსა და სავალუტო რეზერვის მიხედვით მსოფლიოში მეოთხე ადგილზე მყოფ სამხრეთ კორეას რუსეთი უკვე პრაქტიკულად დაეწია და რამდენიმე დღეში ალბათ გაუსწრებს კიდეც. შეგახსენებთ, რომ ამ მაჩვენებლით მსოფლიოში პირველ ადგილზე ჩინეთია, მეორეზე იაპონია, მესამეზე კი ტაივანი.

## General Electric მესამე სამყაროს დაპყრობას აპირებს

მრავალპროფილიანი ამერიკული გიგანტი General Electric Co 2010 წლისათვის მესამე სამყაროს, განვითარებად ქვეყნებში თავისი წლიური შემოსავლის ორჯერ, 50 მილიარდ დოლარამდე გაზრდას აპირებს. General Electric-ის წარმომადგენლის პროგნოზის მიხედვით, 2010 წლისათვის კომპანიის წლიური შემოსავალი მარტო ინდოეთში 8 მილიარდ დოლარს მიაღწევს. ამჟამად ეს მაჩვენებელი 1 მილიარდის ფარგლებშია.

კომპანიის გენერალური დირექტორის ჯეფ იმელის თქმით, არასწორია არსებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ დიდი კომპანიები ვერ იზრდებიან და რომ General Electric თავის ძალას სწორედ გაფართოებისათვის გამოიყენებს, რაც გლობალიზაციის პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია.

აქვე უნდა ითქვას, რომ 2006 წლის პირველ კვარტალში General Electric-ის სუფთა მოგებამ 4,309 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 9 პროცენტით მეტია.

## Shell ნიგერიელ აჯანყებულებთან თანამშრომლობდა

ბრიტანულ-ჰოლანდიური ნავთობკომპანია Royal Dutch Shell-მა აღიარა, რომ გარკვეული საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა მოჯანყე ორგანიზაციასთან Movement for the Emancipation of the Niger Delta - MEND (ნიგერიის დელტის განმათავისუფლებელი მოძრაობა). ამგვარად კომპანია თავის ნავთობაქტივებზე ტერორისტული თასდასხმის თავიდან აცილებას ცდილობდა.

მიმდინარე წლის დასაწყისში MEND-ის აქტივისტებმა მძევლად აიყვანეს Shtll-ის წარმომადგენლები ნიგერიაში. გარდა ამისა, ააფეთქეს კომპანიის ნავთობსადენი და დააზიანეს მისი ტერმინალი. ქვეყნის სამხრეთში მომხდარ არეულობამდე ნიგერია აფრიკის ყველაზე მსხვილი ნავთობექსპორტიორი იყო, მაგრამ პოლიტიკურმა დაპირისპირებამ ამ ქვეყნიდან ნავთობის მიწოდების 25 პროცენტით შემცირება გამოიწვია, რაც “შავ ოქროზე" ფასის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

## "ინფორმატიზაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი" ვერ გაიყიდა

12. The successful Bidder shall be required to provide the performance Security in the form of bank guarantee issued by the high rank banking institution or insurance company. The amount of Security shall not be less than 5 % of the total Contract price.
13. In case the success of Bidder from foreign country, the Bidder is obliged, within one week after notification of Contract award to be registered either a permanent institution as defined by the Taxation Code of Georgia or enterprise defined by the same Code. Such an institution or enterprise will be liable to taxes defined by the Taxation Code of Georgia.
14. Interested persons may obtain further information at the Procurement Department under Ministry of Economic Development of Georgia Department of Roads, Tender department, contact Tel: 37-63-95, contact persons Gia Diasamidze.

**Tender Committee**

# სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"ს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" აცხადებს ტენდერს **ორი მიკროავტობუსისფ და ერთი მსუბუქი ავტომანქანის** შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**მიკროავტობუსების** ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- 9-15 ადგილიანი,
- 4 ცილინდრიანი,
- საწვავის ტიპი - ბენზინი,
- კონდიციონერი (წინა, უკანა),
- საბურავი 195 R 15,
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი - მექანიკური,
- ნაჭრის სალონი,
- საჭის ჰიდროგამაძლიერებელი,
- ანტიკოროზიული დამუშავება,
- მიწოდების ადგილი - თბილისის საერთაშორისო აეროპორტი.

**მსუბუქი ავტომანქანის** ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- კონდიციონერი,
- საბურავი 175/65 R14,
- საწვავის ტიპი - ბენზინი,
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი - მექანიკური,
- საჭის ჰიდროგამაძლიერებელი,
- წინა ნისლის საწინააღმდეგო ფარები,
- ბორბლების დეკორატიული ხუფი,
- შუშების ელექტრორეგულირება,
- ცენტრალური საკეტი,
- მიწოდების ადგილი - თბილისის საერთაშორისო აეროპორტი.

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი, შემდეგ რეკვიზიტებზე: სს "ბაზისბანკი", კოდი 220101956, ა/ა: 7434123. დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი, სს G"თბილისის საერთაშორისო აეროპორტი".
3. სატენდერო მოსაკრებელის ანაზღაურების შემდგომ პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს აეროპორტის სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, ტელ.: 433132.
4. განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის სახით, ან ნოტარიულად დამოწმებული, ქართულ ენაზე.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:
იურიდიული პირისათვის:
- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.
- Mმსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის (ცნობა საქართველოს შს სამინისტროდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
ფიზიკური პირისათვის:
- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

- უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის (ცნობა საქართველოს შს სამინისტროდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
6. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.
7. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და ერთიანი დალუქული კონვერტით წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 17 მაისს 15.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, სს G"თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"ს ადმინისტრაციული შენობა, სატენდერო კომისიის აპარატი, ტელ.: 433132.
8. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
9. პრეტენდენტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 17 მაისს 15.00 საათზე.
10. დაგვიანებით შემოსულ კონვერტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.
11. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ**
**სატენდერო კომისიის აპარატს ზემოაღნიშნულ მისამართზე,**
**ტელ.: 433132; ფაქსი: 433103.**

**სატენდერო კომისია**

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს საერთაშორისო ორეტაპიან ტენდერს სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ.89-კმ.96 ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთის (გვირაბით) მშენებლობის მე-2 ეტაპის სამუშაოებიდან გადაუდებლად შესასრულებელი სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

სამუშაოების შემადგენლობა და სახეობები: გვირაბის თაღისა და კედლების მოწყობა, გვირაბის დაგრძელება, გვირაბებს შორის გასასვლელის მოწყობა, ვენტილაციის მოწყობა, პორტალებისა და პორტალზედა ფერდობების მოწყობა და სხვა

**2.** ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 2006-2007წწ.

სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოებში.

**3.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი მოსაზრებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ენაზე ღირებულების გარეშე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 18 მაისის 900 საათიდან 1800 საათამდე და 2006 წლის 19 მაისის 900 საათიდან 1200 სთ.-მდე (სამუშაო პერიოდში), ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი, ერთი ასლი), შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირების საკვალიფიკაციო მონაცემებს და პირველად მოსაზრებებს განიხილავს შესაბამისი საექსპერტო კომისია, რომლის რეკომენდაციის საფუძველზეც სატენდერო კომისია ტენდერის პირველ ეტაპზე მოახდენს იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტებას და განსაზღვრავს პრეტენდენტებს.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასება.

ტენდერის მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით, ტექნიკური მაჩვენებლებით და სხვა მონაცემებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 4.1.1. პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

უცხო ქვეყნის იურიდიულმა პირებმა ცნობები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი სამსახურებიდან.

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

**-** ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების შესახებ.

მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები. მანქანა-მექანიზმები და დანადგარები უნდა იყოს თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი.

| N | დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ხელით გადასატანი პერფორატორები d=50 მმ შპურების საბურღად СЭР -19-2М | 3 |
| 2 | საბურღი დანადგარი УБШ—322Д | 1 |
| 3 | ავტომტვირთავები 4043М | 1 |
| 4 | მუხლუხიანი მტვირთავები ТО-(Д-574) | 1 |
| 5 | ინდივიდუალური მექანიკური თვითგადაადგილებადი ლითონის შესაბამისი ყალიბი | 1 |
| 6. | ბეტონის მოსამზადებელი დანადგარი СБ-5 წარმადობით 75 მ$^3$/სთ | 1 |
| 7 | ავტობეტონმრევი "მიქსერი" СБ-92-1А | 3 |
| 8 | სამაგრსუკანა პნევმო-საჭირხნი მექანიზმი ПН—0.5 | 1 |
| 9 | სატრანსფორმატორო ქვესადგური КТП—250—10—81—VI | 2 |
| 10 | პნევმოჩაქუჩები | 10 |
| 11 | სტაციონალური კომპრესორი წარმადობით 20 მ$^3$/წთ 160 В—20/8 | 2 |
| 12 | მოწყობილობა შედუღებისათვის | 3 |
| 13 | მოწყობილობა არმატურის დამზადებისათვის | 3 |
| 14 | თვითმცლელები 12 ტ | 4 |
| 15 | ბორტიანი მანქანები | 2 |
| 16 | ავტოამწე 16 ტ | 1 |
| 17 | ბულდოზერი სიმძლავრით 79 კვტ | 1 |
| 18 | ელექტროვიბრატორები | 5 |
| 19 | ნაშხეფ ბეტონის დასატანი მოწყობილობა | 1 |

სფეციფიკაციები მოცემული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები (მათ შორის საჭირო ყალიბი, ბეტონის დამამზადებელი დანადგარი და სხვა) იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა. შ.). ასევე აუცილებლად მითითებული იქნეს სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგილზე მობილიზაციისათვის.

-- ცნობას ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა 50% უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოების შესრულების არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული იქნეს: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული იქნეს: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწევი სამუშაოს შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული იქნეს იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

**გ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული იქნეს იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

**დ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული იქნეს: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

**ე.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

-- ცნობას იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები)

იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უნდა ჰქონდეს 5 წლის გამოცდილება და უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ერთ-ერთ წელს მაინც შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის და შინაარსის სამუშაოები საერთო ღირებულებით 10 მილიონი ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**--** ცნობა 2006 წლის 1 მაისის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება), მიუთითეთ საკონტაქტო ტელეფონები;

**5.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-3 და მე-4 მუხლებში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო და პირველად (ტექნიკური მაჩვენებლები და სხვა მონაცემები) მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**8.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000), მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

სატენდერო დოკუმენტაციის შეძენის ვადა დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ და პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით, პირველი ეტაპის დასრულებიდან 2 დღის ვადაში.

**9.** სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებს ის პრეტენდენტი, ვინც პერსონალზე (რომელიც პასუხისმგებელი იქნება და სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე იმუშავებს სატენდერო წინადადების შესადგენად) წარმოადგენს "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საიდუმლო ობიექტებზე დაშვების ნებართვის დამადასტურებელ დოკუმენტს და იგი პასუხისმგებელი იქნება სატენდერო დოკუმენტაციის მიღებასა და დამუშავებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენდენტზე სატენდერო დოკუმენტაცია არ გაიცემა.

**10.** გამარჯვებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირი პასუხისმგებელი იქნება იმ ინჟინერ-ტექნიკურ და საწარმოო პერსონალზე, ვინც უშუალოდ განახორციელებს გვირაბის სამშენებლო სამუშაოებს, რომლებსაც უნდა გააჩნდეთ "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საიდუმლო ობიექტებზე დაშვების შესაბამისი ნებართვები. აღნიშნული ნებართვები წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კვირის ვადაში (ზემოაღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულების პირობებში)

**11.** პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ მაღალრეიტინგული ბანკის მიერ გაცემული სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება პრეტენდენტის სატენდერო წინადადებების ღირებულების არა ნაკლებ 1% ოდენობით.

**12.** გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/.და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს მაღალრეიტინგული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

**13.** ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირის გამარჯვების შემთხვევაში ის ვალდებულია გამარჯვების შესახებ შეტყობინების დღიდან ერთი კვირის ვადაში დარეგისტრირდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მუდმივ დაწესებულებად ან ამავე კოდექსის მიხედვით განსაზღვრულ საქართველოს საწარმოდ, რომელიც დაიბეგრება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადებით.

**14.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.63.95 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**

# შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს მის ბალანსზე რიცხული ტურბოგენერატორის რეალიზების შესახებ

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

- მესაკუთრე - შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური", მისამართი - ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქუჩა N52.

- სარეალიზაციო ქონება- ტურბოგენერატორი გამოშვების წელი 1994, NHЭГЖ 874081 ПАЭС - 2500კვტ

- საწყისი ფასი შეადგენს 35 000 აშშ დოლარს

საკონკურსო პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

კონკურსში მონაწილეობის მიღების აუცილებელი პირობაა "ბე"-ს გადახდა, რომელიც შეადგენს 10000 (ათი ათასი) აშშ დოლარს. "ბე"-ს გადახდა წარმოებს შესაბამისი კურსით ლარებში შემდეგ ანგარიშზე: "თი-ბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი, ა/ა 609103, კოდი 220101937.

კონკურსში გამარჯვებულ პირს გადახდილი "ბე" ჩაეთვლება გადახდილად სარეალიზაციო საქონლის ღირებულებაში. დანარჩენ კონკურსანტებს გადახდილი "ბე" უბრუნდებათ უპირობოდ გამარჯვებულის გამოვლენიდან 30 დღის განმავლობაში.

საკონკურსო წინადადება უნდა იყოს დაფიქსირებული კონკრეტული თანხა. ფასი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე დათქმაზე ან სხვა მონაწილის (პრეტენდენტების) მიერ წარმოდგენილ წინადადებაზე და ფასსე.

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" არ აგებს პასუხს სარეალიზაციო ტურბოგენერატორის ნივთობრივი ნაკლის გამო. ტურბოგენერატორის დემონტაჟი და ფოთის ნავსადგურიდან გატანა ხორციელდება კონკურსში გამარჯვებულის მიერ საკუთარი ხარჯებით და ძალებით.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 1 მაისიდან 2006 წლის 30 მაისის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48

განცხადების მიღების დაწყების დღიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს შეამოწმოს ტურბოგენერატორის ტექნიკური მდგომარეობა.

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

**1.** განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

**2.** კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

**3.** "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

**4.** კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;

**5.** იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სარეალიზაციო ქონების მაქსიმალური ფასის გადახდა.

**შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"**

# განცხადება

შპს "აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის" დირექცია აცხადებს ტენდერს საქონლის ხორცის შესყიდვასთან დაკავშირებით. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტაცია სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად განცხადების გამოქვეყნებიდან 30-ე დღის 18.00 უნდა წარმოადგინონ იურიდიულ მისამართზე: ქ. ხონი სოფ. ქუტირი. ტელ. 899 472538, 8231 10424, ფაქსი: 8231 10424.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის გახსნა და შესაბამისად ტენდერში გამარჯვებულის შერჩევა მოხდება სატენდერო კომისიის მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ამოწურვიდან მეორე დღის 12 საათისათვის. დამატებითი პირობებისათვის დაგვიკავშირდით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

**შპს "აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის" დირექცია**

**დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს აცნობებს, რომ მის მიერ ა.წ. 28 მარტს გაზეთ "24 საათში" $ 66 (1218) გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულია შპს "ც.ფ.", რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.**

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული კავშირგაბმულობის სახაზო მეურნეობის, უმავთულო რადიოკავშირის მოწყობილობებისა და საქალაქთაშორისო კომუტატორის მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

მომსახურებას ექვემდებარება:

- კავშირგაბმულობის სახაზო მეურნეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს სხვადასხვა მარკის კაბელების ქსელი სულ 63300 გრ.მ საქართველოს რეგიონებში: თბილისი, ქუთაისი, ფასანაური, კობი, გუდაური, ბოლნისი, კახეთის რეგიონი, რიკოთის საუღელტახილო გადასასვლელი, გორი, ზესტაფონი და სხვა, 12 და 60 ვოლტიანი მუდმივი დენის წყაროები, დენის გამმართველები და ა.შ.

- "კოდანის" ტიპის უმავთულო რადიოკავშირის სისტემების სტაციონალური და მობილური მოწყობილობები სულ 36 კომპლექტი დამონტაჟებული საქართველოს მთიანი რეგიონების საგზაო მეურნეობების საყრდენ პუნქტებში და მანქანა-მექანიზმებზე, ფასანაური, კობი, გუდაური, კახეთის რეგიონი, ხულო, მესტია და ა.შ

- საქალაქთაშორისო კომუტატორის მომსახურება

კავშირგაბმულობის ნაგებობებისა და საინფორმაციო წყაროების მომსახურება (ტექნიკური მოვლა-შენახვა) მოიცავს:

I კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზების ტექნიკური მომსახურების მიზანია:

- კავშირგაბმულობის ნაგებობების შეუფერხებელი და მაღალხარისხიანი მუშაობის უზრუნველყოფა;

- საკაბელო ხაზების შენახვა დადგენილი ნორმებისა და მოთხოვნების ფარგლებში;

-- სახაზო ნაგებობების ხანგრძლივი მუშაობის და მათი საიმედობის გაძლიერების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება;

- პირველადი აღრიცხვიანობისა და ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტაციის წარმართვა;

II. ტექნიკური მომსახურება, თავისი მოცულობის და პერიოდულობის მიხედვით განისაზღვრება, როგორც მიმდინარე მომსახურება და საგეგმო-პროფილაქტიკური მომსახურება რომელიც ხორციელდება დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

III. სახაზო ნაგებობების შეკეთებას;

IV. სახაზო ნაგებობების დაცვას გარე ელექტრომაგნიტური ზემოქმედებისა და კოროზიისაგან;

V. საქალაქთაშორისო კომუტატორის შეუფერხებელი და მაღალხარისხიანი მუშაობის უზრუნველყოფას

**2.** მომსახურების გაწევის ვადა - 2006 წელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000), 2006 წლის 5 მაისიდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 18 მაისის 900 საათიდან 1800 საათამდე და 2006 წლის 19 მაისის 900 საათიდან 1200 საათამდე (სამუშაო პერიოდში), ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 4.1.1 პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.2 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას მომსახურების გასაწევად საჭირო აღჭურვილობის შესახებ. მონაწილეს, ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) ქვემოთ ჩამოთვლილი აღჭურვილობა.

| N | მოწყობილობა-დანადგარის სახე | აღწერილობა, მოდელი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შეძენილ იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | **გადასაადგილებელი საშუალებანი** | | | | |
| 1.1 | ა/მ მსუბუქი | | | | |
| 1.2 | ა/მ სპეციალური | | | | |
| 2 | **სადენების ელექტრო პარამეტრების გამზომი და დაზიანების ადგილების განმსაზღვრელი ხელსაწყოები** | | | | |
| 2.1 | სადენების ელქტრო პარამეტრების გამზომი და დაზიანების ადგილების განმსაზღვრელი | ПКП-4 ან ეკვივალენტი | | | |
| 2.2 | გარდამავალი მილევისა და კაბელის დაცულობის გაზომვა | ВИЗ-600 ან ეკვივალენტი | | | |
| 2.3 | კომპლექსური შეერთებების გამზომი | ИКС-600 ან ეკვივალენტი | | | |
| 2.4 | ბოლოების ჩვენებისა და ტალღური წინაღობის არაერთგვაროვნობის გაზომვა | УИПКС ან ეკვივალენტი | | | |
| 2.5 | ტალღურ წინაღობამდე მონძილის და მისი ხასიათისა განსაზღვრა | P5-5. P5-10 ან ეკვივალენტი | | | |
| 2.6 | სრული გამტარუნარიანობის გაზომვა | МПП-300 ან ეკვივალენტი | | | |
| 2.7 | კაბელის იზოლაციის ელექტრო ძაბვით გამოცდა | КИТ. ИПИ-1 ან ეკვივალენტი | | | |
| 2.8 | კაბელის იზოლაციის სიმტკიცის დაქვეითების ადგილების დადგენა | ВВИ-73. ВКМ-1 ან ეკვივალენტი | | | |
| 2.9 | კაბელების მოკლე მონაკვეთების ელექტრო წინაღობის გაზომვა | МКГ-9 ან ეკვივალენტი | | | |
| 3 | კოროზიისაგან და გარე ელექტრომაგნიტური ზემოქმედებებისაგან კაბელების დამცველი პარამეტრების ცვლილებების გამზომი ხელსაწყოები | | | | |
| 3.1 | კაბელების გარსის დენების და ლითონის ნაგებობების ელექტრო პოტენციალების გაზომვა | М-231 ან ეკვივალენტი | | | |
| 3.2 | კაბელების ლითონის გარსის ელექტრო წინაღობის დაქვეითების ადგილების განსაზღვრა | ИМПИ-2 ან ეკვივალენტი | | | |
| 3.3 | განმმუხტველების სტატიკური ძაბვის გასინჯვა | ИНИ-1 ან ეკვივალენტი | | | |
| 3.4 | გრუნტების ხვედრითი წინაღობის და ჩამიწების წინაღობის გაზომვა | МС-08 ან ეკვივალენტი | | | |
| 4 | ტრასის ხელსაწყოები | | | | |
| 4.1 | ტრასის და კაბელის ჩადები სიღრმის განსაზღვრა | КИ-3 ან ეკვივალენტი | | | |
| 4.2 | ტრასის და კაბელის ჩადები სიღრმის განსაზღვრა დაბრკოლებების პირობებში | КИ-4П ან ეკვივალენტი | | | |
| 4.3 | კაბელის გარსის გერმეტულობის დარღვევის ადგილის განსაზღვრა | ЫГТИ-5 ან ეკვივალენტი | | | |

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი მომსახურების სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების გრაფაში მითითებული იქნეს იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური მომსახურება.

**გ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების გრაფაში მითითებული იქნეს იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) გაწეული აქვთ ანალოგიური მომსახურება (წლების ჩვენებით).

**დ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული იქნეს: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

-- ცნობას 2006 წლის 1 მაისის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**5.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან). მიუთითეთ საკონტაქტო ტელეფონები.

-- ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალიტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

შენიშვნა:

**ა.** ინფორმაცია წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული იქნეს: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული იქნეს: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

-- ინფორმაცია იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში გაწეული ანალოგიური ხასიათისა და სირთულის მომსახურების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები).

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | გაწეული მომსახურების დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**9.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**10.** დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

**11.** სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

12. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**13.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. წყალტუბოს რაიონის ბროწეულას დასახლების სკოლა-პანსიონი აცხადებს ტენდერს ბავშვთა კვების პროდუქტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**I-ლოტი** - პურ-ფუნთუშეულის შესყიდვა.
**II-ლოტი** - სხვა ბავშვთა კვების პროდუქტების შესყიდვა.

Mმიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში არსებულ ნორმებსა და სტანდარტებს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: 2006 წლის 1 ივნისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 19 მაისს 11 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: წყალტუბოს რაიონის ბროწეულას დასახლების სკოლა პანსიონი - სატენდერო კომისია. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) სასამართლო დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

ბ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ან მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან და სასამართლოდან)

გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)

4.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)

ბ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადიანი გადასახადების შესახებ სახელმწიფოს წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან)

დ) ინფორმაცია მსგავს შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ, აღნიშნული პირის ანალოგიური შესყიდვის პროცედურების უკანასკნელი 3 წლის გამოცდილება შემდეგი მონაცემების წარმოდგენით:

| № | მიწოდებული ობიექტის (საქონელი, სამუშაო, მომსახურება) დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |

ე) ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

ვ)

| № | თანამდებობა | გვარი,სახელი, მამის სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში N200122900, მიმღები საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალური ფილიალი, თბილისი, მფო. 220101107, ს/კ 212831550, ბიუჯეტის შემოსავლების სახაზინო კოდია - 300184040, დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 15 მაისს 11 საათიდან 16 საათამდე მისამართზე: წყალტუბოს რაიონის ბროწეულას დასახლების სკოლა პანსიონი - სატენდერო კომისია.

7. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

8. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა მიუღებელია.

9. პრეტედენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შესაძლებელია შეიცავდეს შესასყიდი საქონლის მთლიან ან ერთ-ერთ ლოტს. შეფასება განხორციელდება ლოტების მიხედვით. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: დავით წერეთელი, ტელ: 899 543166; შოთა კუბლაშვილი, ტელ: 899 674498; წყალტუბოს რაიონის ბროწეულას დასახლების სკოლა პანსიონი.

**სატენდერო კომისია**